

საიუბილეო ნომერი

ქრონიკი 60

I 2018



შოთა რუსთაველი



აბანოჯიშვილი შალვა



ილია შავჭავჭავაძე



ვახტანგ შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



ვახტანგ შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი




შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი



შალვა შალვაშვილი

„ჭოროხი“ 60 წლისაა

სამი უმძიმესი საუკუნის შემდეგ, როცა აჭარა დედასაქართველოს დაუბრუნდა, ერის მოწინავე ადამიანთა დიდი შრომითა და ძალისხმევით იმთავითვე მომზადდა საფუძველი, რათა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში თვისობრივად ახალი გზები გახსნილიყო ქართული კულტურის, ქართული მწერლობის განვითარება-აყვავებისთვის. სწორედ, ქართულ მწერლობას უნდა ეტვირთა მრავალჭირგამოვლილი კუთხის სულიერი წინამძღოლობა.

1958 წლის დამდეგს გამოვიდა ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ პირველი ნომერი. 1970 წელს მას „ჭოროხი“ დაერქვა.

დღეს „ჭოროხი“, როგორც „ლიტერატურული აჭარის“ სამართალმემკვიდრე, იუბილარია.

მას არსებობის 60 წელი შეუსრულდა.

განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე იგი ერთგულად ედგა გვერდში ქართველ ხალხს და მისი მაღალი სულიერი ინტერესებით ცხოვრობდა.

თუკი რეტროსპექტულად წარმოვიდგინებ „ჭოროხის“ განვლილ გზას, დავინახავთ, რომ მასში გარკვეულწილად არეკლილია ქართველი კაცის ბუნების საინტერესო ჰარმონიულობა, ქართული სულის რხევა, ქართული სულის ზრდა; სულისა, რომელიც მუდამჟამ სიკეთის, ძლევამოსილების მომღერალია და რომელსაც ყოველთვის სიცოცხლის მარადიულობისა სჯერა.

„ჭოროხმა“ არაერთი ცნობილი მწერალი გამოზარდა.

„ჭოროხმა“ აჭარაში ჟამთა სიავით მივიწყებული არაერთი ქართული სიტყვა გადაარჩინა.

„ჭოროხმა“ დროის მკაცრ გამოცდას ვაჟკაცურად არაერთხელ გაუძლო...

დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის გაუგონარი წინსვლის დროს, როცა შემეცნებითი ცხოვრება სანახაობითმა ცხოვრებამ მთლიანად შეცვალა და საზოგადოება სულიერ შიმშილსა და სილატაკეს განიცდის, უფრო მკაფიოდ იჩინა თავი ტრადიციისა და ნოვატორობის ჰარმონიულობის აუცილებლობამ, ურომლისოდაც ლიტერატურას და, საერთოდ, ხელოვნებას სიმაღლეთა დაპყრობა გაუჭირდება.

„ჭოროხი“ ახალ თაობებს მოიყვანს!

„ჭოროხი“ ახალ ხმებსა და ფერებს მოიტანს!

„ჭოროხი“ ახალ კანონზომიერებებს აუბამს მხარს!

„ჭოროხი“ იუბილარია!

„ჭოროხი“ 60 წლისაა.

„ჭოროხი“ ვაჟკაცურად მიემართება ქართული მწერლობის უკიდევანო და ზღვარდაუდებ გზაზე.

კარლ ბართი ამბობდა: „ბიბლიაში ჩვენ ვიპოვით სწორედ იმდენს, რამდენსაც ვეძებთ დიადსა და ღვთაებრივს, თუ დიადსა და ღვთაებრივს ვეძებთ, მნიშვნელოვანსა და ისტორიულს, თუ მნიშვნელოვანსა და ისტორიულს ვეძებთ, და სრულებით არაფერს, თუ არაფერს ვეძებთ“.

წინამდებარე საიუბილეო ნომერში წარმოდგენილი ლიტერატურული პროდუქცია ერთგვარი არასრული დაჯამებაა იმ დიდი მოსავლისა, 60 წლის მანძილზე ლამაზი თაიგულივით რომ ეგზავნებოდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებით ქართველ მკითხველს. მას, როგორც სულის პურს, მოძიება, შესუნთქვა და გათავისება სჭირდება.

სანდრო პერიკა

ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
ბენრი ღოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გუნა სამნიძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქეზური
ვასტანგ ლლონტი
თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2018


რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ“-ის
სტამბაში. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

მიღობვა



აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობა



ვულოცავ იუბილარ „ჭოროხს“

მინდა, მივულოცო 60 წლის იუბილე ჟურნალ „ჭოროხს“, რომელიც ჩვენი რეგიონის ინტელექტუალური, კულტურული და ისტორიული წარსულის ნამდვილ ანარეკლს წარმოადგენს.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში აჭარაში თითებზე ჩამოსათვლელი ჟურნალები გამოდიოდა, მეორე ნახევარში კი, ყველაზე თვალსაჩინო იყო ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ჭოროხი“, რომელსაც თავდაპირველად „ლიტერატურული აჭარა“ ერქვა. ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და ცნობიერების ამალგებაში. „ჭოროხს“ ჰქონდა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია – იგი რეგიონის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ეწეოდა აჭარაში მცხოვრები მწერლების, პოეტებისა თუ საზოგადო მოღვაწეების შემოქმედების პოპულარიზაციას. სწორედ მისი საშუალებით ეცნობოდა ქართველი მკითხველი აჭარაში, თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, არსებულ ინტელექტუალურ, ლიტერატურულ და კულტურულ სიმდიდრეს.

სასიხარულოა, რომ ჟურნალი უკვე გამოცემიდან 60 წელს ითვლის და, მიუხედავად სხვადასხვა დროს არსებული დაბრკოლებებისა, დღესაც აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ისტორიულ და უნიკალურ შენობაშია განთავსებული, რომელიც ფონდი „ქართუს“ მიერ იქნა აღდგენილი. ეს არის ჩვენი აჭარის ნამდვილი ლიტერატურული კერა, სადაც მუშაობენ და თავს იყრიან რეგიონისთვის და ქვეყნისთვის ძვირფასი ადამიანები, ძველი თუ ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები. მინდა, განსაკუთრებულად სწორედ მათ მივულოცო ჟურნალ „ჭოროხის“ იუბილე.

ვულოცავ, ასევე, ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ემსახურებოდნენ წარსულში და ემსახურებიან დღესაც ჟურნალ „ჭოროხის“ გამოცემას, ზრუნავენ მისი შემოქმედებითი და შემეცნებითი ხარისხის შენარჩუნებაზე.

ვუსურვებ მათ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას და წარმატებებს ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის საკეთილდღეოდ!

პატივისცემით,

ზურაბ პატარაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე



„ჭოროხს“ ვუსურვებ მკითხველის სიმრავლეს

ექვსი ათეული წელი გავიდა სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალის – „ჭოროხის“ დაარსებიდან. ჟურნალს მისმა დამაარსებლებმა, ქართველმა კლასიკოსმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, „ლიტერატურული აჭარა“ უწოდეს, ხოლო 1970 წლიდან გამოდის „ჭოროხის“ სახელწოდებით.

მინდა, ყველა მწერალს, პოეტს, პუბლიცისტს, ლიტერატურულ კრიტიკოსსა და ჟურნალის ერთგულ მკითხველს მივულოცო საიუბილეო თარიღი. სასიხარულოა, რომ მიუხედავად ბევრი სირთულისა, ჟურნალი „ჭოროხი“ დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელოვან ფუნქციას, იყოს სხვადასხვა თაობის ნააზრევ-ნაფიქრალის, ტკივილისა თუ სანუხარის, იმედისა თუ იდეების გამოხატვის საშუალება.

განუზომელია როლი, რომელიც ჟურნალმა წლების განმავლობაში შეასრულა არა მხოლოდ აჭარის, არამედ სრულიად საქართველოს ლიტერატურულ თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინაიდან, სიტყვას, რომელიც ბათუმიდან სწვდება ქვეყნის ყოველ კუთხეს, სხვაგვარი ძალა, სითბო და დატვირთვა აქვს ყოველი ჩვენგანისთვის.

ჟურნალს და მის გულშემოტიკვრებს ვუსურვებ წარმატებას და მკითხველის სიმრავლეს! არ დაეკარგოს „ჭოროხს“ ის ნიშა, რომელიც მან დაიმკვიდრა ქართულ სალიტერატურო სივრცეში!

დავით გაბაიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
 განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
 MINISTRY OF EDUCATION, CULTURE AND SPORT
 OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC

ჟურნალი „ჭოროხი“ იუბილარია

გასული საუკუნის დასაწყისიდან აჭარის შემოქმედებით ცხოვრებას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ერთიან ქართულ ლიტერატურულ პროცესში. ჩვენს კუთხეში გამოცემული ბეჭდური პრესა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში, ხოლო 1958 წლიდან ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ გამოცემამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აჭარაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების განსაკუთრებულობას. 1970 წლიდან ეს ჟურნალი „ჭოროხის“ სახელწოდებით გამოდის და მას მრავალი ერთგული მკითხველიც ჰყავს. ეს ორგანო მუდმივად გრძნობდა ჩვენი კუთხის, ზოგადად ქართული ლიტერატურის მაჯისცემას და ცდილობდა, იგი ფართო საზოგადოებამდე მიეტანა, რასაც ოსტატურად და დიდი სიყვარულით ახერხებდა კიდევ.

დღეს „ჭოროხი“ იუბილარია. 60 წელი ის თარიღია, როცა შეგიძლია, იამაყო განვლილი წლებით; იამაყო იმით, რომ მოკრძალებული წვლილი შეიტანე საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. ამ წლების მანძილზე ჟურნალს არაერთი მოამაგე ჰყავდა და მინდა, თითოეული მათგანი დიდი მონივნებით მოვიგონო, მადლობა გადავუხადო მათ ამაგისთვის, ერთგულებისთვის და დროის გამოწვევების ღირსეულად გადალახვისთვის.

კიდევ ერთხელ მინდა, მივულოცო ჟურნალის იუბილე მის თითოეულ თანამშრომელს, სარედაქციო კოლეგიას, ჩვენს კუთხეს და ვუსურვო, კიდევ დიდხანს იდგეს ის აჭარისა და საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების სადარაჯოზე.

პატივისცემითა და მონივნებით, თქვენი ერთგული მკითხველი

ინგა შამილიშვილი

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი





„ჭოროსი“ წარმატებას ვუსურვებ

სამხატვრო-სალიტერატურო და საზოგადოებრივი ჟურნალი „ჭოროსი“ 60 წელია, რაც საზოგადოებას საინტერესო ნომრებს სთავაზობს. ჟურნალის პოპულარობის საფუძველი იმ ადამიანთა უდიდესი ძალისხმევაა, რომლებიც ჟურნალის სათავეებთან იდგნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ჟურნალი დღემდე მოთხოვნადია და მკითხველი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ელის.

ვულოცავ ჟურნალ „ჭოროსის“ კოლექტივს იუბილეს! წარმატებებსა და მკითხველის სიყვარულს ვუსურვებ.

ლავა კომასიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი





ვულოცავ მშობლიურ ჟურნალს

ჟურნალი „ჭოროხი“ აგერ უკვე 60 წელია, მარტოდენ აჭარის კი არა, სრულიად საქართველოს მწერლებისა და მკითხველის სამსახურშია.


ეს ერთ-ერთი ჩინებული გამოცემა, რომელმაც ბოლოდროინდელ ქართველებს გაუძლო, დღესაც ერთგულად ემსახურება მკითხველს და წარმოადგენს მყარ და საიმედო საფეხურს იმ მარმარილოს კიბისა, რომლითაც ქართული მწერლობა ამაყად მიემართება მომავლისკენ.

ჟურნალი „ჭოროხი“ ქართული სულის ნაწილია. მან დიდი როლი შეასრულა თავის დროზე ჩვენი კუთხის, ჩვენი ზღვისპირა ქალაქის სულიერ ცხოვრებაში, აქაური კაცის ცნობიერების გამდიდრებასა და შემეცნების ამაღლებაში.

სულითა და გულით ვულოცავ ჩვენს მშობლიურ ჟურნალს 60 წლის იუბილეს, ვუსურვებ მის თანამშრომლებს და ქართული მწერლობის აქაურ ძლიერ ფრთას წარმატებას შემოქმედებითი მუშაობის რთულ გზაზე.

სულიკო თეაიკა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის აჭარის ორგანიზაცია

სიყვარულით ვესალმები უყმაწვილ „ჭაბოხს“, მის წიგნში დაბადებულ და გამობნობილ მხაყვიერ სიყვარულს მსხვერპლსა და ზვირვალს.

ხომ დავიბნევილი რა უბნის ახლებიდან ჩვენი დასახლება მქალაქი. მთელი რეინატივი დასსსს აქვს ათეული წელი მან ავადის მქალაქის ორგანიზაციის აქტიური „ლოცვისსიყვარული ავადის“, რომელსაც შემოქმედითი დათმული მქალაქის სიყვარული „ჭაბოხი“ ეწოდება.

მჯერა, რომ იგი ორსიყვარული ავადის ავადის უბნისდასახლები სარეინატივი უყმაწვილს ცვილის. ამასთან წამოაღებინს ელიზბელო სულს ავადისდასახლებს და სარეინატივი ჩვენი ორგანიზაციის სიყვარული.

სამწერლობა, სარეინატივი ჩაყვარული, ზოგჯერ ვარსიყვარული მხაყვიერ უყვარული და უყვარული მის დანიშნულ/მის ჩვენი სიყვარული. მთელი სიყვარული ვამბობ, რომ „ჭაბოხი“ ჩვენიდან ის ცვილის, რომელსაც სამშობლოსდასახლებს მხაყვიერ მთელი წლებში მჯერა ავადისდასახლები სიყვარული, ვამბობი ორგანიზაციის, სიყვარული რეინატივიდან ვამბობი და ვამბობი.

დოქტორი იყო სიყვარული მხაყვიერ სიყვარული ვამბობი და ვამბობი უყმაწვილი „ჭაბოხი“ ავადის ელიზბელოდან, მხაყვიერ და ვამბობი.

ავადის ორგანიზაციის-სიყვარულიდან მხაყვიერ
შემოქმედითი ვამბობი ავადის ორგანიზაციის
რეინატივიდან ავადისდასახლები.



ქურნალ „ჭოროხის“ შემოქმედებით კოლექტივს

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს მწერალთა კავშირი გილოცავთ თქვენი და სრულიად საქართველოს ერთ-ერთი უბრწყინვალესი ჟურნალის სახელოვან იუბილეს – დაარსების 60 წლისთავს.

ეს იუბილე სრულიად საქართველოს ზეიმია, რომლის არსი სცდება ადგილობრივ მასშტაბს და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს თავისი დანიშნულებით, თავისი მოწოდებით, თავისი დონითა და სიძლიერით.

„ჭოროხის“ არსებობის 60-მა წელმა ყველას თვალნათლივ დაანახა, ეს ჟურნალი, დიახაც რომ მალამოდ და სალბუნად სჭირდებოდა საქართველოს ამ მრავალჭირნახად, ქრისტესავით ჯვარცმულ უმშვენიერეს კუთხეს; სჭირდებოდა მის წარსულს, აწმყოსა და განსაკუთრებით კი – მის მომავალს.

თქვენს ჟურნალს დაარსების პირველივე დღეებიდან დაეხედა, ყოფილიყო მემამათიანე აჭარის ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული ცხოვრებისა. ამ ჟურნალში მოღვაწეობდნენ ქართული მწერლობის აჭარული ფრთის ჭეშმარიტი წარმომადგენლები – ნესტორ მალაზონია, პარმენ ლორია, მამია ვარშანიძე, ფრიდონ ხალვაში, ზურაბ გორგილაძე, ალექსანდრე სამსონია, შოთა როყვა, შოთა ქურიძე, ალექსანდრე ჩხაიძე, სხვები და სხვები.

სწორედაც რომ „ჭოროხის“ ფურცლებზე აიდგა ფეხი და მნიშვნელოვან, ანგარიშგასაწევ ძალად იქცა ამჟამად მოღვაწე მწერალთა, როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის ძლიერი ფრთა, რომელსაც წლების განმავლობაში უნარიანად თავკაცობს ბრწყინვალე პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით თედორაძე.

უმთავრესი, რისთვისაც ვემადლიერებით და თავს მდაბლად ვუხრით „ჭოროხის“ შემოქმედებითი კოლექტივის წინა თუ დღევანდელ თაობებს, ის გახლავთ, რომ მათ შეძლეს ქართული სულიერების გადარჩენა ამ ულამაზეს კუთხეში, რომელზეც არაერთ გადამთიელს დაუდგამს თვალი და ავად იმზირება...

ძვირფასო მეგობრებო!

სწორედ თქვენი დიდი დამსახურებაცაა, რომ აჭარას დღეს ჰყავს ქართველ მწერალთა ერთ სულად და ერთ მუშტად დარაზმული გუნდი, რომელიც არავის დაანებებს მათი საფიცარი კუთხის

ნაბილწვას და არც ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ათასწლეულის განმავლობაში გამონ-
რობილი სიმტკიცის დაკარგვას.

გვჯერა, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის ორგანო – ჟურნალი
„ჭოროხი“, რომელსაც დიდი ხანია, წარმატებით რედაქტორობს გამოჩენილი პოეტი სანდრო ბერი-
ძე, მუდამ მონინავეთა რიგებში იქნება, იმათ შორის, ვინც საკუთარი მკერდითა და სისხლით იცავს
მშობელი ქვეყნის, მწერლობის შეუვალობასა და ეროვნულ თავისთავადობას.

გისურვებთ სულიერ მხნეობას და გამარჯვებებს თქვენს ეროვნულ საქმიანობაში.
ღმერთი გფარავდეთ!

ბალთიერ არაბული

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე

ერის სამსახურში



165 წლის ჟურნალი „ცისარი“ 60 წლის იუბილეს ულოცავს თავის უმცროს ძმას და კოლეგას –
ჟურნალ „ჭოროხს“ და უსურვებს კვლავაც წარმატებებს, – თავისი ერისთვის და მწერლობისთვის
მუხლჩაუხრელ მსახურებას!

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ვულოცავთ „ჭოროხის“ ერთგულ მკითხველებს, ავტორებს, გულ-
შემატკივრებს, აჭარაში მოღვაწე მწერლებს და სრულიად საქართველოს, რადგანაც „ჭოროხი“ სა-
ქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრები მწერლისთვის ძვირფასია და მის ფურცლებზე დაბეჭდვა
კი – სასიხარულო!..

ვულოცავთ ჟურნალის სარედაქციო კოლექტივს, მის თავკაცს, გამოჩენილ პოეტს – სანდრო ბე-
რიძეს და სარედაქციო კოლეგიას: დავით თედორაძეს, როინ აბუსელიძეს, ცისანა ანთაძეს, გენრი
დოლიძეს, შოთა ზოიძეს, ლალი კონცელიძეს, გუნა სამნიძეს, რამაზ სურმანიძეს, ჯემალ სურმანი-
ძეს, ბელა ქებურიას, ვახტანგ ლლონტს, თინა შიოშვილს, ტექნიკურ რედაქტორს – მალხაზ ფალავას
და ყველას, ვინც ჟურნალის მაღალმხატვრულ და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე მომზადებასა და
დაბეჭდვაში მონაწილეობს!

ძვირფასო კოლეგებო!

თქვენ აკეთებთ დიდ საქმეს, ემსახურებით ქართულ მწერლობას, ეროვნული ცნობიერების გა-
ნმტკიცებას და, საერთოდ, ჩვენი ღირებულებების, კულტურის, სულიერების დაცვას, რაც ყველა
ქართველის და, განსაკუთრებით ჭეშმარიტი მწერლის ვალია!

ღმერთი გფარავდეთ ამ დიდ გზაზე!

ჟურნალ „ცისარის“ რედაქცია



აჭარის მწერალთა სახლი

უწონადი „ჭოროხი“ ნი ნღისა!
 სულითა და გულით ვუღოჯავ ამ დიდ იუნივეს.
 ვუღოჯავ ზოგო ნახევანსაუცუნოკანი
 ქართული ვიტერატურის ზრწყინვადე ჭემატიანეს,
 ერის სუდიერენის ხავანტურსა და ხატავს.
 ვუღოჯავ ყველს, ვინჯ მის ვურჯდეშე
 დაჭედიდა, ვინჯ დღემდე მოიტხა მე ვაუხუნრად!
 ვუღოჯავ მის შთავარ რედაქტორს, ქვეყნის
 ჭირისუფად და ღვინისუფად ვაცხ, ზატონ სანდრო
 ჭერითეს, და ყვედა დროის რედაქციის თითო-
 ეყუდ წევრს, მის ჭემაქმედენით ტკუვს!
 ვმადლობ უჭადს, რომ შინჯყუნა ტედნიერედა,
 ამ მოხადლოჯთა შორის ვყოფიდიყავი.
 ვუღოჯავ ზემს ქადაქს, ვუთხეს, ქვეყანს!
 მადლობა და ნათელი ხსოვნა უწონადის
 დაარსენის მესვეურით.

დანი კონჯელიძე,
 აჭარის მწერალთა სახლის დირექტორი



უკანონო რეპრესიონალი,
 ჩემი სიყვარული შენთვის,
 გიყვარვარ შენი ხედი უყურებოდა რეპრესიონალი...
 ვუყვარვარ შენს სიყვარულს!! სიყვარული რეპრესიონალის სიყვარული
 ვუყვარვარ!!
 რეპრესიონალი შენთვის, შენთვის, შენთვის "ფორმის" სიყვარული და
 ვუყვარვარ სიყვარული შენთვის და შენთვის შენთვის სიყვარული და
 სიყვარული შენთვის. იმის ხედი შენთვის, შენთვის სიყვარული "ფორმის"
 შენთვის შენთვის რეპრესიონალი სიყვარული შენთვის სიყვარული.
 შენთვის შენთვის, სიყვარული შენთვის, რეპრესიონალი, რეპრესიონალი, შენთვის
 შენთვის სიყვარული, სიყვარული შენთვის შენთვის შენთვის შენთვის
 შენთვის შენთვის, რეპრესიონალი და შენთვის შენთვის - შე, რეპრესიონალი,
 შენთვის და შენთვის ვუყვარვარ შენთვის... სიყვარული შენთვის შენთვის
 შენთვის შენთვის შენთვის შენთვის შენთვის შენთვის შენთვის...
 შენთვის, რეპრესიონალი შენთვის, რეპრესიონალი სიყვარული...
 შენთვის შენთვის შენთვის შენთვის შენთვის!!

"სიყვარული შენთვის
 შენთვის შენთვის და შენთვის,
 შენთვის შენთვის, შენთვის,
 შენთვის შენთვის და შენთვის.
 შენთვის შენთვის შენთვის,
 შენთვის შენთვის შენთვის -
 შენთვის შენთვის... შენთვის
 შენთვის შენთვის შენთვის.
 შენთვის შენთვის შენთვის,
 შენთვის შენთვის შენთვის,
 შენთვის შენთვის, შენთვის შენთვის
 შენთვის შენთვის შენთვის."

ვ. ბერიძე
 7 იანვარი, 2018 წელი




ზეძს „ჭორონს“!

უფროსი „ჭორონი“ ზეძს ყველანა დიდი გაშტყაობის
 აღცილია — ღიიქურაქურელი გაშტყაობის. პირველად უფროსი
 „ჭორონს“ დაიჭყდა ზეძ ლექსები და თარგმნები ვვიჭრობ,
 ძნელი წარმოსაქენი არ უნდა იყოს, რას ნიძნავს ეს ავქორინიძვიძ.
 უფროსი „ჭორონის“ რედაქცია აღცილია სადაც ზეძს, რედაქციის თანა-
 მშრომეებმა პიძე ნეჭბე გამოვაზაშთრეთი შიძთი, სოივა
 და უიბელობა.

ღიიქს უკვე რეკორდს უფროსი „მასწავლებლის“ და ინქორნეგაქმა
 „matsnavebeli.ge“-ს შიძვარი რედაქციონი ველოოყვ სავი-
 ქორაქურთ — სმხეკვრო და სამოქალოებრივ უფროსი
 „ჭორონს“ 60 წელს იუბიღიძს.

ქესაძლია, სოფრი 60 იილი წარმოსაიჭტლია, მკერაძ
 თე უფროსიღიქს ზეძნი ისქოხიას, კანვიღე ქმაქს კავიბ-
 სეჭეხე და რაე შიძვარია, მის მნიჭველომეც დავვიჩრღებთ,
 ვასდაულბელი გამოცემა ზეძნი ქვეყნიღიღვიღის, ჰომადმე,
 სელო შიძევი კიღვი იძენი ხანი კაჭრტლო ღიიქს, სადა
 არღი ნვეღი მღიღიწე ჭორონს ბეძორჭეც დღამწე!

ნაქო ინქორნეგაქმა,
 უფროსი უფროსი „მასწავლებლის“
 შიძვარი რედაქციონი



მიიღეთ ჩვენი მილოცვა

საქართველოს მწერალთა კავშირის
აჭარის სამწერლო ორგანიზაციის თავმჯდომარეს
ბატონ დავით თედორაძეს
ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარ რედაქტორს
ბატონ სანდრო ბერიძეს

სასიხარულოა, რომ ჟურნალი „ჭოროხი“ 60 წლისაა...

მიიღეთ ჩემგან გულწრფელი მოლოცვა.

მე ამ ჟურნალის აპრობირებული ავტორი ვარ და გულით მიხარია მისი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა.

კარგად ვიცი, რა ძნელია დღეს საინტერესო ჟურნალის გამოცემა.

თქვენ ყოველივე ამას მშვენივრად ახერხებთ და სრულყოფილებას ინარჩუნებთ.

იმერეთის სამწერლო ორგანიზაცია, ჟურნალ „მერმისის“ და გაზეთ „უქიმერიონის“ სარედაქციო საბჭო გულითადად მოგესალმებათ და მადლობას გიხდით იმ ამაგისთვის, ქვეყნის სასიკეთო საქმეებს რომ ხმარდება.

ჩვენი კოლეგიალობა და ურთიერთობები მუდამ სამაგალითო იყო და იქნება.

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მოლოცვა.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

პატივისცემით

თაიშურაზ ლანჩავა

საქართველოს სახალხო პოეტი,
ხელოვნების ქურუმი



გაზეთი „აჭარა“ „ჭოროხის“ თანამოაზრეა

ათწლეულებია, ხელიხელჩაკიდებულნი მოვდივართ ჟურნალი „ჭოროხი“ და გაზეთი „აჭარა“. ერთი რედაქტორიც (ალი სამსონია) კი გვყავდა. „ჭოროხის“ ამჟამინდელი რედაქტორი – სანდრო ბერიძე კი, შემოიძლია ვთქვა, გაზეთ „აჭარის“ გაზრდილია. თქვენი მონა-მორჩილის – „აჭარის“ ახლანდელი რედაქტორის პირველი ნაცოდვილარიც (მინიატიურა) ალი სამსონიას რედაქტორობის დროს სწორედ „ჭოროხში“ დაიბეჭდა. შეუძლებელია, ჩვენ ერთმანეთის წარმატებითა და განვითარებით არ ვიყოთ დაინტერესებულნი. ჟურნალი „ჭოროხი“ ისეთივე ერთადერთი ჟურნალი იყო აჭარაში, როგორც „აჭარა“ – გაზეთებს შორის. ჩვენი კუთხის და მთელი საქართველოს კალმოსნების სარბიელი ყოველთვის ბიძგს აძლევდა – ლიტერატურის, საერთოდ ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებას. მისი როლი შეუფასებელია, ადამიანები კი, რომლებიც დღეს ამ ჟურნალს აცოცხლებენ – დაუფასებელნი.

რასაკვირველია, გაზეთი „აჭარა“ თქვენი სამუდამოდ გულშემატკივარი, მოყვარული და თანამოაზრეა. 60 – რაა?! ჟურნალ „ჭოროხს“ ახწლეულები ევლოს აღმავალ გზაზე, მის ფურცლებზე პოეზიის, პროზის, მხატვრული თარგმანის შედეგებით ბუმბერაზები გამოჩენილიყვნენ.

მარინა მითაიშვილი

გაზეთ „აჭარის“ მთავარი რედაქტორი



„ჭოროხი“ სვალინდელი დღის მოლოდინში

(ღია ბარათად სანდრო ბერიძეს)

ჩემო სანდრო,

ბევრგვარად რთულ დროში გვინევს ცხოვრება, დიდ საერთაშორისო ჭიდილთა შორის მოვქცეულვართ, პოლიტიკურისაც, ეკონომიკურისაც, იდეოლოგიურისაც, და გადასარჩენი გაგვხდომია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ის ეროვნული სულისკვეთება და სწრაფვა, ურომლისოდაც სხვა ქვეყნების კუდიმდევრობას ვერ გავცდებით და... თან ვიქნებით და თან არც ვიქნებით.

ეროვნული თავმოყვარეობა და სულიერი ენერჯის რწმენა გვაქვს აღსადგენი.

ეროვნული ნიჰილიზმი გვაქვს დასათრგუნნი.

ზნეობა გვაქვს დასამკვიდრებელი.

ძნელია და ძალზე ძნელიც ეს ყოველივე?

შეუძლებელი – ხომ არა? და საამისოდ თავი არ უნდა დავიზოგოთ და გვწამდეს, რომ ყველაფერი წაადგება ღირსეულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზანს, თავისთავადაც და მთელი კავკასიის წინამძღოლადაც.

დღესდღეობით მწერლობას გავლენა აქვს დაკარგული?

ლიტერატურულ ჟურნალს ის ძალა არ მოსდევს, რაც უნდა ჰქონდეს?

მთავარია, გული არ გაგვიტყდეს და ნიჰილისტთა ბანაკს არ შევუერთდეთ.

საამისოდ კი „ჭოროხი“ ცოტას არ იღვწის – კვლავაც სულდგმულობს, კვლავაც ინარჩუნებს სულიერებას, კვლავაც დაეძებს ახალ გზებს და კვლავაც ცდილობს გავლენის საზღვრის გაფართოებას.

საერთოსახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ბათუმი და აჭარა თუ პროვინციული მხარეა ჩვენი ქვეყნისა, ლიტერატურული თვალთახედვით, ამ ქალაქისა და მხარის მკვიდრნი სულაც არ ეგუებით პროვინციულობას, ან კი რა გაქვთ შესაგუებელი? და კიდევ წარმოსდგებით ქართული სამწერლო პროცესების სრულფუნქციონირების მონაწილეებად, არაერთი ლიტერატურული მარგალიტი რომ გვახსოვს ამ კუთხიდან და კვლავაც არაერთს მოველით.

ძლიერი სამწერლო გუნდი შემოკრებილა „ჭოროხის“ გარშემო, და ეს იმიტომაც, რომ რედაქტორი არ იზღუდება ერთი რომელიმე დაჯგუფების ინტერესებით და მთლიანი საქართველოს მესიტყვედ წარმოსდგება.

ასეც გაგვეგრძელებინოთ, ჩემო სანდრო, თორემ თბილისური ლიტერატურული ჟურნალების შემყურეებს აღარც გვგონია, ნამდვილ ლიტერატურას თუ რაიმე ღირებულება აქვს, მათ ფურცლებზე უნიჭობის, უგემოვნობის, სიყალბის და პოლიტიკური კონიუნქტურის გადამღერებათა ხილვა რომ გვტკენს გულს ასე უსაშველოდ.

იციან! განა – არა, რასაც აკეთებენ? მაგრამ მედროვეობის სენი და პირადი გამორჩენის ჟინი ისე გასჯდომიანთ მთელს არსებაში, ურჩევნიათ, ამყოლს აჰყვენ და დამყოლს დაჰყვენ.

ეს სენი უცხოა „ჭოროხისთვის“.

და რაოდენ საძნელოც უნდა იყოს მისი გზასავალი ასერიგად მორღვეული, სულაც თავდაყირა დაყენებული საზომების პირობებში, საქვეყნო ვალი თავისას მოითხოვს, და ამ ვალის შეგნებაა, იმედით, რომ შეჰყურებს მკითხველი ამ რედაქციის მოღვაწეობას – სწორედაც მოღვაწეობას – და თვალს დიდი ცნობის წადილით მიადევნებს ნამდვილი ლიტერატურის მდინარების ამ განშტოებასაც.

ჩემი თუ სხვისი რჩევებისგან ჯვარი გწერიათ.

ყველაფერი ჩინებულად გაქვთ გასიგრძეგანებული და პირნათელნიც მიაბიჯებთ იმ ხვალისკენ, ნამდვილი ლიტერატურის დაფასებისა და აღზევების შემსწრეს რომ გაგვხდის ძლიერ, ყველასთვის ანგარიშგასანევ სახელმწიფოში.

და თუ რაიმეს უნდა ვდიოთ, მხოლოდ იმ ვარსკვლავს!..

როსტომ ჩხეიძე



არხეიონი
ARCHEION

მოგილოცავთ

სულითა და გულით მოგილოცავთ ჟურნალ „ჭოროხის“ 60 წლის იუბილეს. ეს დიდი მოვლენაა სრულიად საქართველოს მწერალთა ცხოვრებაში. თქვენი ჟურნალი ჩვენთან ერთად დაიბადა, გაიზარდა და დაფრთიანდა. იგი იცოცხლებს ჩვენთან ერთად და ჩვენს შემდეგაც. დარწმუნებული ვართ, რომ ჟურნალი კვლავაც გაშლის ფრთებს და უფრო მედგრად დადგება ჩვენი სულიერების სადარაჯოზე.

ჟურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო საბჭოს, რედაქციის თითოეულ თანამშრომელს გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ქართული სულიერებისა და კულტურის აღმავლობისა და განვითარების რთულ გზაზე.

თამაზ ფუტყარაძე

ჟურნალ „არხეიონის“ რედაქტორი




ვულოცავ „ჭოროხს“ „არილის“ სახელით

„ჭოროხი“ იმ დროიდან ვიცი, ჯერ კიდევ „ლიტერატურული აჭარა“ რომ ერქვა. წელი არ მახსოვს, პატარა ვიყავი, მამაჩემის, ნოდარ შამანაძის, ლექსი დაიბეჭდა – „აჭარელ შამანაძეებს“, რომელსაც ამ ჩვენ გარე საბიძაშვილოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მახსოვს ჭოროხით მღვრიე, ტალახის-ფერი ფურცლები ჰქონდა და ყდაც რალაცნაირი, სხვანაირი... მალე ჭოროხი დაერქვა, მდინარის სახელი და ლიტერატურულ კაბადონზე ვარსკვლავების – „მნათობისა“ და „ცისკრის“ გვერდით დაიკავა ღირსეული ადგილი.

უკვე 60 წლის გამხდარა. ამ ხნის განმავლობაში უწყვეტად ემსახურებოდა მთელ ქართულ მწერლობას. სამგზის უმცროსი ძმის – „არილის“ სახელით გულითადად ვულოცავ ჟურნალის რედაქციას ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს, ყველა თანამშრომელს, სანდრო ბერიძის მეთაურობით, დღევანდელ და ხვალინდელ ავტორებს, აჭარაში და ყველგან, საქართველოში. წინსვლასა და გამარჯვებებს გისურვებთ, მეგობრებო!

შადიშან შამანაძე



თქვენი წარმატებების მოზიარედ გვიგულეთ!

ჟურნალი „ჭოროხი“ სამოცი წლისა გამხდარა. სამოცი წელი ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისთვის თითქმის მთელი სიცოცხლეა. „ჭოროხიც“ ხომ ადამიანივითაა, ჭეშმარიტად მეტყველი, მოაზროვნე და ათასი აზრის, სიბრძნის გამზიარებელი ფართო საზოგადოებისთვის, რომელსაც უფრო მეტი გავლენის მოხდენა შეუძლია მათზე, ვიდრე „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ნებისმიერ ჩინოვნიკსა და პოლიტიკურ მოღვაწეს. რომ არა ქართული სიტყვის სიდიადე, რომ არა ქართული სიბრძნე, განა რა იქნებოდა ქართული ენა, ქართველი ერი?! სწორედ ქართული სიტყვის დიდი მებაირახტრეა ჩვენი იუბილარი ჟურნალი მენაპირე საქართველოში, იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს სულის მეოხეთა მხარდაჭერა. ჟურნალი „ჭოროხი“, თავისი ზნეკეთილი, უშურველი, ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით ეჭიდება ამ ფრიად უმნიშვნელოვანეს საქმეს – ქართული სიტყვის გადარჩენას აჭარაში. დიახ, დღეს ყველაზე მეტად ქართულ სიტყვას უჭირს აგრერიგად მომრავლებული ათასი ჯურის არსებათა გარემოცვაში მყოფ საქართველოში. მავანთა წახალისებით, ასე უტიფრად თავზე რომ წამოგვასკუბდნენ აგრერიგად მომრავლებული ვაიმწერლები და მათი წამხალისებელი უიმეცენატები, რაოდენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახლა თქვენნაირ გამოცემათა არსებობა ჩვენო „ჭოროხელებო“, ჩვენი სულის ინჟინრებო! თქვენ რომ ქართულ პერიოდულ გამოცემებს შორის მართლაცდა თავდაუზოგავად, უდიდესი შემართებით იბრძვით ჭეშმარიტი ქართული მწერლობის გადარჩენისთვის და უდიდესი სულიერი საზრდოთი კვებავთ არა მარტო რეგიონის, არამედ სრულიად საქართველოს მოაზროვნე საზოგადოებას, ეს უკვე გამარჯვების ტოლფასია, ჩვენო „ჭოროხელებო“! გულითადად გვიხარია, ჩვენო ერთგულო მეგობარო, ჩვენო სანდრო, თქვენი და ჩვენი საყვარელი ჟურნალის 60 წლის იუბილე.

გლოცავთ, გვეიმედებით და გვჯერა, კიდევ მრავალ და მრავალ საიუბილეო თარიღებს აღნიშნავს საქართველოს თვალმარგალიტი აჭარა და სრულიად საქართველო. როგორც მარადიული მდინარეა ჭოროხი, ასევე, მარადიული იქნება ამ მდინარესავით მჩქეფარე თქვენი სიტყვის ძალა, ჩვენი ქვეყნის ღირსეულო მამულიშვილებო.

მუდამ თქვენ გვერდით და თქვენი წარმატებების მოზიარედ გვიგულეთ ან და მარადის, ძვირფასო კოლეგებო!

ფეხბედნიერი და მრავალი დიდი წარმატების მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენთაგანისათვის 2018 წელი.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით

ავთანდილ ბერიძე



საჯილდაო ქვა

უსახური ჟურნალების ცვენაა ჩვენში. დელფოსელი მკითხავიც რომ იყო, ვერ მიხვდები, მავანის ნაცოდვილარს რატომ ბეჭდავენ, რა მხატვრულ კონცეფციას უსახავენ მიზნად ამა თუ იმ გამოცემას და მისთანები. სამაგიეროდ, საბოლოოდ გაგიმტკიცდება აზრი, ძმაცაცობის გულისთვის დაბეჭდეს, თხზულების მხატვრული დონე, მითუმეტეს ჟურნალი და მისი ესთეტიკური კონცეფცია სულაც არ ანალვლებთ.

„ჭოროხს“, როგორც მხატვრულ ჟურნალს, საკუთარი, გამორჩეული სახე გააჩნია. სხვა კუთხის წარმომადგენელთა თხზულებებსაც ბეჭდავს, მაგრამ უპირველეს, აჭარაში მცხოვრებ მწერლებს წარმოაჩენს. ასეთ დროს მხატვრული დონე შეინარჩუნო, პროვინციულობას განერიდო, არაა იოლი. ბევრზე ბევრს უჭირს ამ საჯილდაო ქვის აწევა, „ჭოროხს“ – არა! იმიტომ, რომ შემოქმედებითი ჯგუფის წევრებია მაღალი მხატვრული გემოვნებისა. გემოვნება კიდეც ისეთი რამეა, არ გაპატიებს იაფფასიანი შესთავაზო მკითხველს.

ან კაი, ან – არაფერი!

„ჭოროხი“ უსახური და ერთფეროვანი ჟურნალების ფონზე – მაღალი გემოვნებით, დიდი მწერლური კულტურითა და გამორჩეული მხატვრული მიგნებებით დალდასმულ თხზულებებს სთავაზობს მკითხველს.

ამ პრინციპის ერთგულებით ცოცხლობს და მოღვაწეობს რედაქციის თითოეული წევრი. მინდა, დიდხანს იმზიანოთ უღონო ქართული სულის მოსალონიერებლად.

აჭარიდან ტკივილიც და სიხარულიც სხვანაირად ხმიანდება.

„ჭოროხის“ ხმა ნაღდად სცილდება ჩოლოქს და მთელ საქართველოს წვდება.

გაიხარეთ, გილოცავთ ექვსი ათეული წლის იუბილეს. ჭოროხივით მარად მედინი ყოფილიყოს „ჭოროხი“.

ელგუჯა თავაძერიძე



„ჭოროხმა“

გაუძლო ჟამთა დინებას

„ჭოროხმა“ გაუძლო ჟამთა დინებას და ამ გაზაფხულზე, თავის 60 წლისთავზე, მკითხველს კიდევ ბევრ სიხარულს მიაგებს. ფორმითა და შინაარსით თანამედროვე ეს ლიტერატურული ჟურნალი, მუდამ იყო და არის ქართული სიტყვის მეჩირადღნე, არა მარტო აჭარაში, არამედ, სრულიად საქართველოში. ნათლად მახსოვს ის დღე – 55 წლის წინანდელი, 1963 წლის თებერვლის მიწურული... როცა ჟურნალის რედაქციაში პირველად მივედი (მაშინ „ლიტერატურული აჭარა“ ერქვა) და ჩემი მოთხრობები მივიტანე. იმ დღის სითბო ახლაც მათბობს და მადლიერებით ვიგონებ იმ ღვანღმოსილ მწერლებს, იქაურობას თავიანთი გამორჩეული ნიჭითა და ადამიანური ხიბლით ანდამატს რომ სძენდნენ: შოთა ჟურბიძე, ზურაბ გორგილაძე, მამია ვარშანიძე... იქიდან მოყოლებული დღემდე ამ ჟურნალში ჩემი მრავალი მოთხრობა, ლექსი და ნარკვევი დაიბეჭდა. ერთი პერიოდი კი (1998-2015) პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას ვასრულებდი. ჟურნალის ხილვა ახლაც ისეთივე სიხარულს აღძრავს ჩემში, როგორც მაშინ, ახალგაზრდობისას და რახან ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, არ შემოდლია, გულგრილი ვიყო და მისი სიკეთე არ გავიზიარო. ჟურნალის მკითხველებს, ავტორებს, რედაქციას, რედაქტორს – სანდრო ბერიძეს, ყველას, ვისთვისაც ქართული მწერლობა ძვირფასია, მთელ აჭარას და სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ შესანიშნავ თარიღს! ეს თარიღი იმედს აღვიძებს, რომ სულიერი საგანძური ხელთუქმნელია.

ბანრიეტა ქუთათელაძე

**„ჭოროხის“
[„ლიბერალური აჭარის“]
ჩედაქმონები**



უოთა ქუჩიძე

„ლიტ. აჭარის“ რედაქტორი
1958-1967 წწ.



ნანა გვარამიშვილი

„ლიტ. აჭარის“ რედაქტორი
1967-1969 წწ.



აკაკი ჯონია

„ჭოროხის“ რედაქტორი
1970-1979 წწ.



ალექსანდრე სამსონია

„ჭოროხის“ რედაქტორი
1979-1991 წწ.



სოსო აბაშიძე

„ჭოროხის“ რედაქტორი
1991-1995 წწ.



სანდრო ბერიძე

„ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი
1995 წლიდან

„ლიტერატურული აჭარა“ – „ჭოროხაში“

ბათუმი,

„ლიტერატურულ აჭარას“

ჩვენ, თბილისში მომუშავე ქართველი მწერლები, მუდამ დიდი ინტერესით ვადავებთ თვალს ბათუმელი თანამოქალაქეების შემოქმედებით მუშაობას და გვახარებს მათი ყოველი დიდი და პატარა წარმატება.

დღესაც უსაზღვრო სიხარულს განვიცდით იმის გამო, რომ ბათუმში გამოსვლას იწვებს ახალი მხატვრული ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“. ჩვენ ღრმად გვნამს, რომ ეს ჟურნალი მხარში ამოუდგება „მნათობს“, „ცისკარს“ და შესაძლებლობის დაუზოგავად ხელს შეუწყობს ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომ აღმავლობას, განამტკიცებს მწერლობის კავშირს ცხოვრებასთან, ხალხთან.


ჩვენ იმედი გვაქვს, რომ „ლიტერატურული აჭარა“ თავის წმინდა ამოცანად დაისახავს, ხელი შეუწყოს მწერლებს უფრო ფართოდ, ღრმად, პროფესიონალურად ასახონ ჩვენი დიადი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანების მდიდარი და ლამაზი სულიერი სამყარო.

ჩვენ გვნამს, რომ „ლიტერატურული აჭარა“ ხელგაშლით გააცნობს მასებს ქართული მწერლობის, საერთოდ ქართული კულტურის მიღწევებს; დაეხმარება ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი ძალების ერთმანეთთან უფრო მეტად დაახლოებას.

მე სულით და გულით მივესალმები ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ დაბადებას და ვუსურვებ მის გამომცემელ მუშაკებს – მთელ კოლექტივს წარმატებებს შემოქმედებითი მუშაობის რთულ გზაზე. გაგიმარჯოთ, თანამოქალაქენო და თანამოსაგრენო!



„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



* * *

სულით და გულით ვესალმები აჭარაში ქართული ჟურნალის შექმნას, რადგან ეს დიდი მოვლენაა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ვუსურვებ ახალ ჟურნალს, ღირსეული წვლილი შეეტანოს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

* * *




მე – დიდ პატრიოტს ჩვენი ულამაზესი მხარის, საბჭოთა აჭარისა, მთელ ჩვენს ინტელიგენციასთან ერთად დიდად მიხარის, რომ აჭარას ექნება ქართული ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“. ლიტერატურა, ხელოვნება აჭარაში უკვე იმდენად განვითარდა და ისეთ სიმაღლემდე ავიდა, რომ მისი გაშუქება და უფრო ვრცელი და ღრმა ასახვა, აუცილებელია.

მე გულით ვულოცავ ჩემს საყვარელ კოლეგებს – მსახიობებს, მწერლებს, მხატვრებს და ყველას, ვინც ამ შესანიშნავ დარგში მუშაობს, ახალი ჟურნალის დაბადებას. ვუსურვებ დიდ გზას „ლიტერატურულ აჭარას“.

ნ. სიკი აბაყაძე

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

* * *



აღტაცებით ვეგებები „ლიტერატურული აჭარის“ გამოსვლას. ამგვარი ჟურნალი აჭარაში დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ აუსრულებელი.

ჟურნალს ბევრი აქვს დასათესი აჭარის საუკუნეობრივ ყამირზე, მაგრამ ღირსეული მუშაკებიც ჰყავს აჭარაში მცხოვრებ ქართველ მწერალთა სახით.


ორივეს ძმურად ვუსურვებ წარმატებას!

გიორგი მუსხიშვილი

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

* * *

გულითად სალამს ვუძღვნი ახალ ქართულ ჟურნალს. ვუსურვებ, რომ მას განეგრძოს ქართული პრესის სახელოვანი ტრადიციები: იყოს პირუთვნელი, თამამი, მებრძოლი ქართველი ერის და კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისთვის. დაე, მან მაღლა დაიჭიროს გონებრივი ლამპარი, რომლის ჩაქრობას ჩვენი სამშობლოს სამხრეთ მოსაზღვრე პროვინციებში ჩვენი მტრები ამაოდ ცდილობდნენ რამდენიმე საუკუნის მანძილზე.



გიორგი ჯაფარიძე

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

* * *

ჩვენი ეროვნული კულტურის აკვანი ძველთაგანვე სამხრეთ საქართველო იყო. ისტორიული ბედუკუდმართობის გამო ეს ეროვნული მთლიანობა დიდი ხანია, რაც დაირღვა, მაგრამ საბჭოთა წყობილების წყალობით იგი კვლავ აღდგა და შემდგომი აღორძინების გზას დაადგა. ამ აღორძინების ერთი ბრწყინვალე მანიშნებელთაგანი არის ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ შექმნა.

გისურვებთ, ამხანაგებო, ახალსა და ახალს წარმატებებს ჩვენი მშობლიური ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.



ლევან ზნობი.

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

* * *

ხელოვნების ყველა მუშაკი, მთელი ქართველი ხალხი მოხარულია, რომ ბათუმში გამოსვლას იწყებს ქართული ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“.

პირადად მე დიდად მახარებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ეს მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა და სულით და გულით ვუსურვებ ახალ ჟურნალს ღირსეულად განაგრძოს ჩვენი საბჭოთა პრესის მდიდარი ტრადიციები და თავისი წვლილი შეიტანოს კომუნისტური მშენებლობაში.

ს. მჭედიაძე.

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

* * *



სულითა და გულით მივესალმები ახალი ქართული ჟურნალის – „ლიტერატურული აჭარის“ გამოსვლას, ვუსურვებ, ყოფილიყოს ქართული ჟურნალისტიკის დიდი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, მხატვრული სიმართლით აესახოს ჩვენი ადამიანების მრავალფეროვანი ცხოვრება, ყოფილიყოს ისეთივე ლამაზი, როგორიცაა ის მომხიბლავი კუთხე, სადაც ეს ჟურნალი გამოდის, და – შინაარსით ისეთივე მდიდარი, როგორიც სული აქაური მშრომელი ადამიანებისა.

ვანუშა ჯიქია


ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი
„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

* * *

ახალი ჟურნალის – „ლიტერატურული აჭარის“ დაარსება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ეს ფაქტი მონიშნავს არა მარტო კომუნისტური პარტიის მუდმივ ზრუნვას ჩვენი ლიტერატურული აყვავებისათვის, არამედ მჭევრმეტყველად ლაპარაკობს საქართველოს კულტურის ძველი კერის – აჭარის იმ დიდ კულტურულ აღორძინებაზეც, რომელსაც მან ჩვენს დროში მიაღწია.

ამიერიდან ჩვენი მზიური აჭარის ნიჭიერ მწერლებს ექნებათ საკუთარი ლიტერატურული ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი მწერლობის ზრდასა და განვითარებას, ახალი ნიჭიერი მწერლების გამოვლინებას და დავაუკაცებას.

„ლიტერატურული აჭარა“ უნდა გახდეს მთელი ქართული მწერლობის მეტროპოლი ჟურნალი; მის ფურცლებზე სიამოვნებით დაბეჭდავს ყველა ქართველი მწერალი თავის საუკეთესო ნაწარმოებს.



ქაიხურა ავალიანი

ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი
„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

რედაქციისაგან

...აჭარაში ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი მძლავრი აღმავლობა მკაფიოდ გამოავლინა 1957 წელს თბილისში გამართულმა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამ. საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი მწერლების, მხატვრების, სცენის ოსტატების, მოცეკვავეთა და მომღერლების, ხალხური ტალანტების შემოქმედებას.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მიერ დეკადაზე მოპოვებულმა თვალსაჩინო წარმატებებმა ცხადყო, რომ აუცილებელია, აჭარაში გამოდიოდეს პერიოდული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანო.


საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელშეწყობითა და დახმარებით ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა. ამიერიდან ბათუმში გამოდის ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“...

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

ჭკვიანო ხალხუნი

ეჰ, ძვირფასო გზებო!

ეჰ, ძვირფასო გზებო,
 გზებო ალვიანო!
 მინდა, ყველა ლურჯი სივრცე გავიარო.
 გზისპირ, გრილოებში
 მომღერალო ღარო,
 მომაშხეფე წყარო, თუკი დავიღალო.
 შენი ერთი წვეთიც
 ისე გამამაგრებს,
 რომ ძარღვების ჩქეფა ველაროდეს ჩაქრეს.
 გზებო, გზებო, რად ღირს
 ზოგჯერ ხეტიალი,
 როცა მეგობარი ქვეყნად მეტი არი.
 როცა სიყვარული



ქვეყნად მეტი არი,
 მშვენიერო გზებო, რად ღირს ხეტიალი!
 მე რომ ბილიკებით
 გაველ ფართო გზაზე,
 მითხრეს: ეს გზა ასე გაგრძელდება ას წელს.
 და მეტკინა გული,
 რომ დაუდეს ზღვარი
 გზას, რომელიც ჩემი გასავლელი არი.

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



პაკიმე ღოკია

* * *

ახალგაზრდა კარგა ხანს იდგა ღია ფანჯარასთან, ხარბად სუნთქავდა ახალდამდგარი ზამთრის სუსხიანსა და ჯანსაღ ჰაერს და მკერდგაშლილი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე უკეთ განათებულ უბანს გადასცქეროდა. მაგრამ როცა სუსხმა იმატა და უეცრად ამოვარდნილი ქარი ოთახში ყაჩაღივით შემოიჭრა, ყმანვილი უნებლიეთ შეკრთა, ფანჯარა დახურა, მობრუნდა, ელნათური ჩართო და იქვე, კედელთან, მიდგმულ, უბრალოდ ალაგებულ ტახტზე წამოწვა. ცოტა ხანს დაყო ასე. შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოხტა, მაგიდის უჯრიდან წერილი ამოიღო, გაშალა და კითხვა დაიწყო. ბარათი დედისაგან იყო. რამდენჯერმე წაეკითხა უკვე, მაგრამ ასეთი მარტოობის დროს მუდამ მას მიმართავდა ხოლმე. მისთვის მუდამ სასურველი და საამო იყო ამ წერილის გადაკითხვა. დედის ხელნაწერით იგი მშობლის კეთილ სახეს ხედავდა, მისი ხმა ესმოდა, მის ალერსსა და სიახლოვეს გრძნობდა...

„მამისეული ფეხსაცმელი“


„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

ნესჯორ მაღაზონია


სად გოგმანოზ

იმ კორტოხზე სხვა სახლია,
სხვა ჭიშკარი, ბალი, ბაღია,
მაგრამ სახლთან რომ ცაცხვია,
როგორც იყო, ისე დარჩა:
ქვეშ ნოხივით კონინდარი,
ჩრდილი, სიო, ნაბლის ძელი...
მხოლოდ ერთი არსად არი –
არ ჩანს გოგო – მასპინძელი.

– სად გოგმანოზ, ჩემო გოგოვ?
ხომ არ დასდევ ისევ პეპლებს?
მე მოვხუცდი... მერე როგორ
გავჭალარდი – დავიფერფლე!
მაგრამ მახსოვს თვალთა სხივი,
ჟოლოსფერი კაბა, ჟღალი,
და კვლავ გულში ცეცხლი ღვივის,
როგორც ფერფლში ნაკვერჩხალი...



„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



ღევეან გოთუა

* * *

...როცა მაჩუჩა ბიჭს უთხრეს, დღესაც სოფლის ნახირი უნდა მწყემსო, არ შეშინებია მას. თუმცა საბაბი კი ჰქონდა. სოფლის მენახირე სოსია გასულ კვირას ჯოგის ნასხლეტთან ერთად მოიტაცეს ლეკებმა. მაჩუჩა ბიჭმა თავად ნახა, როგორ ვიშვიშით და თმების წეწვით შეეგება სოსიას დედა – საბედო, ხელცარიელად მობრუნებულ მდეგრებს.

მისი კვილი სოფლის კიდეს სწვდებოდა...

„კუდალა ზაქი“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

საშხაში

ეზოში მოვიდა მინდვრების გოგონა,
შემკული ვარდისფერ კაბაში.
მზემ ლამაზ ლოყებზე ღიმილი მოკონა,
ნიავემა დაუნყო თამაში.
მე სადღაც მინახავს ეს ცელქი კოპნია,
ვიცანი თვალების კაშკაშით.
მოვიდა და სათუთ მეგობრად მეწვია,
პატარა ყვავილი ხაშხაში.

ნანა გვაჩიშვილი



„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



შოთა როყვა

* * *

მე მიყვარს, როცა ზღვაზე ქარია
და ტალღა ტალღას გაეტყორცნება,
ასეთ ამინდში მე მიხარია
და მიყვარს შენზე ჩუმი ოცნება.
მე შენზე ვფიქრობ ტალღის ხმაურთან,
როცა გუგუნი სუნთქვას ახშირებს,
რა კავშირი აქვს ზღვას სიყვარულთან,
არ ვიცი, შენთან რით მაკავშირებს...


„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

ღვან ბეღაძე

რალაც კვალი

გზაზე მივალ თუ ცალფეხა ბილიკს მისვდევ,
ყველგან მხვდება დარჩენილი რალაც კვალი,
ზოგან ბაღია, ხეივანი თვალწინ მიდევს,
ზოგან მოსჩქეფს,
მოჩუხჩუხებს არხში წყალი.
ერთგან ვინმეს მოუთოკავს ნიაღვარი,
იქვე მღერის თავანკარა ცივი წყარო,
ვილაც გამვლელს დაუგია თლილი ღარი,
ვილაც გამვლელს გაუმართავს იქვე თარო...

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



ქსენია მუჟია

ჩაბი ეზო

...სადა ხართ, ჩემი სიყრმის ტოლებო,
ცისკრის ღიმილი თავს რომ გვეხურა,
მოდით, თამაშში ამიყოლიეთ,
ფრთები შემასხით წინანდებურად;
მოდით, ღიმილი თქვენი მაღირსეთ,
თორემ უთქვენოდ, ვხედავ, ვლონდები,
იმ კარგ, იმ ნათელ დღეებს გაფიცებთ,
ხანდახან მაინც თუ გაგონდებით?...

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.





აკემსანდრა ჩხაიძე

* * *

...ხევს გაღმა გორაკზე სანატორიუმია. იქიდან მუსიკის ხმები მოაქვს ნიავს. ჩვენი დასასვენებელი სახლის ახალგაზრდობა სულერთიანად მეზობლებთან გაკრეფილა ცეკვის საღამოზე. შეზღონებზე განოლილნი ვტკბებით ელეგიური პოლონეზით, უხმოდ ვადევნებთ თვალს მთვარის სხივების ფოსფორისებურ ცახცახს ზღვის ზედაპირზე, ძალიან შორს მოციმციმე ხომალდის შუქურებს...

„უძლეველი“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.


საკბეი ესენინი

ქალის შვილი

ამოტივტივდნენ წლები ბინდიდან –
გვირილის მდელი შრიალებს თითქოს;
მე მომაგონდა ძალი იჩქითად,
ჩემი ბავშვობის დოსტი რომ იყო.
შეუწყვეტია შრიალი წარსულს,
როგორც ნეკერჩხლის ფოთლების დასტას.
თეთრად შემოსილს ვიგონებ ასულს,
ძალს წერილები დაჰქონდა მასთან...

მთარგმნელი გ. სალუქვაძე

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



ჯეკონონი

* * *

ჯონ მესნერი თათმანიანი ცალი ხელით სამართავ ლატანს ჩასჭიდებოდა და მარხილით კვალს მისდევდა, მეორეთი კი ლოყებსა და ცხვირს ისრესდა. იგი წიმდაუნუმ ისრესდა ლოყებსა და ცხვირს. ნამდვილი რომ ვთქვათ, იშვიათად შეასვენებდა ხელს და ხანდახან, როცა სახე უფრო ეთოშებოდა, მეტი გაცხარებით განაგრძობდა სრესას. შუბლსა და ყურებს ბენვის ქუდი უფარავდა. სახის დანარჩენ ნაწილს შეყინული ხშირი ოქროსფერი წვერი იცავდა...

„ერთდღიანი გაჩერება“

მთარგმნელი გ. მაჭუტაძე

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



შოთა ქიციანი

* * *

...ამერიკელი კალვან ჰოლი, მაგალითად, პირდაპირ წერს, რომ გარკვეულ წრეებში მიაჩნიათ, თითქოს შექსპირის სონეტები, უოლტ უიტმენის პოეზია, ჩაიკოვსკის მუსიკა და პრუსტის დიდი რომანი სხვა არაფერია, თუ არა მათი ჰომოსექსუალურ მისწრაფებათა სუმბლიმაციური გამოხატულება. სავსებით აშკარაა, რომ ეს საზიზლარი ქორი იმისთვის შეთხზეს, რათა „ცხადეყოთ“, თუ რა შორს დგას ხელოვნება ცხოვრების დუღილისაგან და რა ვინროპირადული ინტერესებით ცოცხლობს თითქოს იგი...

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

ღაღო ასათიანი

ღამავინყდა... უნდა მეთქვა

თეთრი ღამე, მთვარის თენთვა...
ჩნდება ჩუმად ჩრდილთან ჩრდილი,
მესმის შენი გულის ფეთქვა,
როგორც ახლა, ისე დილით.

ღამავინყდა, უნდა მეთქვა,
მზეა, წყნარი დარი არი, –
ვერ დაადნობს შენს სინათლეს
შავი ღამე დარიალის.

ბევრჯერ უთქვამთ სხვებს წინათ ეს,
ღამავინყდა, ვერ გითხარი,
რომ ქარი ფრთებს ატკაცუნებს
და ირხევა ხე, ვით ქალი.

კვლავ გაისმის ვაჟკაცური
შენი ხმა, და ხმებს კრიალას
მოაქვს ვარდის სურნელება
ბარდებით და ეკლიანად.

ამ დროს სხედან სულელები
და ცის თალზე კრეფენ მთვარეს,
ღამავინყდა და ვერ გითხარ,
მზე ვერ დასწვავს, დავ, შენს თვალებს
და იელვებს იგი დიდხანს.

ღამავინყდა, უნდა მეთქვა,
როგორც ახლა, ისე დილით,
მესმის შენი გულის ფეთქვა,
მიმზერს შენი სახის ჩრდილი.



1938 წ.

ლექსი გამოქვეყნდა პირველად
„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



ალმასხანა სახსონია

* * *

ალმასხანმა არაყი დაასხა და ერთი ჭიქა მე გადმომანოდა.

– აბა, დაილოცე, სტუმარი კაცი ხარ.

სანამ არ დავცალე, არ მომეშვა.

– ტირილი თუ იცოდი, ჩემო ბიძიკო, სიდედრის დასაფლავებაზე რა ღმერთი გაგინყრა, მუნჯივით რომ იდექი იმდენ ხალხში.

– მე, ალმასხან ბატონო, ახალგაზრდა კაცი ვარ და ტირილი არ მეხერხება. სიდედრის დასაფლავებაზე კი არა, ბავშვობაში ჭინჭრის შოლტებით რომ ამიხურებდა დედაჩემი კანჭებს, მაშინ არ გადმომვარდნია ცრემლი...

„მეზობლები“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.

ალმასხანა ჩავლიუვილი


* * *

...საკმე ისაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, კრიტიკოსი რომელიმე თემის გაშუქების დროს აანალიზებს მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ეკუთვნით თბილისში მცხოვრებ მწერლებს...

აჭარაში მუშაობენ მწერლები, რომლებიც დიდი ხანია, ცნობილი არიან თავიანთი ნაყოფიერი შემოქმედებით, მაგრამ ზოგიერთი კრიტიკოსი ამ გარემოებას რატომღაც ანგარიშს არ უწევს...

„ნიგნის თარო“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1958 წ.



ჯემალ ჯავალი

სათოფურები

...სამასი წელი,

ვით სამასი ღამენათევი,

მთებში –

ხარ-ირმის მობლავილი,

ბარად – ფურების.

სხალთის ტაძარში ვერ ჩააქრეს თაფლის სანთელი
და ხიხაძირში – სათოფურები.

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.



მიხეილ გოკვილაძე

* * *

– გელა, ჰაუ, გელა!
 მალღობზე ქალიშვილი იდგა, ვაჟმა ყანას თავი ანება, ეზოში გავიდა:
 – მეძახდი, გულნარა?
 – ბიძაჩემს სტუმრები ჰყავს, გთხოვა, გვეწვიო.
 – იალაღიდან ახლახან ჩამოვედი...
 – მიზეზებს თავი დაანებე, უნდა ამოხვიდე! – უთხრა ქალიშვილმა, შე-
 ტრიალდა და ხეხილის ბაღს მიეფარა...

„პირველი სიყვარული“

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.

სულიკო ჟღენჭი

* * *

...„ციალას“ პორტრეტი არჩილმა ვარაყიან ჩარჩოში ჩასვა და თავის ოთახში დაკიდა წიგნის კარადის თავზე. სამუშაოდან მოუთმენლად მიიჩქაროდა სახლში. ახალგაზრდას უჩვეულო გრძნობა დაეუფლა: სახლში თითქოს თვით „ციალა“ ელოდებოდა. ქალიშვილის ხატება ახალი შინაარსითა და ხალისიანი განწყობილებით ავსებდა მთელ მის ცხოვრებას. მაგრამ არჩილის ამაღელვებელ განწყობილებას თან ახლდა სადღაც გულის კუნჭულში დასადგურებული ფარული სევდა...



„პორტრეტი“

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.

იაკობ მეღია



ზაქარია ჭიჭინაძე

სტუმრად წვეული აჭარელის
 ყველა ოჯახში.
 ირკვევდა მხარეს
 და მის წარსულს,
 ვაჟკაცურს, საქებს...
 მისი გზა იყო
 სიყვარული,
 და კაცს გულგაშლილს,
 როგორც მეგზური
 ატარებდა
 სახალხო საქმე...

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.

ჩეკაუ აკთილაყვა



ჰენაცვალე


სამშობლოზე წმინდა ლოცვით
თვალეზი რომ დაეხუჭათ,
სამშობლოდან წაღებული
მინა ჰქონდათ ერთი მუჭა...
ჩემო მინავ!
თითო მუჭით
ყოველ მხარეს გაზიდულო,
პატარავ და მაინც დიდო,
მაინც ცამდე აზიდულო...

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.

ოჩხან ქემალი

* * *

...ყვითლად შეღებილი სახლის კარებთან ბრმა ქალი ნაღვლიანად მღეროდა და მოწყალებას ითხოვდა. მისი ექვსი წლის ვაჟი, რომელსაც ფუფხიან თავზე ჭუჭყიანი ქუდი ეხურა, იქვე სიგარის კოლოფებით თამაშობდა. მან ასფალტზე წრე მოხაზა, კოლოფები ერთი მეორეზე დააწყო, შემდეგ ათი-თხუთმეტი ნაბიჯით მოშორდა, კრამიტის ნატეხი ესროლა და წრის გარეთ გაყარა ისინი. ბავშვი აღტაცებით თამაშობდა. ზოგჯერ უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა; როდესაც ერთი გასროლით გაყრიდა წრიდან გაცრეცილ, გახუნებულ კოლოფებს, სახე კმაყოფილებით გაუბრწყინდებოდა...



„პატარები და დიდები“

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.



სგინღალი

* * *

...რამდენიმე ხანს მოცარტი ღრმა ფიქრებში ჩაეფლო, შემდეგ უცბად მოითხოვა კალამი, მელანი, ქალაღი და, თუმცა ცოლმა დაუშალა, წერა დაიწყო. რამდენიმე დღეს თავაუღებლად მუშაობდა, იგი წერდა დღე და ღამე იმ მგზნებარებით, რომელიც დღითი დღე ღვივდებოდა; მაგრამ მისმა სხეულმა, უკვე დასუსტებულმა, ველარ გაუძლო ამ ენთუზიაზმს: ერთ დღით იგი უგრძობლად დაეცა და იძულებული გახდა, მუშაობა შეენწყვიტა. ორი თუ სამი დღის შემდეგ მან ცოლს, რომელსაც სურდა ქმარი მძიმე ფიქრებიდან გამოეყვანა, უთხრა: „ნამდვილად ჩემთვის ვქმნი ამ რეკვიემს; იგი ჩემს სამგლოვიარო ცერემონიაზე აჟღერდება“...

„მოცარტის რეკვიემი“

მთარგმნელი ირინა აროშიძე

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.



ალზონს ღოღე

* * *

...წყალში ტირიფის ტოტი ჩაძირულიყო, მებორნემ იგი სიბნელეში ვერ შეამჩნია და შუბლით ეკვეთა.

სისხლი წამოუვიდა, თვალთ დაუბნელდა.

– გოგონა აიყვანეთ და კისერზე დამასვით, – თქვა მან, – ან თქვენ და-ისვით, მე მეტი აღარ შემიძლია.

– გადამირჩენ, რომ დაგიტოვო? – იკითხა დედამ.

– ვფიქრობ, რომ შეეძლება, – იყო პასუხი.

ქალბატონს მეტი აღარა უთქვამს. მებორნის კისერს ხელი შეუშვა და წყალს მისცა თავი...

მთარგმნელი კლეოპატრა ჯაში

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.

კაოლო იაშვილი



დაცემულ ბათომას

ჯერ არ დამცხრალა ჯიუტი ომი
დაუდგრომელი, ქარივით მკვეთრი
და ატორტმანდა ჩვენი ბათომი,
მწვანე ბათომი მაისის ხვედრი.

სულთანის ხარბი და ჭროლა თვალი
უცქერს, ქალაქო, შენს ნოხურ ბალებს;
იისფერ ზღვაში მზე ჩამავალი
ძველებურ ლხენით თვალს ვეღარ აღებს.

და შენს მეომარ ამართულ მთაზე
სძინავს ზარბაზანს ძლიერი ძილით,
მაგრამ ართვინის მტვერიან გზაზე
ახალი ურდო მოდის სიფრთხილით.

ცხვრის ქონით უნდა ფერადი ნოხი,
რომ გადალაქოს ჟანგისფერ მტვერმა.
მას უკან დარჩა უკვე ჭოროხი
და მოაღწია საზღვრებთან მტერმა.

უკვე იწყება მრისხანე წამი,
წამი, რომელიც ძვლებს დაახვავებს.

უკვე შეირხა ზღვასთან ლერწამი,
ბათომის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს.

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები,
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.

ადრე სულთანი ნუ გაიხარებს,
გამარჯვებისთვის ადრეა ტაში.
ჩვენ დავიბრუნებთ ბათომის კარებს,
მწარე იქნება ჩვენი რევანში.

1918 წ.

ლექსი გამოქვეყნდა პირველად
„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1958 წ.



ნუსუ ზალავა

* * *

...– შვილებო, – დაიწყო მოხუცმა მღელვარე ხმით, – დღემდე გულს ვერ ვაჯერებდი ჩემს ქართველობაში. მთელი ცხოვრება ღმერთის სამსახურში გავატარე და თექვსმეტი წლიდან დღეში ხუთჯერ ლოცვით ღმერთს შვილების სიცოცხლეს და ჯენეთში ადგილს ვემუდარებოდი. ჩემი მამა-პაპაც მუსლიმანებად დაიხოცნენ. ამ ქვევრმა კი დამარწმუნა, რომ ჩემი წინაპრები ქრისტიანი ქართველები ყოფილან...

„პირველი სასმისი“

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1958 წ.

თაბუ ჭილაძე



წიგნიდან „ღია სარკმელი“


ბათუმის პორტში დგანან გემები,
დაუჭერიათ ანძებით მთვარე...
და თითქოს ფიქრებს გადასდებია
ტალღების თრთოლვა და სიფერმკრთალე.
წევს მშვიდ ყურეში დაღლილი გემი,
ეკრობა მიწას, ვით კრავი დედას...
ამ ვარსკვლავებით, ვით საკრავებით
შენთვის უმწეო სიმღერას ვბედავ.
შენ კი სადა ხარ... გულგრილი... შორი...
შენს ფიქრებს ვფიქრობ,
შენს სიზმრებს ვხედავ...

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1958 წ.


ჩეპუ ჩხაჩიშვილი

მთავის მოლოდინი

ხომ აუსრულდათ ყველა სურვილი
მთებს მუდამ მწვანე საბურველიანს.
კიდევ რა დარდი შემორჩათ გულში,
რალა ანუხებთ,
რალას ელიან...



„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1958 წ.



იუკი სინაკულიძე

თურქ-სელჩუკთა შამოსევაზი აჭარაში

...თურქ-სელჩუკთა სერიოზული ბრძოლები მოუხდა საქართველოს თამარის (1184-1213) დროსაც. ფრიად საინტერესოა, რომ მტრის შემოსევა ჩვენს ქვეყანას XII საუკუნის 90-იან წლებშიც კი განუცდია, როდესაც იგი წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო იყო. საყურადღებოა, რომ ამ დროს მტერს მნიშვნელოვნად შეუღწევია ქვეყნის სიღრმეში და აჭარასაც მოსწვდომია.

აბუსერიძე ტბელის ცნობით, მომხდურნი „შინაგამცემლობის“ წყალობით, ხიხათა ციხეს დაუფლებიან. ხიხანიდან მტერი განუდევნია მემატინის პაპა აბუსერსა და მის ძმას – სანანოს...

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1958 წ.

ნაიბ ნიჟაკაძე

* * *

აჭარის ბუნება იშვიათი მრავალფეროვნებითა და საოცარი სილამაზით ხასიათდება. აქ სრულიად მცირე მანძილზეც კი ისეთ ნაირსახეობას და კონტრასტებს შეხვდებით, რომ თვალწინ ბუნების ცოცხალი მუზეუმი წარმოგიდგებათ. ზამთარში, როცა მთის ფერდობები თოვლითაა დაფარული, იქვე, მთისძირას, სითბო იგრძნობა, ჰაერი აყვავებულ მცენარეთა სურნელებითაა გაჟღენთილი...



„ბუნების საუნჯე და ჩვენ“

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1958 წ.



საკიგონ ახველიანი

* * *

...გურიის საზღვრებთან ბრძოლაში პირველად წარმატება თურქეთის მხარეზე იყო, რაც იმან გამოიწვია, რომ გურიის მილიციის უმრავლესობა მოქმედებდა სამეგრელოში ომერ-ფაშის ჯარების წინააღმდეგ. შემდეგ მდგომარეობა ნიგოეთ-ჩოხატაურის ფრონტზე გამოსწორდა. რაც უფრო მძაფრდებოდა ომი, მით უფრო სასტიკი შურისძიებისთვის ემზადებოდა მტერი. რაკი ძალა არ შესწევდა გურულების ვაჟკაცურ შეტევას გამკლავებოდა, იგი მოლალატეებს ეძებდა, მაგრამ ჩვენები აქაც ფხიზლობდნენ. პოლკოვნიკი ერისთავი ჩოხატაურის რაზმს ერთ-ერთ წერილში ატყობინებდა: დათა გურიელი მოლალატეა, მასთან ლესაში იმყოფება რეშიდ-ფაშა დუმბაძე, რომელიც თურქეთის ჯარებს უფროსობს...

„ოთხმოცი წლის წინათ“

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1958 წ.



აშიან შაქაშვიძე

* * *

ვინ არ იცნობდა სტამბოლში ისმაილ ბეის.

პერაზე სამი დიდი სახლი, გალათაში – სასტუმრო და ოქროს რქაზე – რესტორანი „ენი დუნია“ – ისმაილ ბეის საკუთრება გახლდათ.

აღმოსავლეთ ანატოლიაში – ცხვრის ფარა, ესკიშეხირში – ტყავისა და იზმირში – ლელვის ჩირის ქარხნები, სამსუნში – თამბაქოს ფაბრიკა, ზღვაზე – სამი გემი და ხმელეთზე – ავტომანქანების მთელი ჯოგი განუწყვეტლივ მიერეკებოდნენ ოქროს ლირებს ისმაილ ბეის უძირო ჯიბეებისაკენ...

„ისმაილ ბეი“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1958 წ.

გივიან გაბიძე


გაჭიანურებული მაღრიგალი

შ.შ.-ს

ხარ ალესილი, როგორც ხმალი მაჩაბელების,
ხარ ალენილი, როგორც ვერხვი ტაშისკარისა,
შენი სიმაღლე სიმაღლეა სახრჩობელების
და გადმოხედვა ღვთისმშობელის, ქართლს რომ აღირსა.
მე მესიზმრება ამაღამაც მღვრიე ლიახვი
და მუზარადი გაჭენებულ ათაბაგების.
მტკვარი ასპინძში გადაჩენილ თათრებს მიახვევს,
მტკვარი თათრების ჯილოებით აღარ დადგება.
სავსეა ისევ საქართველო ღვინის მარნებით
და რაინდები გადადიან ყანწებს ყანწებზე.
ჯერ არ მომკვდარა აქ ვაჟკაცი სხვა დანანებით,
რომ არ ედიდოს საქართველოს უკვდავების მზე.
არ მინდა, ვიყო გათანგული მორცხვი ოსტატი,
რომელიც ხატავს ვარძიაში დედოფლის ფრესკას.
ყველა ბატის ფრთა ძველ პოეტებს მინდა, მოვსტაცო,
სირცხვილი არის იქ ბატის ფრთა თუ ხმალი რეკავს.
უკანასკნელი, ქართლის, დარჩი შენ დედოფალი
და თუ გვირგვინი უფროთობით თავზე დაგატყდა,
ჩემი გულიდან სხვა გვირგვინი გამოითალე –
ეს ჰიპერბოლა ბევრ პოეტებს დასტოვებს სახტად.

1925 წ.

ლექსი გამოქვეყნდა პირველად
„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1958 წ.




შაონან-სიანი

* * *

მშვიერი იყო პეკინი და თანაც – მდიდარი,
 ის გაჰყურებდა იუნდინხეს – წყალუხვ მდინარეს,
 რომელიც იმ დროს სრულიადაც არ იყო წყნარი,
 არც ძველ პეკინში არ სუფევდა სრული სინყნარე.
 ვინ ააგოო ეს კედლები, იკითხოთ, ეგებ,
 ვინ ელოდა, რომ დაემხო ბოროტი ძალა?
 შიგა ქალაქი ამქვეყნიურს მოჰგავდა ედემს,
 გამოყოფილი დიდი კედლით ლატაკთა ქალაქს...

თარგმნა გ. სალუქვაძემ

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1958 წ.



ზიღრის შიღრაი

* * *

...როდესაც უბედურების მიზეზით გამონვეული უსიამოვნება მე-
 ტად ძლიერია, მაშინ იგი ასუსტებს ჩვენს თანატანჯვას იმის მიმართ,
 ვინც ამ უბედურებას განიცდის. ორი სრულიად განსხვავებული გრძნო-
 ბა არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ერთნაირი ძალით ბატონობდეს
 სულში. ტანჯვის მიზეზისადმი გულისწყრომა გაბატონებულ აფექტად
 იქცევა და ყოველმა სხვა გრძნობამ უნდა დაიხიოს მის წინაშე.

„ტრაგიკული ხელოვნებისათვის“

გერმანულიდან თარგმნა არჩილ რუგოშელმა

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1958 წ.

ნორაი ჯალღონია


გულო

თუ ადუღდები, კმარა ლოდინი,
 თორემ დღეები ჩუმად მიდიან,
 რამ დაგადუმა, გულო, ლოდევით,
 როცა ძარღვებში ცეცხლი მინთია.

ჩემი სიცოცხლის ფესვი მოგანდე,
 როგორც მთა ანდობს აპრილს ღიღილოს,
 ერთი ისეთი ლექსი მოვარდეს,
 რომ საქართველომ ჩაიღიღინოს.

მე სისხლად მომაქვს სიტყვა შენამდე,
 უთქმელი ლექსი გულის წყლულია
 და მეც სიმღერა ისე მწყურია,
 ვით ნადირობა მშვიერ შევარდენს!

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1958 წ.



ბეითოდ ბეიჭვი

* * *

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ საფრანგეთის პატარა სანავსადგურო ქალაქ ლა სიოტაში დიდი ბაზრობისას, წყალში გემის ჩაშვების ცერემონიის დროს, საჯარო მოედანზე ჩვენ ვნახეთ საფრანგეთის არმიის ჯარისკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, რომლის გარშემო თავი მოეყარა ბრბოს. ჩვენ მივუახლოვდით და შევამჩნიეთ, რომ ის თურმე ყოფილა ცოცხალი ადამიანი, რომელიც რუს მაზარაში, მუზარადით, თოფით ხელში უძრავად იდგა იენისის პაპანაქება მზეში. მისი სახე და ხელები ბრინჯაოსფრად იყო შეღებილი. მის სხეულზე არც ერთი კუნთი არ იძვროდა, წამწამებიც კი არ უთრთოდა. მის ფეხებთან იდო მუყაოს ნაჭერი, რომელზეც ეწერა: „ადამიანი – ქანდაკება“...

„ლა სიოტელი ჯარისკაცი“

გერმანულიდან თარგმნა **პავლე ჯორბენაძემ**

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1959 წ.

ნოღა ნახია

* * *

...გარს მახვევია თამბაქოს ბოლი
და შენზე ფიქრით სავსე ვარ, სავსე...
შენ გათხოვდები ბოლოს და ბოლოს
და დასრულდება ზღაპარი ასე.

მერე დამრჩება ცრემლები ღვარად,
ლამენათევი ცისკრისას ჩავთვლემ.
შენ ქალი ხარ და... ჩვეული ლალატს
და ყოველივეს არაფრად ჩათვლი...

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1959 წ.



ჰომერო

* * *

...მეფემ, რომელმაც ზადიგის საიდუმლოება უკვე იცოდა, მთელი თავისი ძვირფასი განძი ამ გასასვლელში გამოაფინა. როცა სალონში ყველა პრეტენდენტი მოგროვდა, მეფემ გასცა განკარგულება და ცეკვა დაიწყო. არავის, არასოდეს ასე მძიმედ და უგერგილოდ არ უცეკვია! ყველას თავი დაეხარა, წელში მოხრილიყო, ხელები გვერდებზე მიწებებოდა. „ქურდბაცაცები“ – ამბობდა ზადიგი თავისთვის. მხოლოდ ერთი, მათ შორის, ცეკვავდა მსუბუქად, თავანული, ხელებდაშვებული. „აჰ! ჰატიოსანო, სპეტაკო ადამიანო!“ – ჩურჩულებდა ზადიგი. მეფემ კარგი მოცეკვავე გადაკოცნა, გამოაცხადა იგი ხაზინადრად და ყველა დანარჩენი უსასტიკესად დასაჯა, რადგან ყოველ მათგანს დერეფანში ყოფნის დროს ჯიბეები გაეცსო და ძლივს მოძრაობდა. გაურისხდა მეფე ადამიანის იმ ბუნებას, რომელმაც 64 მოცეკვავეთა შორის 63 ქურდად აქცია. ბნელ დერეფანს ცდუნების დერეფანი დაარქვეს.

„ცდუნების დერეფანი“

ფრანგულიდან თარგმნა **ირინა აროშიძემ**

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1959 წ.



მიხეილ შოლოხოვი

* * *

...ქოხი, რომელშიც ნიკოლკა ცხოვრობს, ციცაბოდან დონს გადაყურებს. ფანჯრებიდან მოჩანს დონიდან გადმოხეთქილი წყალი. ღამლამობით, ქარიშხლის დროს, ტალღები ეხეთქებიან ციცაბოს, ქოხის დარაბები ქრიალებენ, თითქოს იხრჩობიან და ნიკოლკას ეჩვენება, რომ წყალი იატაკის ნასვრეტებიდან შეპარვით მოცოცავს, მატულობს, ქოხს აძაგძაგებს.

უნდოდა, სხვა ბინაში გადასულიყო, მაგრამ არ გადავიდა, შემოდგომამდე დარჩა. სუსხიანი დილა იყო. ნიკოლკა აივანზე გამოვიდა, დაჭედული ჭალების ხრჭალით დაამსხვრია სიჩუმე. ჩავიდა ალუბლის ბაღში, დაწვა ცვრისაგან შეჭალარავებულ, აცრემლებულ ბალახზე. ესმის, როგორ ეხვენება დიასახლისი ძროხას, დაწყნარდით; ბოხი ხმით, დაჟინებით ზმუის ხბო, ხოლო ქოთნის კედლებზე რძის ნაკადი ჩხრიალებს...

„ხალი“

თარგმნა გ. ამამუკელმა

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1959 წ.

მოკის ჯოხნიშვილი

ქალაქის ნავეზი

გახსოვს? როგორ არ გახსოვს,
წვიმა, წვიმა, წვიმა...
ნიაღვარი არ გახსოვს
ჩვენი სახლის წინა?
გახსოვს? როგორ არ გახსოვს
ამინდები გიჟი?
წყალში დავტანტალებდი
ფეხშიშველა ბიჭი...

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1960 წ.



ვოლგეი ჭანგუკია

* * *

გემი „თბილისი“ ბისკაის ყურეს ლილისფერ ზედაპირს მიარღვევდა. საღამოვდებოდა.

დასალიერს ბოლქვა-ბოლქვად შექუჩული ღრუბლები მოეფინა. ცაში აჭრილი მზის სხივები გაშლილ მარაოს ჰგავდა. შორს, იქ, სადაც ცის ტატნობი ოკეანეს უერთდებოდა, ლაჟვარდის ზოლი მოჩანდა. მზემ თანდათან ღრუბლებს თავი დააღწია და ოკეანეში ნელა, ზოზინით ჩაეკიდა. მოელვარე კიდიდან მწვანე სხივების კონა ამოიფრქვა. ეს კარგ ამინდს მოასწავებდა...

„ქარიშხლის თვალი“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1960 წ.



ბერიკა ბერიკიანი

იქნაბ...

შეგეკუმშება როდესაც გული,
რომლის მიზეზსაც არ ეძებ დიდხანს,
ხელახლა ფურცლავ „ვერტერის ვნებას“,
ვნების გარეშე რომ წაგიკითხავს.

როცა რალაცის გამხელა გიჭირს
და გული რალაც იმედით ცოცხლობს,
როცა ყველასთან ხარ აბეზარი,
მაგრამ ერთთან კი ბავშვივით მორცხვობ.

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1960 წ.



აღამ მიცქვიჩი

ქალი და მგელი

...და ძალს შეხედა: – ეს რა არის, რას გიგავს ყელი?
– სისულელეა!
– მაინც რაა?!
– აი, ნუხელის ჯაჭვი მეკიდა და მეტყობა იმისი კვალი. ღამით მაბამენ, რომ მტერს ფხიზლად ვადევნო თვალი.
– მაშ, მართალს ვამბობ? გვიან მითხარ, რაც მთავარია!
– რა, არ დარჩები?
– არა, ძმაო, არა მცალია!

მე მირჩევნია თავისუფლად ნაპოვნი ლუკმა,
ვიდრე განცხრომა მონობაში და გდება უქმად. –
თქვა და მოჰკურცხლა, მყის განშორდა ტყესა და ღრესა,
და გარბის დღესაც!

მთარგმნელი **ხარიტონ ვარდოშვილი**

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1960 წ.




კაილაკ აბაშიძე

* * *

...აკაკის ხმატკბილმა ჰანგებმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მრავალტანჯული აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეში. აკაკის ლექსების პატარა კრებულები, რომლებსაც აჭარაში ავრცელებდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და მისი მსგავსი მამულიშვილები, ჩვენს გულში აღვივებდა დედა-სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობებს, გვინერგავდა სიმხნევესა და მომავლის რწმენას...

„აკაკი და აჭარა“

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1960 წ.



ვალეჩი ბიუსოვი

ასურული ლურსმული ნარწარა

მე – ბილ-იბუსმა ამოვკვეთე სიტყვები ესე,
 მე – ასურთ მეფის დიდ მემკვიდრეს არ მყავდა ტოლი.
 იავარვქმნიდი ქალაქებს და ვმუსრავდი ტომებს,
 აღვაშენებდი ქალაქებს და ღმერთების ტაძრებს.
 თანამეცხედრედ მშვენიერი ნირგალი მყავდა.
 ტუჩვარდო ნირგალ, მთვარე იყავ ვარსკვლავთა შორის.
 დალალ-კავები, ნირგალ, გქონდა ღამისებრ შავი.
 ძუძუს კერტები, ნირგალ, წითელ ყვავილს გიგავდა.
 მე შენი თეთრი თეძოები ძონით შევმოსე.
 შენ სურნელოვან ფეხებს, ნირგალ, ოქრო ჩავაცვი.
 როცა შენ მოკვდი, მე ორმოც დღეს უჭმელი ვიყავ.
 როცა შენ წახველ, მოვკალ კაცი ათი ათასი.
 მე – ბილ-იბუსი დიდი მეფე ვიყავ ამქვეყნად,
 მაგრამ შენ ქრები ვარსკვლავით, ადამიანო!...

თარგმნა გ. სალუქვაძემ


„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1960 წ.

შენი გაში-აჩუკი ვარ

საქართველოვ, ჩემო დედავ,
 შენი ტრფობით დამჭარი და
 ქოჩახელას ჭიბონითა
 მეც გიმღერი აჭარიდან.
 ჩვენც ვიცავდით ერის სინდისს
 მკერდი ხმლებით დავიხანით,
 საფლავშიაც ახსოვს სულთანს
 მაჭახელა და ხიხანი.
 ყანლიც გიმღერს, კახაბერიც, –
 ჩვენი სისხლით მორწყულები...
 შენს მადლიან ძუძუებსა
 ვენაფებით მონყურებით.
 მკლავდა მწარე ჭრილობები,
 შენ მაღამო დამაფინე,
 დედაენა მომაშველე,
 ზედ ბულბულად დამაფრინე...

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1961 წ.

მამია პაჩუნიაძე



ეპენი ეპუენკო

* * *

დარდმა ერთბაშად გადამიარა,
ქართულ სოფელში როცა მოვედი.
ნედლი ბალახით შვებას ვპოვებდი,
მიშუშდებოდა ყველა იარა.
მე გამიცრუა იმედი ქალმა,
რომელსაც ვანდე სიცოცხლე მთელი.
აღარ დამინდო არც მეგობარმა,
რადგან ვიყავი სიმართლის მთქმელი...

თარგმნა გ. სალუქვაძემ

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1962 წ.



კაკიგონ რუსიძე

* * *

კიბის საფეხურები ბერიკაცივით სვენებ-სვენებით აითვალა. დერეფანში შეჩერდა. სული მოიბრუნა. ცალი ხელი აბაგბუგებულ მკერდზე მიიღო, მეორე თეთრსირმებშერეულ თმებზე გადაისვა. ვიდრე მუხლების კანკალი გაუვლიდა, პაპიროსს მოუკიდა და ნაფაზ-ნაფაზ გააბოლა, თან თავის თავს შეუწყრა: – ასე რამ დამაგლახა, რომ მესამე სართულზე ასვლამ თითქმის წელში გამწყვიტაო. მართალია, იმ წყეული ავტომანქანის ავარიში რომ მოჰყვა, ფეხზე წამოდგომის იმედი ბევრმა გადაუნურა, მაგრამ მთელ წელიწადს სიკვდილთან ჭიდილში გამარჯვებული გამოვიდა, დახეიბრებასაც გადაურჩა და უწინდელი სალ-სალამათიც დაუბრუნდა...

„ორი მოქმედება“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1963 წ.

ნელი ლუბაძე


* * *

...ტიციან ტაბიძე ჩვენს ლიტერატურაში შემოვიდა როგორც ღრმა განცდის პოეტი. მისი ლექსები გამოირჩევა დიდი ემოციურობით, შინაგანი ლირიკული ძლიერებით. ისე, როგორც საერთოდ სიმბოლისტებმა, ტიციან ტაბიძემაც, პოეტურ ფორმათა შორის უპირატესობა ლირიკულ ჟანრს მიანიჭა...



„ტიციანის პოეზიის ძირითადი პრინციპები“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1963 წ.



უილიამ საკოიანი

* * *

... – ყოველთვის, როცა პიანინოს ვხედავ, საშინლად ვღელავ, – თქვა ბენმა.

– მართლა? რატომ? – ჰკითხა ემამ.

– თვითონ არ ვი-

ცი, – უთხრა ბენმა. – მოდი, შევიდეთ მაღაზიაში, ცოტას დავუკრავ.

– უკრავ? – ჰკითხა ემამ.

– ჰო, ჩემს დაკვრას თუ დაკვრა ეთქმის, – უთხრა ბენმა.

– რას უკრავ?

– ნახავ, – თქვა ბენმა.

ისინი შევიდნენ მაღაზიაში და კუთხეში მიდგმულ მომცრო პიანინოსკენ გაემართნენ. ემამ შენიშნა, რომ ბენი იღიმებოდა და გაოცდა. ასეთი ღიმილი არასოდეს ენახა მის სახეზე. ხშირად ხდებოდა ასე. ეგონა, კარგად იცნობდა ბენს და თურმე როგორ ცდებოდა. ბენი იდგა და თვალე-ბით პიანინოს ელამუნებოდა...

„პიანინო“

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1963 წ.

ბადაჯიონ ვაბიძე

ვინ იყო ის?

ვინ იყო, რომ ოცდაათი საოცარი გაფრენით ყოველი დღე და საათი აავსო აღმაფრენით?! საზენიტო ცეცხლის ალში მტრის ტყვიის დამცინავი, უყურებდა სიკვდილს თვალში გამბედავი მფრინავი? ვინ იყო, რომ შეაერთა ძალა შურისმგებლების,

თუმც გარს ერტყა ურდო მტერთა გამანადგურებლების?

ვინ იყო, რომ აღმაგზნები მიუდგომი შიშისთვის,

ბელგოროდის გახსნა გზები

ჩვენი იერიშისთვის?


– შვილი ქართლის და აჭარის,

სავსე გულის სიალით –

ჯინჭარაძე! გახდა ჯარის

საპატიო გრიალი...

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1963 წ.



ლავრენტი ძიმისგაიშვილი

* * *


არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ ღამეს

საყვედურები მრავალი მერგო,

ალბათ, თქვენ გსურდათ, რომ ვყოფილიყავ

ვაჟკაცი ვეფხი, ვით აივენგო...

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1963 წ.



ჯოზ ნესინი

* * *

ოთხი წელია ტაქსიში არ მჯდარა, დღეს კი ერთობ საჭიროდ მიიჩნია, რადგან საცოლე ახლდა.

პარკის წინ ავტოები იდგა. ყველაზე ძველი ამოიღეს ნიშანში. მძღოლების ბუნება მშვენივრად იცოდნენ. რამდენადაც ახალია ავტო, იმდენად დიდგულობენ. მანქანის პატრონი ხანდაზმული აღმოჩნდა. გაეხარდათ, გამოცდილი მძღოლი სულ სხვააო. ჩასხდნენ...

მძღოლმა მრიცხველი ჩართო, ციფრები წამდაუნუმ მატულობდა: 60, 65, 75, 95...

- მშვენიერი დღეა, არა? – თქვა ქალმა.
- დიახ... თქვენ წარმოიდგინეთ...

„მიზოქეთ, რასაც ინებებთ“

თურქულიდან თარგმნა ნანა გვარიშვილმა

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1965 წ.

გენიევა ჟუთათელაძე

დიახ, მე ვარ!

„Ego vir videns“,

დიახ, მე ვარ კაცი მხედველი,
და სულაც არ ვგრძნობ თავს უბადრუკად
რახან მოვკვდები...

დღეს ცოცხალი ვარ,
დავაბიჯებ ამ მზისქვეშეთში
და ჩემი გონით ზეცას ვწვდები,
აზრებით ჩემით გადავსებულა სამყარო მთელი.



იპაძელა 1963 წლიდან

გი რე მოჰასანი

* * *

...„ჩემო ძვირფასო დედა, აქამდე იმიტომ არ გწერდი, რომ არ მინდოდა, იძულებული გამეხადე, ტყუილუბრალოდ ჩამომეყვანე პარიზში, რადგან მე თვითონ დღე დღეზე ვაპირებდი შენს მონახულებას. ამჟამად დიდი უბედურება დამატყდა თავს და მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში ვარ. სამი დღის წინ ჩემს ცოლს გოგონა შეეძინა და ახლა სიკვდილის პირზეა. მე კი ერთი სუც არ გამაჩნია. არ ვიცი, რა ვუყო ბავშვს. ჯერჯერობით მას შეძლებისდაგვარად ჩემი მეკარე ქალი ზრდის საწოვართი. მაგრამ მეშინია, ისიც არ დავკარგო. ხომ არ შეგიძლია, შენ იკისრო მისი გაზრდა? მე სრულებით არ ვიცი, რა გავაკეთო და არც ფული მაქვს, რომ ბავშვი გავაძიო. მიპასუხე სასწრაფოდ. შენი მოსიყვარულე შვილი...“

პოლი“

„წუთისოფელი“

მთარგმნელი ლამარა მხეიძე

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1966 წ.





შოთა რუსთაველი

ქალი

ჩემი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა,
ჩემი რწმენა და რწმენის სასახლე,
მე გამოგძერწე ჩემი ნეკნიდან
და ჩემს სალოცავ ხატად დაგსახე.
შენით მოვიგე ომი მრავალი,
ზედ მტკვარზე შენთვის
დავდგი ტაძარი,
შენა ხარ ევას შთამომავალი
და მე კი შენი ცეცხლით დამწვარი.
ადამის ძე ვარ... და რა მეღონა,
თუკი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა,
შენ ღმერთმა კი არ გამოგიგონა,
მე გამოგძერწე ჩემი ნეკნიდან.

თუ გული შენით არ ალეგზნება,
გული კი არა ცივი ლოდია,
ძველი რომი ხარ და ჩემი გზები
დასაბამიდან შენკენ მოდიან.
მე შენ განგებას ვერსად წაუვალ
და ჩემი ლექსი როგორ გაკადრო,
შენ – ჩემო დიდო დღესასწაულო,
ჩემო სათავევ და შენაკადო.
მზე კურცხალივით ცაზე ეკიდა,
მარტო ვიყავი და შენ გინატრე,
მე გამოგძერწე ჩემი ნეკნიდან
და სამოთხეში დაგაბინადრე.

იზაქიაშვილი 1965 წლიდან

ცისანა ანთაძე

სტუმრად პოეტთან

მაგიდაზე ლიმონი – მონატრება მთვარის,
ჩალვენთილი სანთელი – სტალაქტიტის მირაჟი;
ჩალენილი ფანჯრიდან მაგრა უსტვენს ქარი,
რადგან მტვერი შემოდის მილიონი ტირაჟით.
წაქცეული ჭიქა. დაცლილია ბოთლი,
ახალშობილ სტრიქონთან თავმიდებულს სძინავს...
გაზქურაზე ჩაიდანს აროხროხებს ორთქლი,
ესეც, შენი პოეტის ნაფერები ბინა.

იზაქიაშვილი 1966 წლიდან



ღაღო შაჩაშიძე

* * *

...აჭარაში სახვითი ხელოვნების განვითარების პირველ პერიოდში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1936 წელს ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის შექმნა. ამ სასწავლებელმა ხელი შეუწყო მხატვართა ახალი, განსაკუთრებით ადგილობრივი ძალების აღზრდა-გამოვლინებას...

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1967 წ.

ჯეპალ ხოზაქია

* * *



პალატაში სიჩუმეა...

კედელთან მდგარ სანოლზე კუბუიამა წევს და ჭერს შესცქერის... მისი ფართოდ გახელილი, ამოღამებული თვალები გამოუთქმელ ტკივილსა და სევდას გამოხატავენ. შეშუპებულ, შოკოლადისფერ სახეზე ალაგ-ალაგ ხმელი, დამჭკნარი ფოთოლივით ჩამოჰკიდებია დამწვარი კანი, რომელსაც დროგამოშვებით მედდა ჰინცვით აცლის.

ხელები და მკერდი შებინტული აქვს და თეთრი, ქათქათა სახვევი საოცარ კონტრასტს ქმნის მის შავ, გასავათებულ სახესთან. ფეხები დიდი ხანია, წაერთვა და ახლა იარებითა და წყლულებით დაღარული გაუნძრევლად, თაბაშირის ყალიბივით გაშეშებული აწყვია ზენრის ქვეშ...

„ნაცრისფერი ფანტელები“

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1967 წ.



ნოლაქ ძიკვაძე

* * *

ჩიტუნებს უხარიათ გაზაფხული...

მეც მიხარია...

ყვავილებს უყვართ მზე...

მეც მიყვარს მზე. მისი სითბო კიდევ უფრო მახალისებს. აი, ახლაც შინიდან გამოსულს შიგ თვალებში მიცქერის. ჩემს ზემოთ ყვავილმოსხმული აკაციის ტოტები ირხევიან...

„როცა გაზაფხული დგება“


„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1968 წ.

შოთა ანანიძე

იას

გეძინა? აბა, ასე
რატომ გვესტუმრე გვიან?!
გული გაუსკდა იელს
შენს დანახვაზე, იავ!
ხომ ხედავ, პატარები
რარიგად გეხვევიან,
თუ გინდა მადლი ჩვენი,
ნუ გვესტუმრები გვიან!..

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1968 წ.





კაკა თებიძე

გავყვები, ბილიკს გავყვები,
გავყვები, ველთა ცდუნებებს,
შემომხვდებიან არყები
და მზერას მომაცხუნებენ,

* * *

მომაგონებენ ცხელ სუნთქვას
ამღერებული მკერდებით.
სულ მუჭა-მუჭა შევსრუტავ
ჩანჩქერებს მაღალ ქედების.

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1968 წ.



ლევან ანანიძე

მთა პირანზა

მთის ნვეროზე ფაფარგაშლით
ქარი ღრუბლებს ღამბავს,
გული ღელვით კვლავ იგონებს
იმ უძველეს ამბავს.

ხევს ჩრდილები დაუგია
ტანაშოლტილ ხეთა,
იქ, შამბნარში, შვილს მწუხარედ
დაეძებდა დედა...

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1968 წ.



ჯონი ჯიჯიბზილი

* * *

ქუჩაში აჩქარებით მიდის გოგო...

– დაიცა-მეთქი! – ღელავს ვაჟი და მისდევს...

გოგო გაქცევას აპირებს, ბიჭი ეწევა.

– გაჩერდი!

– არ მინდა!

ვაჟს მოთმინება აღარ ყოფნის, მკლავზე ეპოტინება.

– გამიშვი!

– არაფერიც, – ვაჟი გზას უჭრის.

– გამიშვი... ხალხი ნუ შემეიყარე!

– ეგ არაფერი...

– თავი დამანებე!

– მოგკლავ!

– ოჰ, როგორ შემაშინე! – აჯავრებს გოგო...

„არაფერი ისეთი“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1968 წ.



მუხიან კობალაძე

* * *

...ნინა ღამით ქეიფის შემდეგ ატეხილ აყალმაყალში ვიღაცამ თვალი კინალამ ამომიგდო. მეუღლის შიშით ოთახში ჩუმად შევიპარე და სანოლს მივაშურე. დილით, როცა შევნიშნე, რომ მარჯვენა თვალის ქუთუთო საშინლად შემსიებოდა, მეუღლე ვიხმე.

– რა მოგივიდა? – შეიცხადა.

– მარგალიტივით ქმარი გელუპება, – გავაფრთხილე მე.

– რაღა მეშველება, ჯამაგირს ვინ მოიტანს? – შეშინდა ცოლი.

– ექიმი, ჩქარა! – დავიძახე მე, – თუ თვალი დამეცხო, ჩემი პენსია რას გეყოფა!

მეუღლემ სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

ექიმი ხანში შესული კაცი აღმოჩნდა. დინჯად მომიახლოვდა. მარჯვენა თვალის ქუთუთო ჯერ მალლა აქაჩა, მერე დაბლა ჩამოქაჩა, ბოლოს თვითონ გადმოქაჩა თვალეები და ერთხანს ასე მიყურა, სანამ რამეს იტყოდა, ჩემი მარჯვენა თვალიდან სიმწრის ცრემლებმა გამოჟონა.

– მდაა! – სამწვერა ნერვის ანთებაა! – დაასკვნა ბოლოს...

„სამწვერა ნერვის ბრალი“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1968 წ.



მაკიჯან

ბაბკაჷ შინკუბა



* * *

ბუხრის პირას დღიურების წყება
ავფურცლე და გადვიკითხე ხელად.
ზოგში შემხვდა უვნებელი ვნება,
ზოგი რამეც მომეჩვენა ძველად.
რისთვის? ვისთვის? ან რად მინდა, ნეტავ
რვეულებში შეხიზნული ბოდვა?
რაც მიმაჩნდა მე სინათლის სვეტად,
თურმე იყო მშვენიერი ცოდვა...

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 1968 წ.

* * *

თითქოს ლურჯ ცაში გამოკიდულა
და მაგიური ძალა აჩერებს,
ციცაბო კლდეზე ჩამობინდულა
ნორჩი ხე და ნორჩ ტოტებს აჩქერებს.
საიდან გაჩნდა იქ ეს მშვენება?
კლდეს გადუფრინა არწივმა, იქნებ,
სად თავის ბუდეს რომ იშენებდა
და დაუვარდა იმ არწივს იქვე...

თარგმნა მამია ვარშანიძემ

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1968 წ.



ივანე თარგამაძე

აფხაზეთო ჩემო

აფხაზეთო ჩემო,
ჩემო ტკბილო დედავ!
მაპატიე, ისევ
თუ სიმღერას ვბედავ.

არ მეყოფა სუნთქვა,
არ მეყოფა მზერა,
მაგრამ რა ვქნა, მაინც
სიყვარულის მჯერა...

მთარგმნელი კ. კალაძე

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1968 წ.

ფუსუ ღებუაძე-ფუღიაძე

* * *

...მეორე დღით პატარა, დაბალ ქვითკირის სახლს მუშები შემოესივნენ. ერთგულად ნაშენი გამოდგა ძველი სახლი. მუშამ წუთით წერაქვი შეაჩერა, ოფლი მოინმინდა და ამხანაგს გადასცა:

– ბიჭო, არ შეგვიკლა ხელში ამ ბებრუხუნა კედლების ნგრევამ?!

სესეანთი ყველა სამსახურში იყო. ხოლო თვალცრემლიანი ნანო ახალი ბინის ფანჯრიდან გაფითრებული გასცქეროდა ძველი ბუდის მოშლას.

„ძველი სახლი“

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1968 წ.

ანდრო თევზაძე

განახლდა გული

განახლდა გული და შენკენ ვილტვი,
გახსენი ბალის ყველა კარები,
სევდისმომგვრელი გაფანტე ეჭვი,
სულს მიეც შევება გამოდარების...

რაც დაკარგულია, ის აღარ მოვა,
რაც დარჩა, ისიც არის საკმარი
და ყვავილების ჩავთვალთ თოვად,
თუ თმაში ადრე გაჩნდა ზამთარი...

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1968 წ.



ვიქტორ გაბესკირია

წვია ბათუმში

მტირალა ერქვა იმ მთას, დღეს კი ჰქვია ცისკარა,
ღრუბლები მაინც მივლენ მასთან, მისი დებია,
ზოგჯერ წასკდებათ ცრემლი მათ და, ის მთა კი არა,
ბარში სახლები და ხეებიც ატირდებიან.

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1968 წ.



აბულ სუკბულაძე

* * *

...ქართველთა ზღვაოსნობის შესახებ ერთ-ერთი უძველესი ცნობა დაცულია ბერძენი მწერლის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“. ავტორი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ცხოვრობდა, მიგვითითებს, რომ კოლხეთი საკმაოდ ძლიერი საზღვაო სახელმწიფოა, ხოლო კოლხები – დახელოვნებული და გამბედავი მეზღვაურები არიან, თვით კოლხთა მეფის – აიეტის საზღვაო ფლოტი „ხომალდთა ლაშქარი კი არა, ფრინველთა ურიცხვი გუნდი არის“...

„ქართველთა ზღვაოსნობის ისტორიიდან“

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1968 წ.



ჯემალ ჯოთაბიძე

ზღვასთან

აქ ზღვა მარტო ზღვა როდია,
ან მარტო წვა და ოცნება,
ზღვასთან ზღვა გულით მოდიან
ტალღების დასაკოცნელად.

ზღვა ზოგჯერ ურჩობს, დიდგულობს
შლეგი ქარებით ნაცემი.
ზვირთზე სიყვარულს ვკითხულობ,
თოლიის ფრთებით დაწერილს...

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 1969 წ.


ნორაკ მოღიბაძე

* * *

– დავკარგე, ყველაფერი დავკარგე! – შემომჩვილა ერთხელ მეგობარმა. დიდი ხნის უნახავი მყავდა, გამიხარდა მისი დანახვა, მაგრამ ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაფიქრინა, რა უბედურება დაატყდა ასეთი-მეთქი.
– გაგქურდეს? – ვკითხე შეცბუნებულმა.
– არა, არავის არ გავუქურდივარ! მე თვითონ გავქურდე ჩემი თავმოყვარეობა, სინდისი, ღირსება...

„სინანული“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1969 წ.



ზაქრო კახიძე

აღმართი

სტარტზე ვარ უკვე. მიხმობ, მეძახი
და წყურვილი მკლავს – გაგლიო მალე.
ჩემი მზითა და ჩემი ვენახით
აეუთავდები, მჯერა, შენს ვალებს.

კბოდის წინაშე თუკი ვჩერდები,
ნუ გეგონება, მორჩა ყოველი.
მე შენს სიმაღლეს შევაბერდები,
იქა დგას ჩემი სვეტიცხოველი.

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1969 წ.

„მოდის და აგზობს „ჭოროხი“

რედაქციისაგან

თორმეტი წელია, ჩვენი ჟურნალი გამოდის „ლიტერატურული აჭარის“ სახელწოდებით და ემსახურება ქართულ საბჭოთა მწერლობასა და ხელოვნებას, მშრომელთა იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას, ახალი საზოგადოების მშენებლობას.

აჭარაში ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის გამოსვლა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა შეაფასეს როგორც მთელი ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუწყნებელი ზრუნვის მკაფიო გამოვლინება. იგი მოწმობდა იმ დიდ ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას, აჭარამ ჩვენს დროში რომ მიიღწია.

თორმეტი წლის განმავლობაში ჟურნალმა ბევრი რამ კარგი დათესა და ახარა აჭარის საუკუნეობრივ ყამირზე; ნიადაგ იმას ცდილობდა, მალლა სჭეროდა გონების ლამპარი, რომლის ჩაქრობას რამდენიმე საუკუნე ლამობდნენ ჩვენი სამშობლოს მტრები; ხელი შეუწყო ცნობილი ქართველი მწერლების გვერდით ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტებისა და პროზაიკოსების გამოჩენას, მათ შემოქმედებით ზრდასა და დავაჟკაცებას.

ჩვენს ჟურნალს არასდროს არ შემოუსაზღვრავს თავისი სამოქმედო ასპარეზი; მართალია, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო იყო, მაგრამ მისი ავტორთა კოლექტივი მარტო აჭარაში მომუშავე მწერლებით არ იფარგლებოდა, თემატიკურადაც მდიდრდებოდა და იგი აჭარის თანამედროვე სოციალურ ყოფასთან, გმირულ წარსულთან ერთად ასახავდა მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებას, საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს.

„ლიტერატურული აჭარის“ იდეურ-მხატვრული დონის ზრდის შედეგად დაისვა საკითხი, რომ ის ქცეულიყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანოდ, ამასთან შეცვლოდა სახელიც. თვით მწერლებმა აირჩიეს „ჭოროხი“.

ჩვენი ხალხისა და მწერლობისათვის ჭოროხი მარტო გეოგრაფიული სახელი როდია, იგი მარტო იმით როდი გვხიბლავს, რომ ულამაზეს ხეობაში მოედინება ხმაურით და ბოლოს, აჭარისწყლით გაუხვებული დინჯად მიიწევს ზღვისაკენ. არა, ჭოროხი ჩვენი ავბედითი ისტორიის ნაწილია! სწორედ ჭოროხთან აღექვრის ქართველ კაცს მწველი ფიქრები, ამ ძველთაგანვე ცნობილ ქართულ მდინარესთან, მრავალი დროების მოწამესთან, ალბათ, ამიტომ თქვა პოეტმა – „ჩემს სულში ჰქონდა ჭოროხს სათავე“.

„ჭოროხის“ პირველი ნომერი გამოდის იმ დროს, როცა საბჭოთა ხალხი და მთელი მონინავე კაცობრიობა ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის იუბილესთვის. საბჭოთა ლიტერატურა კვლავაც ერთგულია ლენინური პრინციპებისა და გამოირჩევა თავისი იდეური შეურიგებლობით, შემტევი ხასიათით, ხალხთან, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით. ჩვენი ჟურნალიც ამ გზით ივლის „მნათობის“, „ცისკრის“ მხარდამხარ და კეთილგონივრულ სამსახურს გაუწევს ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას.



გიორგი ლეონიძე

მაჭახელა

(ექსპრომტი)

ამა თოფისა მსროლელი
არა ყოფილა ლაჩარად,
თავისუფლების წყურვილის
მეტი მას არა დარჩა რა!

ამაყად ბრწყინავს ბათუმი, –
მტერს პირში ბურთი ჩასჩარა,
თამარის ღიმი კვლავ ჰყვავის,
დღემდისაც აღარ დამჭკნარა!

თოფი ესროლა, ხმალი სცა,
მტერს შუბი მკერდში გასჩარა!
ისევ დგას გონიოს ციხე
და კახაბერიც დამრჩალა!

შვილი ვარ, განა მოსული,
შორიდან გადმონაჭარად?
შენს სიყვარულს და ტრფიალსა
გულში ვინურავ მაჭარად,

გული ხარ საქართველოსი, –
მესხეთო,
ჩემო აჭარა!..

21 მარტი, 1960 წ.

„ჭოროხი“, №3, 1970 წ.

აკაკი შონია

* * *

...გოდერძის უღელტეხილის სიმაღლიდან გონების თვალთ აჭარაც
კარგად ჩანს და მესხეთიც.

უკან დარჩა წონიარისი, ნიგაზეული, სხალთა, თვით ეს პატარა თო-
ვლის ყვავილიც...

წინ არის მესხეთი, დიდებული მესხეთი, ქართული გენიის წმინდათან-
მინდა აკვანი, საოცრებათა მხარე.

ვარძია!

მსოფლიოს შვიდივე საკვირველება შემოგვევლოს.

შენი ამშენებლის რა ბრალია, რომ იმ სიაში არა ხარ.

ვილაცამ ნებისმიერად მერვედ თუ მეცხრედ მიგანერა, მაგრამ შეცდა. შენ აგრე იოლად დასანო-
მრავი არა ხარ.

რუსთავი, მესხეთის რუსთავი!

პოეტური გენიის თვალშეუდგამი მწვერვალი.

ახლა აქეთკენ მოიჩქარიან შენი ანასხლეტი მიზრაფები, რომ შენს მიწაზე აახმიანონ აჭარაში
თქმული ქართული საგალობლები; მოგიტანონ ამბავი სიცოცხლის გადარჩენისა...

„აჭარა-მესხეთის გზებზე“

„ჭოროხი“, №5, 1970 წ.





ეპენ ლავითაძე

რინა-ზღვა-რინა

სხვა რა ერქმევა ამ ახირებას,
თუ არა ქროლვა –
რინა-ზღვა-რინა,
რა საჭიროა გაჯახირება,
რომ ამ უსაზღვრო მიწას

ზღვარიც აქვს.
ცრემლი სდიოდათ ნისლებს, სევდიანს,
თორემ... რა უნდა სევდას რინაზე,
მთები, ირწმუნებ, ისე გეტყვიან –
სხვა დაბა არ არს დედამიწაზე...

„ჭოროხი“, №6, 1970 წ.


ლილი ნუსუბიძე

ვიქრები ღავით აღმაშენებლის საფლავთან

ნეტავ, ასეთი რა ცოდვა გაძევს,
ვფიქრობ და ცრემლი ღანვზე დამადნა,
ვერ შეგისრულებ, მეფეო, ანდერძს,
ვერა, შენს გულზე ფეხს ვერ დავადგამ.

საუკუნეებს სძინავს ამ ლოდთან,
ზარები რეკენ სადარდიანოდ,
ქარს გაუშლია თმები და მოთქვამს,
მე გულზე როგორ გადაგიარო...

„ჭოროხი“, №1, 1972 წ.



შაქო კომანაძე

* * *

...ერთი კვირა, გადაუღებლად წვიმდა. იმ დილით გამოიდარა, და მერე როგორ, ცაში ღრუბლის ნატამალიც არ ჩანდა, ფერდობებზე ხალხი გამოფენილიყო. ზოგი სიმიწდს იღებდა, ზოგი მოტეხილ ტაროებს არჩევდა. ვინ შეშას ქრიდა მახლობელ ტყეში და ეზიდებოდა. ნამდვილი შემოდგომის სანატრელი, ოქრო დღე იდგა, სოფელში უქმად კაცს ვერ ნახავდით...

„ამ ქვეყნის კაცი“

„ჭოროხი“, №2, 1972 წ.


ზეკა კომანაძე

ღასაწყისი

ყველა რაიმე მიზეზით მოდის,
ყველა რაიმე საბაბით ჩნდება,
როგორც სინათლის მარადი ტოტი,
მამულს შეელტვის და უერთდება.
ვიცი, წვეთი ვარ ბობოქარ ზღვაში
და ზვირთთან შებმის სურვილით ვინვი,

ატირებული ცრემლებით ბავშვის,
სიყვარულს ვბედავ მშობელი მიწის.
სანადელს, იქნებ, ვერასდროს მივწვდე;
ვერასდროს მივწვდე სიმაღლეს მთების.
სიცოცხლეს მაინც ლექსებით ვინყებ
და სამშობლოში ლექსებით ვჩნდები.

„ჭოროხი“, №5, 1972 წ.



ზუკაბ გოგვილაძე

„აჭარელი ვიყავ განა“

ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა,
ქედა, შუახევ, ხულოიდანა,
დედო დვრინით დამემლერა
დიდგოროზი მთები თანა.
მთები... ვისთვის თვალსეირი,
ვისთვის ჯავრი შიგნიდანა,
თეთრ პერანგებს ხრამში ყრიდნენ,
ლურჯს იცვამდნენ თანდათანა,
კლდის კატარში მზე ყვაოდა,

კლდის ბორჯულზე ბენჩქვი ყანა,
გვანცას ლოცვებს ვაზის სული
გორით გორზე გადეყვანა,
ვარჯანისთან, ნაჯვარისთან
დაჯვარული ქვები ნვანან,
ქვებში ჩუმად დაქვითინებს
ჩემი დიდი ნენეს ნანა,
დერდებს გულში ვიბექსნიდი,
„აჭარელი ვიყავ განა“...

იბეჭდება 1958 წლიდან

„ჭოროხი“, №5, 1972 წ.

ღევენ სანიკიძე

* * *

ეს ქალი სიცოცხლეში არ ყოფილა ისეთი ლამაზი, როგორც ახლაა, – მკვდარი, – გაიფიქრა კაცმა, როცა საფლავის გათხრა დაამთავრა. სატე-ვარი ახლად ამოყრილ მიწაზე მიაგდო და მთვარის სხივებით დასანთლუ-ლი ქალის სახეს დააცქერდა.

„კი, ძალიან ლამაზი ყოფილა“.

მის თავითი ჩაჯდა. დიდხანს ორივე უძრავად იყვნენ, მკვდარიც და ცოცხალიც.


ირგვლივ ყინავდა. ყინვისაგან პირი შეკვროდა თოვლიან მიწას და ვარსკვლავებით მოჩითულ ზეცას. ყინვა ყინავდა ყველაფერს და ყველას, მკვდრებსაც და ცოცხლებსაც.

„მკვდრებსაც?!“

კაცს გაახსენდა, ქალის მკვდარ სახეს წამით მოშორდა და მიმოიხედა.

იქვე, საფლავიდან ცოტა მოშორებით, ორი ადამიანი იწვა გაუნძრევლად, მშვიდად, უდრტვინველად. ერთი თავდაღმა ეგდო, სხეულზე ხელებმიტმასნილი, ბლაგვად თავნამახული ნამორის მსგავსი; ხოლო მეორე – გულაღმა ესვენა და ხელმკლავგაშლილი თოვლზე დაგდებულ მოღრეცილ შავ ჯვარს ჰგავდა.

„იმათ მომიკლეს მე... მე მოვკალ ისინი...“



პროლოგი რომანისა „ლაზური წიგნები“

„ჭოროხი“, №2, 1973 წ.



ღაპით თქლოკაძე

ბორკილად მადევს ავტონომია

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს –
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკვივი!
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედათბილისო, ამხსენ ბორკილი!

სამასი წელი მკლავდნენ მორკინალს,
სულს მიმღვრევდნენ და ახლა მოვკვივი!

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა,
მწარე წარსული, სავსე გმირობით,
გიხმობდა დედას გადასარჩენად.

მეც უნდა მეცხოს მცხეთის მირონი,
მტერმა ვერ შეძლოს ჩვენი გარჩევა.

თუ შვილს ეძებდი მტერთან მორკინალს –
მტერი ვძლიე და მწარედ მოვკვივი,
ბორკილად მადევს ავტონომია,
დედაშვილობას, ამხსენ ბორკილი!

1980 წ.

იკეძღება 1972 წლიდან

ვლადიმერ მაიაკოვსკი

მაქრთამეაზი


„დაუკითხავად ნუ შემოხვალთ!“ –
წერია კარზე
იქ,
სავარძელში,
გალაქული ზის აცლაცლად.
მარქსის სურათი
დასცქერის თავზე.
პასუხისმგებელს
მონინებით მოპყრობა
უნდა.
კონტრაბანდული

ნაჩუქარი
მოსავს ყილეტი.
დევეს ერთ ჯიბეში
კალმისტარი –
ან წერს,
ან ნაშლის.
ჩანს მეორეში
წკვერტი ბილეთის
აღნიშნულია შიგ გრძელი და
ნანმენდი სტაჟი...



თარგმნა გ. სალუქვაძემ

„ჭოროხი“, №4, 1973 წ.



საკობ კვლიაშვილი

* * *

თითქმის ფოლკლორული ხასიათის ეს პატარა ამბავი დიდი ხნის წინათ გავიგონე. მაშინვე რომ ჩამენერა, რა თქმა უნდა, აჯობებდა. ალბათ, არაერთი სახასიათო გამოთქმა და ეპიზოდის დავინწყებული მაქვს და აქ არ შემიტანია. ამით კი, ცხადია, გავაფერმკრთალე ამბავი და შევუზღუდე სიღრმე და სიგანე, რომელიც მას უნდა ჰქონოდა. ახლა რაღას იზამ, იძულებული ვარ, ისე გავიხსენო, როგორადაც მეხსიერებას შერჩა...

„ახირებული კაცი“

„ჭოროხი“, №4, 1973 წ.



აკაპაჰ სუკმანიძე

* * *

ახალციხელ ათაბაგთა უკანასკნელი მოჰიკანის, იესე ჯაყელის, შვილიშვილი – ზვიადი ჰელიმ-ალა სახლის აივანზე იჯდა, ყალიონს აბოლებდა და კალოზე პურის მლენავ გლეხებს ადევნებდა თვალს, რომ ეზოში გაქაფული ცხენი შემოაგელვა მხედარმა.

– ლაშას ტყის ბოლოს, ვანგეშას ტბასთან, უცხო ყმანვილი ვნახეთ, აღავ. აქაური არ უნდა იყოს. შიმშილისა და უძილობისაგან ლაპარაკის თავი აღარ აქვს...

„პაპაჩემის ხანჯალი“

იბეჭდევა 1964 წლიდან.

„ჭოროხი“, №6, 1974 წ.

თინა შიოშვილი


* * *

...ფურტიოს ხიდს აჭარლები „დედოფლის ხიდს“ ეძახიან. სხალთაში მიმავალი თამარი ამ ხიდზე გაივლიდა ხოლმეო. „ხიდს რომ მიადგებოდა, ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირასო“. ხიდის მარცხენა მხარეს უჩვენებენ მიწაში ღრმად ჩაფლულ ოთხკუთხა ლოდს, რომელსაც „დედოფლის ქვას“ ეძახიან. „თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავის ჯორზეო“. ფურტიოდან სხალთაში მიმავალი გზისათვის კი, თამარის პატივსაცემად, „დედოფლის გზა“ შეურქმევიათ...



„აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული ნიმუშები“

„ჭოროხი“, №2, 1976 წ.



იუნა მოკიცი

თბილისის ღამე

მე ვარ ფრინველი, ვარ უკარება,
შავი რტოები ქარში ირწევა,
როცა მენვევა მე მწუხარება,
არ მივეცემი თავდავინყებას.

წყეულიმც იყავ! ნადი! გამშორდი!
სიმარტოვესაც მივიტან გულთან.
ჩემს მწუხარებას წაიღებს თოვლი
და შენზე ხსოვნას, თოვლივით სუფთას...


თარგმნა შოთა ზოიძემ

„ჭორონი“, №3, 1976 წ.

ღაღო სულაბეკიძე

გზნების პოეზია

სულის სიმტკიცე არ აბერებდა, –
ჩვილს დედა ღამეს აქ უთენებდა.
მიდის პოეზია ალამბრელებთან,
მიდის პოეზია ქაქუთელებთან.



„ჭორონი“, №5, 1976 წ.

ნელი თაბა

ქაბლი – სასნაული

როცა ვუცქერდი გრანიტის გოლიათს,
როგორც სასნაულს, როგორც კლდეს უძლევს,
ვფიქრობდი – ათი ძეგლის ტოლია,
წამომართული ქალაქის გულზე.
მზის სადიდებელს სვამდა პეშვებით
ხე, ამოზრდილი მშობელ მიწიდან;
ჩაკონებოდა მიწას ფესვებით
და ზეცისაკენ ტოტებს იწვდიდა.

თარგმნა ქსენია მყავიამ


„ჭორონი“, №3, 1977 წ.

მიხეილ ქვლივიძე

* * *

დღეს კიდევ ერთი წელიწადი დავასამარე!..
გადაიფურცლა კალენდარი და იგი ახლა
საფლავის ქვას ჰგავს, რომ აღნიშნავს ჩემს მაგიდაზე
განსვენებული წელიწადის დამარხვის ადგილს.
ამ „საფლავის ქვას“ არ ამშვენებს ეპიტაფია:
„ჩვენ წელსა“ ან „შენდობა მითხარი, მგზავრო!“
მას ანერია ხელგაკრულად: სად, როდის, რატომ,
რაც მთავარია, ვისთან ერთად... ჰო, ვისთან ერთად
დროის მოკვლისთვის უნდა ვაგო ახლა პასუხი!

„ჭორონი“, №4, 1977 წ.





სოსო აბაშიძე

წყალგაღვა

ასე გახელილი სარკმელი და
ცაზე ნახევარი მთვარეა,
არამი ხატი და სალოცავი,
ღვინო უმიზნო და მწარეა.

მღვრიე თემი და წყაროსწყალი.
ლამე წუხილივით მოვა
ვაი, თამარელა მეცოდება
უცხო სარეცელის გლოვა...

„ჭოროხი“, №4, 1977 წ.



ბაკრი თაყვაძე

* * *

ვიცი მრავალჯერ განუბანია
მზეს მენამული მტკვარში დალალი,
მხედართა ჯარი გვყოლია მცირე,
ლექსთა ჯარი კი სხვაზე მრავალი.

ორივ ლაშქარი იქცა ლომებად
და თუ არ დავრჩით ტურის არჩივად,
დღესაც არ ვიცი მაინც რომელმა,
რომელმა ჯარმა გადაგვარჩინა.

„ჭოროხი“, №4, 1977 წ.



ამიან ხაბაზი

მთიელი ქუჩაში

მთიდან ჩამოვიდა ჯმუხა კაცი,
ფეხქვეშ ცხელი ქუჩა შემოენთო,
ბოლჩა სატინაში გამოკრული
მხარზე უდარდელად შემოედო.

ლამე სავსე იყო სურნელებით,
ქვრივის კაბასავით ჩალილული,
მიდიოდა დიდ მთასავით მოუქნელი,
და ძველ ციხესავით ჩაკირული...

„ჭოროხი“, №4, 1977 წ.



ნიკო კვესელიძე

* * *

...1925 წელს, როდესაც დავდიოდი ბათუმის ქუჩებში, აჭარის მინა-წყალ-ზე, ვგრძნობდი, რომ მთელი ჩემი არსება, და არა მარტო ჩემი, სავსე იყო 1878 და 1915 წლების გრძნობებით, რომ საჭირო იყო, დაგვეცვა ღვიძლი ძმები...

„ბათუმის წარსულიდან“

„ჭოროხი“, №1, 1978 წ.



ვახტანგ ვახტანიანი

სოფ გამოველი კაცი

(ნახევრად ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. ცხოვრობდნენ ღარიბულად, მაგრამ ტკბილად. მეზობლებს თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. მხოლოდ ერთი რამ ანუხებდათ – შვილი არ ჰყავდათ. დანოლის წინ ერთთავად ღმერთს ევედრებოდნენ, ერთი შვილი მაინც გვაჩუქე, სიბერეში უპატრონოდ და მიუსაფრად რომ არ დავრჩეთო.

დრო გადიოდა, ყოვლისშემძლე კი ყურსაც არ აპარტყუნებდა.

ის იყო, თითქმის გადაინურეს იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქალმა უცნაური გულისცემა იგრძნო. მერე კი თითქოს რალაცამ გაუფაჩუნა მუცელში.

– ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, – თქვა მან, – ნუთუ ისმინე ჩვენი ვედრება? გაფაჩუნდი, ჰო, გაფაჩუნდი კიდევ.

ჩვილმა, თითქოს გაიგონაო დედის ხმა, უფრო ძლიერად გაიქნია ფეხები...

„ჭოროხი“, №1, 1978 წ.

ქუქუნა ხაჯიშვილი

სიმარტოვე

ახლა გრძნობა ისე ხალასია,
როგორც შენი სულის სიხატოვნე,
ალბათ, მარტოობაც ლამაზია,
როცა ღმერთის სწორი მიგატოვებს.

დღეებს ულამაზეს სევდად მიაქვს
შენგან განწირული ნატვრის გლოვა.
ალბათ, სიყვარულზე სპეტაკია,
ასჯერ სპეტაკია სიმარტოვე.

ერთხელ კიდევ, ჩემო სალოცავო,
რამე გასაოცრად წმინდა მთხოვე,
მოდი, ერთხელ კიდევ გამომცადე,
კიდევ გამწირე და მიმატოვე...



„ჭოროხი“, №2, 1978 წ.



მეკაბ აბაშიძე

* * *

...კვირაზე მეტი იყო, რაც არ მენახა. გამოცვლილი მეჩვენა; უხდებოდა გრძელი, მუხლის ქვემოთ გაჭრილი კაბა. ქუჩაში დიდხანს არ დავყოვნებულვართ. სახლისაკენ რომ მივდიოდით, ლილი „მამაოს“ ახალ სამიჯნურო გამონდომებს მიყვებოდა და სიცილით იგუდებოდა. მისი მეზობელი – ხანში შესული მღვდელი თავდავიწყებით იყო მასში შეყვარებული...

„იხრჩობდნენ ჩემი ვნებები“


„ჭოროხი“, №2, 1978 წ.

ზუკაბ ზიკსხაღიშვილი

* * *

ხელეხს იწვიან შენკენ უცხონი,
თუმც სიყვარული მე ძალმიძს შენი,
ყველას ჭკუაზე (დედა უცხონდათ)
არ ივლის ჩვენი არსობის ცხენი.
ნუ დაგაღონებს ეგ ფოთოლცვენა,
სურვილებს ვენდოთ ლოცვად გამხელილს...
უნაზესია შენთვის მონყენა
და ცრემლიანი თვალის გახელა.

„ჭოროხი“, №2, 1978 წ.



კახანგ ლაღონი

* * *

თოვლის ფიფქებმა საგულდაგულოდ
გზებზე დაფინეს თეთრი ქალაღი.
ახლა სიზმარსაც აღარ ვნახუღობ,
თორემ სიზმარში მაინც გნახავღი.

შენ მარტოობა დაღიღარაღდა,
სიმკრთალე შენი თოვლსაც აოცებს,
შავი ფიქრებით თეთრ ფანჯარასთან
დგები და სულში ითვლი ნაოჭებს.

ვერ გაღიღეღავს დაშვება ფარღის
(თვალებს კი მაინც სიცოცხლე უნდათ)
ეს თოვლი შენი სულიღან ბარღნის,
თუ შენყდა, შენი შენყდება სუნთქვა.

წმინდა ოცნება გამიპარტახე,
თავად რას იმკი, გულნატყვიარო?!
ჩვენ ვისხღეთ სახლში, ამ თეთრ ფარღაღზე
ანგეღოსებმა უნდა იარონ.

„ჭოროხი“, №2, 1978 წ.



აკთაღიღ ყუკაღვიღი

წინაპრები

ვუმზერ მშობღიურ ტინებს,
ცრემღმა მონაღმა თვალღი...
ვისხენებ კონსტანტინეს
და მეფეთ-მეფე დაღითს.

მონყენიღობა სუფევს,
უქმიღ ყვეღა ღონე...
რა გამოუღევს უფალს
მორჩიღს, მოშიღს და მონას.

1978 წ.

ბელა ქეპუჩია

* * *

ჰაუ, მზე ცერზე შემდგარა უკვე,
სხივების წვიპურტს ურტყამს მთის წვეროს,
თეთრი ფიფქივით დასერავს ზეცას
სამხრეთის ცაზე გაკრული წერო.
ნამის სიმძიმემ წელში მოხარა
ცისთვალა ია და ბალახები...
ლალ ჩქერალებზე კამარას ჰკრავენ
და ესწრაფვიან მზეს კალმახებიც.

„ჭოროხი“, №5, 1978 წ.



* * *

მომენატრები და ჩემი ფიქრი
შენ ხარ ულევნი,
მომე იმედი, რომ ვიბრძოლო
დაუსრულებლივ.

მანია მახაჩაძე

მომენატრები, ჩემი ფიქრის
შენ ხარ სათავე
და ოცნებები მაგ თვალების
სითბოს ხატავენ.
მომენატრები ისე, როგორც
ქვეყნად არავის,
არ გთხოვ სასახლეს, ნება მომე
დავდგა კარავი...
მომენატრები, ჩემი იმედის
შენ ხარ საფარი,
რწმენავ მომავლის, არ დამინგრიო
თავშესაფარი.

„ჭოროხი“, №5, 1978 წ.



შალვა კვასცაძე

ბანძი

ჩემს მეზობლად, ერთ ხელისგულისოდენა ეზოში, სადაც სამად სამი
მოსახლე ცხოვრობდა, კაცი მოკვდა...

– მართლა რომ მოკვდა, – სიბრალულთი გაითანგა ვილაც, – არც
ცოლი დარჩა, არც შვილი, არც ნათესავი და არც სისხლხორცეული სა-
ბრალოს.

წავიდა იგი წუთისოფლიდან გასაოცარი სიმშვიდით, უხმაუროდ, ოდ-
ნავ მოლიმარის იერი დააკვდა ბაგეზე.

მისი არც კვნესა სმენია ვინმეს და არც ოხვრა.

ვალმოხდილივით აღესრულა და მიაბარა თავისი არსება უფალს ისე, როგორც რაინდული სუ-
ლის ადამიანებს სჩვევიათ მხოლოდ...


„ჭოროხი“, №5, 1978 წ.

ზაალ ებანოიძე

* * *

ქვეყნის გაჩენიდან მარჩენალ
მინას შენ გვიხნავ და გვითესავ, –
დადაფნვა ეკადრება მარჯვენას
შენსას, დამაშვრალო ქიტესავ.
ახლაც შენ ჰკიდიხარ გუთანს,
ხნულში მუხლებამდე ჩამდგარო;
ნიავი გილიტინებს გულთან
და კვალზე ოხშივარი ფართქვალობს...

„ჭოროხი“, №6, 1978 წ.



თეიმურაზ ლანჯავა

* * *

– ...იმშობიარა, – თქვა და სველი ხელები ქურთუკს შეანმინდა.
– ვინ? – გაკვირვებით იკითხა დამხვდურმა.
– მინამ იმშობიარა.
– ახირებული კაცი ხარ, თომა.
– ერთი მარცვალიც არ დაკარგულა, დროზე მოგვისწრო დალოცვი-
ლმა. შარშან იყო და გვალვამ იმძლავრა. დამარცხებული გლადიატორია
გლები, თუ უამინდობამ დაჯაბნა...

„სიყვარული“


„ჭოროხი“, №6, 1978 წ.

თეიმურაზ აბოლაძე

* * *

დღეს ქარქაშიდან გამოიხსნეს
ძველი ხანჯალი
მუზეუმში გადასატანად,
ჩაჰყვითლებოდა კბილებივით უხმარი პირი
და მეჩვენება, როგორც ლომი გისოსებს იქით,
ხანჯალი თავის სიჭაბუკეს
ჟანგისფრად ტირის.

„ჭოროხი“, №6, 1978 წ.





იმანუელ კანტი

* * *

...განათლება არის თავის დაღწევა საკუთარი ბრალისმიერი უსასაკობისაგან. უსასაკობა არის იმის უუნარობა, რომ კაცმა თავისი ჭკუა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმაროს... ეს უსასაკობა მისივე ბრალია, რადგან ამის მიზეზია არა ჭკუის ნაკლებობა, არამედ მხნეობისა და მამაცობისა, რომ თავისი ჭკუა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმაროს.

ასე რომ განათლების დევიზია **sapere aude!** გეყოს მამაცობა, საკუთარი ჭკუა მოიხმარო!...

„პასუხი კითხვისა: რა არის განათლება?“

მთარგმნელი არჩილ რუგოშელი

„ჭორონი“, №3, 1979 წ.

ღათო გაკიძე

მონადირის სიკვდილი

დაასაფლავეს, მორჩა, გათავდა,
ხვალ მის კერასთან ივლის არავინ,
მდინარის პირას, იქვე, ყანასთან,
მოზარესავით დარჩა კარავი.
სძინავს სევდისგან დასეტყვილ ფოთოლს,
აქ მხოლოდ შავი სიჩუმე დადის
და ახლა კედლებს ატყვია მხოლოდ,
მოუშუშებელ ჭრილობის დარდი.

„ჭორონი“, №5, 1979 წ.



კოლ ექელი

* * *

მაგრამ ჩვენ ისევ გავაცოცხლებთ ყველაფერს ქვეყნად
და თქვენ ჩემს ლომებს ჩემს ოქროს ალმებს
ველებს ხეობებს ფათერაკებს დახლართულ ხვანჯებს
სიმწვანეს ქვეყნის გულჩვილ ქალაქებს
გიპატრონებენ ადამის ძენი
ნამცეც-ნამცეც რომ შეუკრიბავთ ოცნება ბრძენი
გიპატრონებენ გალუმპულნი ოფლით და ცრემლით
სისხლით მოთხვრილნი ადამის ძენი
მე ვხედავ ვხედავ გულოვან და კეთილ არსებებს
მათ მოიშორეს სიკვდილივით უაზრო ტვირთი
და დაქანცულებს ტკბილად სძინავთ მზის ღრიანცელში.

ფრანგულიდან თარგმნა **ლევან ბერძენიშვილმა**

„ჭორონი“, №3, 1981 წ.



თაოლოკ გიშვიანი

* * *

მშვენიერი ხარ, ზღვაო, სალამოს, –
აქ სილურჯეა, იქ კი – ნათელი...
და მთვარის შუქზე დაუსაბამოდ
ლურჯი ტალღები ღამეს ათევენ...
თავისუფლების უსასრულობა,
ბზინვა, ქუხილი, ღელვა, გუგუნნი...

ტალღებით სავსე ზღვასთან სტუმრობა
მშვენიერია ღამის უკუნში!
შენი ლივლივიც მიყვარს, ზვირთებიც,
რა ზეიმი გაქვს, ნეტავი, ასე?
ნაპირი ლურჯი ტალღით ირთვება

და ვარსკვლავები აცვივა თავზე.
მე ამ ღელვაში ვგავარ გათოშილს,
დაბნეული ვარ, როგორც მანძილი –
ო, ზღვაო, ზღვაო, შენს სამყაროში
მინდა, რომ ჩემი სული ჩავძირო...

იანვარი, 1865 წ.

თარგმნა შოთა ზოიძემ

„ჭოროხი“, №1, 1982 წ.

პასილ შუკინი


სისვი მომიკითხა, სისვი!

აქა ამბავი იმისა, ერთი აუჩქარებელი, სათვალისანი ახალგაზრდა კაცი, მეცნიერებათა კანდიდატი მიხაილ ალექსანდროვიჩი ეგოროვი კინალამ როგორ დაქორწინდა.

იყო ერთი ქალი... ქალი, ქალი, რომელიც მიხაილს მიშელს ეძახდა გაწენილად, ალერსიანად. სათვალისანს ცოტა კი ეჩოთირებოდა, რომ მიშელი გახდა. იგი ჭკვიანი რუსი კაცი იყო, ამიტომ მთელი ეს... მთელი ეს მოჩხარუნ-მოჟღერიალე უცხოური კომპლექტი – „მიშელ“, „ბაზილ“, „ანჯ“ ნერვებს უშლიდა. რცხვენოდა კაცს, მაგრამ გადაწყვიტა, რომ დროით ნირს შეუცვლიდა სასურველ ქალს, თავი დაირწმუნა, ეგ თანდათან სადა და უბრალო გახდებოდა...

თარგმნა ჯუმბერ თითმერიაძემ

„ჭოროხი“, №1, 1982 წ.



აკოპეგ სხუაუა

* * *

დაცარიელებულ ბაქანზე მირიანის მეგობრები დარჩენილან. ისინი შეამჩნევენ იმ ჭალარა კაცს და მოწინებით ესალმებიან. კაცი ცერემონიულად ესალმება ყველას, მერე დიდ გოგის რალაცას ეტყვის და წიგნს გადასცემს. გოგი თავს დაუქნევს. კაცი კიდევ ერთხელ ართმევს ხელს ყველას და მიდის.

ახალგაზრდები გოგის შემოეხვევიან. გოგი გადაშლის წიგნს. წარწერა: „ჩემს საყვარელ მოწაფეს, მირიან მიქელაძეს“, ეს ინგლისურად დასტამბული შექსპირია, რომელსაც დიდი დრამატურგის ყველასთვის კარგად ცნობილი გრავიურა ამშვენებს...

„შემოდგომის ორი დღის ქრონიკა“

„ჭოროხი“, №5, 1983 წ.



ჩვენი თქვალი

* * *

„ქართული პროზის“ მესამე წიგნი („მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეთა მწერლობა“) იხსნება აბუსერისძე ტბელის მოთხრობით „სასწაული წმიდისა გიორგისნი“. ეს ნაწარმოები მანამდე 1941 წელს იყო დაბეჭდილი სხვა, გამომცემელთაგან შერქმეული სათაურით – „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე“. როგორც ჩანს, საიმდროოდ სარისკოდ მიიჩნიეს ავტორისეული

სათაურის შენარჩუნება.

შესაძლოა, ესეც იქცა ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ ამ თხზულებამ ვერ მიიპყრო ლიტერატურთა ყურადღება და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართული მწერლობის ისტორიის კურსში მისთვის საერთოდ არ მიუჩენიათ არავითარი ადგილი.

არადა, გულდასაწყვეტია ეს ამბავი. ერთი, რომ ნაწარმოები დანერგულია მეცამეტე საუკუნეში, 1233 წელს, ხოლო ამ საუკუნიდან სხვა პროზაული ქმნილება ჩვენს დრომდე აღარც ერთი არ შემორჩენილა; მეორეც, რაც უმთავრესია, მისი მხატვრული ღირებულება უეჭველად მეტ ყურადღებას იმსახურებს...

„აბუსერისძე ტბელის ნოველა“

„ჭოროხი“, №5, 1983 წ.

ქეთევან გიოგბაძე

* * *

და ცხელი სუნთქვით გამკრთალი წამი
კვლავ დამაბრუნებს შენთან ლექსებით,
ო, სათნოებავ, მიწოდე წამი,
ქალურ სიკეთის დაიმედებით.

მე წაწალივით გრძნობების ტყვე ვარ
და უჩვეულო ფიქრით ვმალდები,
წაწალი ჩემო, ამ ღამისთვის
ჩამოაშორე თეთრი ფარდები,
უნდა ავიჭრა ჩემს სამზუოზე
და არსებობა ჩემი გავკვალო,

იქ გადავიხდით ღამაზ დღეობებს,
წაწალი, ჩემი სულის წაწალი!
მევესება უბე რძისფერ ოცნებით,
მთვარის ღიმილი გაბმულა თმაში,
ო, თეთრო ღამევე, მართლა გშორდები,
ბავშვის პერანგი გავკვიდე ქარში.

„ჭოროხი“, №2, 1985 წ.





ქუქუნა შაინიძე

მე და შენ

გახსოვს ოცნების ცისფერი ფრთები
და ყვავილების ყანა ყელამდი,
ოცნებასავით ლამაზი მთები,
ქვები თეთრი და ქვები ფერადი?

ცა იყო ისე ახლო და შორი,
როგორც ბავშვობის ტკბილი ზღაპარი,
რას დაგვაკლებდა შური და ჭორი,
ჩვენ სიყვარულის გვენთო ლამპარი.

და იყო ღამე, არც იყო ღამე,
იყო მთვარე და რძისფერი ზეცა
და ჩვენ, ორთავეს, უგონოდ მთვრალეებს,
ტანთ ყვავილების ფოთლები გვეცვა.
და იყო ღამე, არც იყო ღამე...

„ჭოროხი“, №2, 1985 წ.

ნათია კახიძე



თეონა და ნიკა ჩვენს სოფელში ცხოვრობდნენ.

ერთი წლით უმცროსი იყო თეონა. მეორეში რომ გადავიდა ნიკა, მაშინ შეიყვანეს თეონა პირველ კლასში.

ერთი გზა ჰქონდათ ორივეს, თანაც საკმაოდ გრძელი.

სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ. სკოლა, კი, მოგეხსენებათ, ყველგან სოფლის ცენტრში დგას.

თუ ადრე გამოვიდოდა თეონა ეზოში, ძელსკამზე, ჩამოჯდებოდა, გადაფურცლავდა წიგნს და ჩარგავდა შიგ თავს.

თუ ნიკა გათავისუფლდებოდა ადრე, სკოლის სპორტულ მოედანზე ტრიალებდა. ხან ჩანთას აგდებდა კალათბურთის რგოლში, ხან – ქუდს...

„თეონა და ნიკა“

„ჭოროხი“, №3, 1985 წ.




ჯემალ სუხანიძე

მოლოდინი

თოვლზე ნატერფალები გზას მიკვლევდა შენამდე,
თითქოს ვიღაც მომდევდა, ოფელში ვიყავ ყელამდი.
ფიფქის კორიანტელი თოვლზე დანვა დაღლილი,
წინ გარბოდა ბილიკი მონადირე ძაღლივით.
მივდიოდი, გეძებდი, შენ კი არსად არ ჩანდი,
მასხოვს, როგორ დამტოვე, არ მითხარი „ნახვამდის“,
მე კი მენატრებოდი ყოველ წამს და ყოველ დღე,
ღმერთო, შემაძლებინე, რომ მოვიდე შენამდე.

„ჭოროხი“, №4, 1985 წ.



იაშა თანდილაკა

დღისა და ღამის გასაყარზე

ო, როგორ დნება ალიონზე წამი სინაზის,
ან რა დაიჭერს უსასრულო დროთა ცვალებას,
არ არის ქვეყნად უფრო სავსე, უფრო ღამაში,
ვიდრე ფერების საოცარი გარდაცვალება.
...და აჰა, ჩნდება სისხლიანი ველი მოკვდავთა,
სულს ღაფავს წამი, შერჩენილი მთვარის ალერსი,
ნახეთ, რა ღვითურ მდუმარებით ღამე მოთავდა...
და იშვა მარად უფლისწული – დღე უცხადესი...

„ჭოროხი“, №4, 1985 წ.

ზუკაბ ზოიძე

ხალხური მოტივი


მზესავით ცერზე შემდგარხარ,
ჩამოგიშლია დალალი,
ხან მძულხარ, ხანაც მიყვარხარ,
ასე თბილი და ალალი.
მაღალ ცასავით სადა ხარ,
თვალთაგან ისვრი ნაპერწკლებს,
შენი მეუღლე მანახა,
სახლში უშენოდ რაფერ ძლებს.

„ჭოროხი“, №1, 1987 წ.



ჭაბუა ამიკაჯიბი

* * *



...მოვიდა დრო, მატადორი და ხარი პირისპირ დადგნენ. ესპადა მუღეტას მარცხენა ხელით არხევს, ხარს ძგერებისათვის აგულიანებს. მარჯვენაში – წინ გამშვერილი დაშნა უჭირავს და იმ ერთადერთ ადგილს უმიზნებს, სადაც ხარმა სასიკვდილო ჭრილობა უნდა მიიღოს – ქედში, რომ ხერხემალს უწიოს. ხარი დგას, სულს ითქვამს. მერე გადამწყვეტ ნახტომს ასრულებს. მატადორი ქედში დაშნას სცემს და თავად კი ღერძის ფეხზე უღამაზესი ბრუნით ეცლება ხარის ვეება რქებს. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ დაშნის ჩარჭობისა და ბრუნის მომენტის აღქმას თვალი ვერ ასწრებს. დაშნა საკმაოდ ღრმად არის წასული, მაგრამ ხარი ფეხზეა. ტრიბუნები ღრიალებენ. ძნელი მისახვედრია იმიტომ, რომ მატადორს იღეთი მოუწონეს, თუ იმიტომ, რომ ხარი ფეხზეა. ესპადა ხელახლა ემზადება ხარის გასაგმირად...

„კორიდა“

„ჭოროხი“, №2, 1987 წ.

წერილი ილია ჭავჭავაძისადმი

დიდად პატივცემულო, ბატონო ილია გრიგორის ძე!

თქვენი პატიოსანი წერილი აჭარაში მე გადმომცა ბ. ზ. ჭიჭინაძემ, რომელი წერილითაც მე ვიცანი თქვენი მონერილი მადლობა და სალამი, ვალად ვრაცხ, მოგწეროთ და გაცნობოთ ჩემი დიდი მადლობა და სიხარული, რომ თქვენი პატიოსანი წერილი მივიღე. დიდათ მადლობთ და გმადლობთ... რაც შეეხება ჩემ შრომას და მეცადინეობას სასარგებლო ჩვენის სამშობლოს ისტორიის ნიშნების, მე რაც ძალა ღონე მექნება, ვეცდები, რომ ძველი ნივთების კრებას და შექნას ყურადღება მივაქციო და არ მოვაკლო შრომა. რასაც შევიძენ ჩუქვებით, თუ ყიდვით, ყოველივეს თქვენს რედაქციას წარმოვუდგენ და თუ სად რომელ კუთხეში რა იქნება შექმნილი, იმასაც გაცნობებ. ჩემგან წარმოდგენილი სპილენძის გულსაკიდი ნაპოვნია. თქვენს წერილს მე ვინახავ, როგორც ხელმწიფის ფერმანვით.



აბდულ ევზენდი მიქალაძე

აგვისტო 30 დღ. 1894.

„ჭოროხი“, №1, 1987 წ.



გვიგონ კობაქიძე

* * *

...ღმერთებმა მიაფრქვიეს მას ყოველი: დიდი ნიჭი, სწორუპოვარი სილამაზე, გვაროვნობა, სიმდიდრე... ჭეშმარიტად იგიც იყო „საყვარელი ღმერთთა და ადამიანთა“. იგი არ დადიოდა, იგი მოჰქროდა ყოველთვის, რადგან მეტად იყო მასში ანაკადულელებული ღვთიური მზეობა. მუზა მისი ნაზი იყო, მსუბუქფრთოვანი, და არც იცოდა მან, რა არის ძალაობა, რადგან ფრიად ძლიერად იყო იგი ფრთაასხმული შთაგონების მრავალფეროვან ალით... და ჰქმნიდა მგოსანი თავისუფალი და აღფრთოვანებული ყოველთვის...

„აკაკი“

„ჭოროხი“, №1, 1988 წ.

ანზორ კუბა

* * *


თოვს, ცივა...

ტირის, ცრემლად იღვრება. დაღურჯებია ფეხის თითები, პანია ხელების დამალვას ცდილობს, მაგრამ არც შარვალზე აქვს ჯიბე და არც ასე დაგლეჯილ და გამოსუნებულ ხალათზე. სად, სად წაიღოს ეს შიშველი ფეხები, როგორ მოაცილოს ამ დამზრალ მინას? ანდა რა უყოს პანია, მთრთოლვარე ხელებს? როგორ დაღურჯებია ფრჩხილებდაჭმული თითები?! „რა იქნებოდა, უხელფეხოდ დავბადებულიყავიო“, უთუოდ ინატრებდა უფრო დიდი რომ ყოფილიყო.

ისე პანიაა, სამწუხაროდ, შვიდი წლისა, ჰა, იქნება და არც იქნება, ფიქრის თავიც აღარ აქვს! (ისე კი შვიდი წლის ადამიანებიც ფიქრობენ და ოცნებობენ). გამვლელ-გამომვლელს უსიტყვოდ შესთხოვს რალაცას თვალები, მისი თვალები ლაპარაკობენ, მაგრამ არავის ესმის ამ თვალების...

„ბიჭი“

„ჭოროხი“, №2, 1988 წ.



სანდრო ბერიძე


დედი

უსუსურობას ქვეყანას ვუმხელ...
რა უნდა ვნახო ამაზე მეტი.
დედი, ბავშვივით გეძახდი ნუხელ
და ჰაერივით გეძებდი, დედი.

შენს სამყოფელთან ვიდექ ქანდაკად
და გულის ნაცვლად ქვა მიყვოდა.
რაც ხანი გადის, დედი, თანდათან,
აღარ მეძახი სასაფლაოდან.

მიდის ცხოვრება მდორე დინებით,
მახრჩობს სიმწარე-ეკლად მომხვევი.
ვერ შეგისრულე დანაპირები,
დედი, საფლავში ვერ ჩამოგყევი.

იბაჭლება 1980 წლიდან



ჯანგულ ჯიქიძე

* * *

...შეფი კვახია, კვახია უყუნწო...

შარშან ზამთარში საბეჭდი მანქანა მაჩუქა (დაბადების დღის აღსანიშნავად). ჩემი ხელმოკლეობის ამბავი კარგად იცის, მაგრამ მაინც არ ველოდი მისგან ასეთ რამეს – გამიკვირდა. ამაყ ქალად მთვლის. ხელი გამიმართა ტაქტიანად ვითომ... მეორე კვირაში რაღაც აბდაუბდა მომიტანა დასაბეჭდად (სამ ეგზემპლარად) და ამიხსნა, რომ ამით „სიგარეტისა და ნესესერისათვის საჭირო ფულის გაკეთება“ შეიძლებოდა...

„ნაცრისფერი“

„ჭოროხი“, №1, 1988 წ.




ვლადიმერ ვისოცკი

მგლებზე ნადირობა

რა არ ვიღონე, მაგრამ მაინც დავშვერ ამოდ,
ვერ გავარღვიე, ვერ გავწყვიტე წყეული ალყა.
გუშინდელივით დღესაც ისევ გარს შემომერტყა
დაუნდობელი ეგერთა ტალღა!
ნაძვების მიღმა ორლულიან თოფებს მალავენ,
ავად სისინებს სასიკვდილო ტყვია წყეული,
ყალყზე დგებიან და ღმუიან საბრლო მგლები –
ცოცხალ სამიზნედ გადაქცეულნი...

თარგმნა თინა შიოშვილმა

„ჭოროხი“, №2, 1988 წ.



აკაკი წერეთელი

* * *

ვით სპილო არ მნამს სპილოდა,
 თუ აღარა აქვს ხორთუმი, –
 ისე კავკასი კავკასად,
 თუ არ ექნება ბათუმი!
 ჭოროხი ჩვენს ძველ დიდებას
 წაიღებს, შავ ზღვას შერთავსო,
 თუ დაგვეკარგა ის წყალი,
 ჩვენ „ვაის“ „უის“ შერთავსო!
 ზედ იალბუზზედ შემდგარი
 ქართლოსი ამბობს ამასო,
 და როს იქნება – შვილებმაც
 ერთხმად მივსძახოთ მამასო!...

„ჭოროხი“, №5, 1990 წ.

ისპაიდ ქაჩა (შავიშვილი)

* * *


...ბათუმური ზაფხულის მზიანი შუა დღე იყო. ჩვენი მანქანა მწერლების გუმბათიან, კოპნია სახლთან გაჩერდა. იმდენად დიდი იყო ჩემი ინტერესი ჩემი ძმებისა და კოლეგების ნახვისა, რომ ჩვეულებას ვუღალატე და გაჩერდა თუ არა მანქანა, ამჯერად პირველი ჩამოვხტი ძირს. ცოტაც და, ჩვენი მასპინძლების წინაშე წარმადგინეს. უნდა ვთქვა, არაფერი მომხდარა ჩემთვის მოულოდნელი, ერთბაშად ნიჭიერების, კულტურის, სილამაზის და, რაც მთავარია, უმაღლესი სტუმართმოყვარეობის გარემოში აღმოვჩნდი. ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ჯემალ ჯაყელი, ჯემალ ქათამაძე, ქსენია მჟავია, შოთა ზოიძე, რამაზ სურმანიძე, ალექსანდრე სამსონია... – მაცნობდა ჩემი მხლებელი, ჯერ კიდევ ბურსას ინეგოლიდან ნაცნობი ფილოლოგი ქალი – შუშანა ფუტკარაძე. დიდი იყო ინტერესი ერთმანეთის მიმართ, ერთმანეთის პიროვნების, ერთმანეთის მწერლობის, ერთმანეთის მიზნებისა და მომავლის მიმართ. ბევრი რამ მოვუყევეთ ერთმანეთს, მათთვის თურქეთის ცხოვრება და სინამდვილე იყო საინტერესო, ჩემთვის კიდევ – შორიდან არცთუ ისე ნაცნობი, ყველაზე ლამაზი და გამორჩეული ქვეყანა – საქართველო. მკითხეს, როგორ ვახერხებ მე, ქართველი, სამწერლო მოღვაწეობას უცხო გარემოში, როგორ ვბეჭდავ წიგნებს, ვინ არიან ჩემი მკითხველები და სხვა. თითქმის ანალოგიური იყო ჩემი კითხვებიც მათ მიმართ...

.....

თურქეთში ჩვენებურები იტყვიან: „ჭოროხი ჩქარა მიდისო...“ მე ეს ვკითხე მოხუცებს, რატომ იტყვიან ამას-მეთქი. მითხრეს: ჭოროხი იმიტომ მიდის ჩქარა, რომ მასში ჩვენი სულია, ჩვენს სულს კიდევ გურჯისტანში უნდა ჩასვლა და იქაური ძმების მონახულება, ჰოდა, ამიტომაც მიდის ჩქარა ჭოროხი, რომ ჩვენი სულები გურჯისტანში წაიყოლოსო...

„სადაც ჭოროხი მთავრდება“

„ჭოროხი“, №4, 1991 წ.



ზაურ ბოლუქვაძე

დედასაქართველოვ

დიდი იყავ!.. გფარეთ მკერდით!..
 გკვებეთ სისხლით!.. გალბეთ ოფლით!..
 დღეს ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის, –
 საფლავებად არ გვეყოფი!..
 შენი ღვიძლი მინა-წყალი
 ახატია სხვების რუკებს! –
 წარიტაცა ზოგმა ძალით!..
 ზოგს მიჰყიდეს!.. ზოგს აჩუქეს!..

„ჭოროხი“, №3, 1993 წ.




იური ბიბილაშვილი

* * *

მემედ აბაშიძე გახლავთ ის მოღვაწე, რომელიც დღესაც განაგრძობს აქტიურ სამსახურს ჩვენი თანამედროვეობისათვის არა მხოლოდ მისი მემკვიდრეების კაიკაცობის წყალობით, არამედ საკუთარი მეცნიერული, მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის ძალით. თუ გულდასმით შევისწავლით და გონივრულად გავიაზრებთ ყოველივე იმას, რაც მემედ აბაშიძის კალამს შეუქმნია, ჩვენ სრული უფლება მოგვეცემა მის მიმართ გავიმეოროთ ერთი აღმოსავლური სიბრძნე: „დიდი ადამიანები მოდიან, მაგრამ არ მიდიან“...

„მემედ აბაშიძე – მწერალი“

„ჭოროხი“, №3, 1993 წ.



თეიმურაზ კომეხიძე

* * *

თუ არა ილია ჭავჭავაძე, არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის აღორძინების საქმე. აჭარის საქართველოსთან შეერთების პერიოდისათვის ამ რეგიონში თითქმის ვერავინ ფლობდა ქართულ წერა-კითხვას ქართული სკოლის უქონლობის გამო. ცხადია, არც ერთ მოქალაქეს არ ჰქონდა უმაღლესი განათლება, კულტურულ დაწესებულებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ბათუმელთა თავშეყრის ერთადერთ ადგილს ყავახანები და ბაზარი წარმოადგენდა...

„ილია ჭავჭავაძე – აჭარის განმანათლებელი“

„ჭოროხი“, №1-2, 1994 წ.



როგნევა ზაქაჩიშვილი

ქორნილი


აფარფატდა ფრთაფარფატა ფატა,
თეთრ მანდილში იმზირება ღიმილი,
ქალმა ღიმილს ცრემლი დაამატა
და გააქრო მზენაპკურებ თრთვილივით.

დაილია მარტოობის სევდა,
მიჩუმათდა უჩუმარი ტკივილი,
გაფანტული მოგონების ელდა
დრომ წაილო უკაცური ტივივით.
ასი თვალი მიეყინა ღიმილს
და ათასი შური აშარიშურდა,

გული მაინც ვარდნარვიით ღვივის,
თუმც ჩურჩულის ჩამიჩუმიც მიჩუმდა.
დედოფალი თვლემს ვარდისფერ ფერში,
შეუხსნია კდემის თეთრი ზარადი,
ნეფე სირჩებს ათამაშებს ხელში
და ალავერდს თეთრ ღამესთან გადადის.

„ჭორონი“, №1-2, 1994 წ.

მოშე იბნ ეზა



იეჰულა ჰადევი



საით ილტვიან სოფლის მდგმურები?


საით ილტვიან სოფლის მდგმურები? –
მიიდრიკება სული თანდათან...
მიწყვი გზად ყოფნა, სივრცე უღვივი,
ზღვარი იქ ჩანსო –
იტყვი ხანდახან;
ნავს მინდობიან მეზღვაურები,
ნეკოსალარი
მიჰქრის ქარდაქარ...

მეგობრისადმი

მზის მიდრეკისას ამეტყველდა ჩემი წარსული,
მოგონებებით შეჭირვებას სული მინებდა:
...ცხოვრება ჩემი – უსიამოდ შემოძარცული,
ყრუ ზმანებათა საუფლოში მირონინებდა.
ვის მოვუხმობდი, დავდიოდი საიდან სადა,
ეჰა, ვინ უწყის, მაურვებდა სევდა რაზომი!..
რასად დამიხშე, სასურველი კარები სრათა,
რად დამიგმანე დიდებულთა სადარბაზონი!...

თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

„ჭორონი“, №3-4, 1994 წ.



რობერტ ბერესი

ადრეა ჩემი გათხოვება...

უცხო კაცთან მე ისეთი მხდელი ვარ,
გვერდით როგორ დავუნვები, სერ.
მე ისეთი პანანინა ქალი ვარ,
ხომ სირცხვილით დავინვები, სერ.

მე ისეთი პატარა ვარ,
მე ისეთი პატარა ვარ ჯერ, –
მე რომ დედას მომამოროთ –
ცოდვა არის, ადრე არის, სერ.
დედამ კაბა შემიკერა, ლამაზი,
წითელ-ყვითელ საკინძებით, სერ,
ხომ დაჭმუჭნით, ხომ წახდება სამოსი,
თქვენ რომ გვერდით დავინვები, სერ.

შემოდგომის უქმე უკვე გავიდა,
გრძელი არის ზამთრის ღამე, სერ,
მე იმ ღამეს სხვასთან როგორ ავიტან,
არ მეყოფა სითამამე, სერ.
აგერ ქარმაც ამოყარა ფიფქები,
ფოთოლიც კი არ ჩანს მწვანე, სერ,
გაზაფხულზე უფრო დიდი ვიქნები,
მოდო, მაშინ წამიყვანე, სერ!

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ძიგვაშვილმა

„ჭორონი“, №1-3, 1995 წ.

კახიციის მაკაჩი

* * *

ფილიპ უვეიდი თავის კაბინეტში მაგიდასთან იჯდა და ბარათს კითხულობდა, სულ ახლახან თვითონ რომ დაენერა:

„ძვირფასო ლაურა!

ჩემმა საქციელმა შეიძლება, ძლიერ განგაცვიფროს და ტკივილიც მოგაყენოს... ვიცი, სხვა შეგიყვარდა, მაგრამ შენ ჩემთვის მაინც ძვირფასი ხარ, ამიტომ დღეს უკანასკნელად ვიტყვი შენს სადღეგრძელოს და სანამღავს შევსვამ. ჩემზე აღარ იდარდო, ძვირფასო. მთელი ეს ოთხი წელიწადი ბედნიერი ვიყავი, ახლა გათავისუფლებ ჩემგან და ისევ და ისევ შენი ბედნიერებისათვის ვიტყვევი ასე...

„მოგებულს რჩება ყველაფერი“

ინგლისურიდან თარგმნა მურმან სიგუამ

„ჭორონი“, №4-6, 1995 წ.



თეიმურაზ ზიცხალაიშვილი

* * *

ეჩვევი უმიზნო ხეტიალს,
უმატე უზომო სმას...
პოეტის სურვილი ერთია
ტკივილი ამოროს სხვას!...

რამდენი უბრალო მოკვდავი
წყლულეებზე გიმატებს წყლულს...
არადა, გაგება ოდნავი –
ყველასგან გულწრფელად გსურს!...

„ჭორონი“, №4-6, 1995 წ.



ღაჰაკ გიგინეიშვილი

* * *

ჩამარცვლა ჟამმა კრიალოსანი,
მონატრებია ქათიბი მინდორს,
აჰა, სენაკი – სავანე ჩემი,
წმინდათაწმინდა დაფარა ბინდმა.
ო, იისფერი სიზმრების ღმერთო,
მიქცეული მზის მოქცევა მინდა.

„ჭორონი“, №4-6, 1995 წ.



მუჩან ღებანიძე

ჩაჩნათი

ჰგავს დღეს ჩეჩნეთი მარტორქას შეშლილს,
ეს კოლო-ბუზი დიდ რუსეთს ერჩის, –
ვინ, ვინ შეჰბედა სხვამ რუსეთს რჩოლა –
ვაი, სირცხვილო – შური მჭირს ჩეჩნის.

ხომ ჩემი სისხლი ჩეჩნებმა ხვრიპეს –
რაც გინდა თქვი და, შური მჭირს ჩეჩნის.
ჰგავს ეს საჩეჩნო მარტორქას შეშლილს,
კოლო-ბუზია და ვეშაპს ერჩის...
ვაი, სირცხვილო! – დავითის პატრონს,
ერეკლეს პატრონს – შური მჭირს ჩეჩნის.

„ჭორონი“, №1, 1996 წ.


დასუქებიათ – ჩვენს კაცებს გავა,
მჩხავანა კატა – ყასიდად ჩხავა,
არა მგონია, წავიდეს ომში,
ეგ დილის ხაშზეც სალამოს წავა...
კი, კბილის მატლი რუსია ჩეჩნის,
კი, ხიშტს კაზაკიც გულ-ფილტვში შესჩრის,

შოთა ნიშნიანიძე

შაშვი

შაშვი გალობს, შაშვი გალობს, თუ ჭახჭახებს მაჭახელა,
შაშვი ჩემი რჩეულია და ბევრჯერაც მასახელა.
შაშვი არი ამ მინა-წყლის, ამ ბუნების სალამური,
ჩემი დასაწერი ლექსი ჩიჩახვში აქვს დამალული.
ჰოი, შაშვო, ჩემო შაშვო, ჩემო მაჭახელა ჩიტო,
შენ ხარ ჯილდო, ოქროს ჯილდო, ჩემი სიჭაბუკის ჯილდო.
მისი საესტრადო სცენა სუროა და ბუჩქნარია,
ჩემთან ფარულ შეხვედრებზეც არაერთხელ უჩქარია.

„ჭორონი“, №1, 1996 წ.





ანდრე მოკუა

* * *

რასაც ახლა მოგითხრობთ, სრული სიმართლეა. იგი 1945 წელს მოხდა საფრანგეთის ერთ პატარა სოფელში, რომელსაც, პირობითად, შარდელი ვუნოდეთ. მის ნამდვილ სახელს, მიზეზთა და მიზეზთა გამო აქ არ ვახსენებთ.

ამბავი დაიწყო მატარებელში, რომლის ათსანოლიან კუბეში თორმეტიოდე ფრანგ ტყვეს მოეყარა თავი. ისინი გერმანიიდან ბრუნდებოდნენ. მეტისმეტად გადაქანცულთ სივინროვე ანუხებდათ, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობდნენ. იცოდნენ, რომ ხუთი წლის განშორების შემდეგ ისევ იხილავდნენ თავიანთ სამშობლოს, საკუთარ კერასა და ოჯახს...

„დაბრუნება“

თარგმნა ნანა ახალაძემ

„ჭოროხი“, №1, 1996 წ.

გიომო აკოლინეჩი

შემოდგომა

კოჭლი გლეხი და მისი ხარი ნისლში ჩნდებიან მოდიან ნელა შემოდგომის სქელდება ნისლი სად სირცხვილი და სილატაკე იმალებიან და გზაზე გლეხის ხმადაბალი სიმღერა ისმის სიმღერა ამხელს რასაც დღემდე იტევდა გული აქ არის გზნება სიყვარულის ლალატის დარდი. ო შემოდგომა შემოდგომამ მოკლა ზაფხული და მიბარბაცებს ნისლში ორი შემთვრალი ლანდი...

თარგმნა ბადრი თევზაძემ

„ჭოროხი“, №2, 1996 წ.



შაქო ჩიკვაიძე

* * *

თეატრის წინ ხალხმრავლობა იყო. სალაროებთან რიგი იდგა. გიგამ ოფლით დაცვარული სახე კობტად დაკეცილი ქათქათა ცხვირსახოცით შეიმშრალა, რამდენიმე ახლო ნაცნობს ხელი ჩამოართვა, მოუბოდიშა, მეჩქარებო და ვრცელ, ხალხით გაჭედულ ფოიეში შევიდა. მეკარემ ღიმილით გაატარა გიგა. საოლქო გაზეთის განყოფილების გამგე ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო თეატრში...

„სალონი“

„ჭოროხი“, №3, 1996 წ.



გაბრიელ გასია მაკუსი


* * *

...დაბინდებისას, როცა საზღვარს მიაღწიეს, ნენა დაკონტემ აღმოაჩინა, რომ არათითიდან, რომელზეც საქორწინო ბეჭედი ეკეთა, ისევ მოსდიოდა სისხლი. მესაზღვრემ, რომელსაც პრიალა ტყავის სამკუთხა ქუდზე უხეში შალის მოსასხამი შემოეცვა და ძლივს უმკლავდებოდა პირინეებიდან მოვარდნილ ქარს, ყურადღებით დაათვალიერა პასპორტები კარბიდის სანათურის შუქზე. ორივე დიპლომატიური პასპორტი წესრიგში იყო, მაგრამ მესაზღვრემ მაინც მიანათა სანათური მგზავრებს, რათა მათი სახეები ფოტოსათვის შეედარებინა. ნენა დაკონტე თითქმის ბავშვი იყო, ბედნიერი ჩიტის თვალებითა და ბადაგისფერი კანით, რომელიც იანვრის მოქუფრილ ლამეშიც კი კარიბის სიმზურვალეს ასხივებდა. იგი თავიდან ფეხებამდე წაუღას ბენვის ქურქში იყო გახვეული, რომლის მსგავსსაც მესაზღვრე თავის მთელი წლის ხელფასითაც ვერ შეიძენდა. მანქანას მისი მეუღლე ბილი სანჩეს დე ავილა მართავდა. გოგონაზე ერთი წლით უმცროსსა და თითქმის მასავით ლამაზს შოტლანდიური, კუბოკრული ქურთუკი და ბეისბოლის ქუდი ეხურა...

„შენი სისხლის კვალი თოვლზე“

ესპანურიდან თარგმნა თვა გვასალიამ

„ჭოროხი“, №2, 1996 წ.



ეპენი თავშეკიძე

* * *

სახლი ციხეა, კედლებია სიცოცხლის წყარო,
ველურ ცხოვრების ანდამატი შემოაქვს ნიავს,
უსასრულოა სურვილების ფლობის უნარი
არად გეგულვის წყურვილი გკლავს თუ პური გშია.


შორიდან გიხმობს ჩაბურული ხევი-ხვეულა
და ჩანჩქერების ჩამოგშლია თვალწინ მითები...
შენთვის ყოველთვის ერთი დროა, დღეა თუ ღამე,
არ იცი ეს გზა, არც არავის არ ეკითხები.

შემოიღამებს, ავ თვალთაგან დაცული თვით ხარ...
უნდა იცოდე, თუ რა დროა, ხვდები, არ იცი,
გრჩება სურვილი – ერთადერთი, შუალამისას
რომ ვარსკვლავების – თვალი სტაცო – ვნებიან ციმციმს.


„ჭოროხი“, №2, 1996 წ.

„ჭოროხელები“


1995-2018 წწ.



მამია ვარსანიკა




ზურაბ გორგილაძე



ანზორ კულბა



ბენედიტა ქუთათელავა



ანა დუდუა



ნატო ინგოროვა




სათუნა შუშანიკა



მარინა ბერიკა



ირმა ბერიკა



მალხაზ უალავა



გუნა სამიკა



ჯემალ სურმანიკა



მუკამან ცაძისაძე

* * *

ორს მოციმციმე ოაზისს ვხედავ
და მზის ღიმილი სულამდე ატანს,
არ შეგაშინოს ყარიბის ხვედრმა,
გნამდეს, აგიხდენს დრო ყველა ნატვრას.

თუმცა დენთის სუნი სულს კანრავს ახლაც
და ძმათა სისხლში ჩაიხრჩო მუზა...
დრო,
დრო ჩააცხრობს სატანის ხარხარს,
დროვე აღგვავესებს,

დრომ თუ შეგვემუსრა.
ჯერ კი დაჩოქილს ძმარი გვდის ცხვირში
და სხეულს გვიწვავს სიკვდილის სუნთქვა.
ანათებს კიდეც, რამე თუ იწვის...
ჰა, სანთლად ჩემი გული და სუნთქვა.

„ჭოროხი“, №6, 1996 წ.

ხათუნა თაყვგიჩიძე

მინა

მინა, ფეხისგულებს ასე რომ მინვავს...
– მეც ეს მხურვალე გრძნობა მიტაცებს.
თითქოს სხეული, როგორც ბალახი,
სიცოცხლის წყაროს გამოწოვს მისგან.
გამოწოვს საზრდოს, თბილს და ნოყიერს,
როგორც სიმწიფით გაბერილ ნაყოფს.
თითქოს მინაში ძვლებიც ხმაურობს,
რომ ამ ხმაურით ფიქრი გამიკრთოს...

„ჭოროხი“, №6, 1996 წ.



ნელი გობაგონიძე

ნაწული ნინიძეს

სარკმელს ეხები ფრთხილად,
სიო ინურავს თვალებს
და ითენთება თბილად
დანაცრებული მთვარე...
თითქოს აუდის ბოლი
ცეცხლწაკიდებულ ვარდებს,
თითქოს თვალების ბროლი
გაჩენის დღიდან არ გდევს...

შემოგეხვევა ტანზე
ზეკარის შუქი მკრთალი
და გაღიმებულ ცაზე
შეგაცივდება თვალი...
სარკმელს ეხები ფრთხილად,
მზერით უხილავს უმზერ
და უსაშველოდ თბილი
ცრემლი გეყრება გულზე.

„ჭოროხი“, №6, 1996 წ.




პიოკვი პიგუკი

ბათუმი


გაზაფხულივით იფერებ ფერებს,
სამკაულები გხატავს და გშვენის,
მე თუმცა გნახე კარგა ხნის მერე,
მაინც ვიცანი სიმაღლე შენი.

შენი კალთების ტევრი ვიცანი,
სასიყვარულოდ გაშლილ ხელებით,
ცისკენ მიიწევეს შენი ციცარი,
მიირწევიან ზღვისკენ თელები.

ყვავილებიდან შარბათი წვეთავს,
გელაციცება სხივთა არილი,
მოველ, გიგულე უტკბილეს დედად,
წავალ, მისაგზლე შენი მარილი.



„ჭოროხი“, №2, 1997 წ.




ჩეხოვჩივილი

* * *

...სტალინზე დიდ თანამდებობას, დიდ ჩინს (გენერალსიმუხი) ქართველი ანი ველარ ეღირსება და ამიტომ სახელს სტალინისას ვერ მოიშორებს, საქმეს მისას ვერ მოიხოცავს, სისხლს ვერ მოიწმენდს. იგი სიცოცხლეშივე იქცა ქვად, არა ფოლადად (სტალ), როგორც მას სურს, არამედ – ქვად, რკინა-ბეტონად, თუჯად. ეს მისი სიცოცხლის ტრაგედია იყო...

„მედვედევსკის ტყეში“

„ჭოროხი“, №3, 1997 წ.



ჩეხოვ მიხეილაძე

* * *

...ახალგაზრდობა იმიტომაა ყველაზე ლამაზი ასაკი, რომ ანგარიშებით არ გაქვს თავი დამძიმებული... ამკრძალავ ნიშნებს მაინცდამაინც დიდ პატივს არ სცემ. გაბედული ხარ... ჯიქურ ასკდები ცხოვრების ბარიერს. სიფრთხილისა და წინდახედულების ბორკილი ვერაფერს გაკლებს...

„მეტეორი“

„ჭოროხი“, №1, 1998 წ.



მიხეილ ჯაჰანიშვილი

„ლიტერატურული აჭარისტანის“ რედაქციას

მე დიდი ხალისით ვადევნებ თვალყურს აჭარისტანს. ოდეს-ღაც მესხეთი და ტაო-კლარჯეთი, მაშასადამე, აჭარისტანიც ჩვენი კულტურის ბუდე იყო (მისი რაობა მე გაკვირით გავიხსენე „არსენა მარაბდელში“). შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა და აჭარა კულტურულად დაქვეითდა.

საბჭოთა სისტემამ ჩვენ ხელახლა შეგვაერთა და ეს ულამაზესი ნაწილი საქართველოსი ისე შესცვალა, რომ უწინდელი აჭარის მნახველს მისი ცნობა გაუძნელდება. ცრუმორწმუნეობისა და უვიცობის აღმოფხვრამ, ჩადრის მოხდამ, წიგნისა და ცოდნის უმაგალითო გავრცელებამ და აჭარელთა

ყოფა-ცხოვრებისა და ფსიქიკის შეცვლამ ეს ხალხიც განათლებულთა ოჯახში შეიყვანა და ღირსეული ალაგი მიუჩინა.

სულ ცამეტიოდე წელიწადში აჭარისტანში ათჯერ ცამეტი წლის საქმეა შესრულებული.

მე მწერალი ვარ და თავდაპირველად წერა-კითხვისა და წიგნის გავრცელება მახარებს. რამდენიმე წლის წინათ მე საჯაროდ ვთქვი ბათომში: უდიდესი გენიოსი რუსთაველი მესხი იყო (ე.ი. იგივე აჭარელი) და თქვენ, მესხებო და აჭარლებო, სრული უფლება გაქვთ იამაყოთ. მაგრამ უფლებას ვალდებულება მოსდევს და მიტომ მოვალე ხართ ისე ასწიოთ კულტურა თქვენს ხალხში, რომ მან ერთი რუსთაველი კიდევ წარმოშვას.

რასაკვირველია, მე მეტისმეტად გადაჭარბებული გეგმა დავუსახე აჭარლებს და თანახმა ვარ, გავუნახევრო.

ახლა რუსთაველის შესწავლის დრო დაგვიდგა და განახევრებული გეგმის შესრულებასაც „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა კლასიკური ნაწარმოებების შესწავლა სჭირდება.

მე მჯერა, რომ აჭარლები არც ამაში ჩამოგვრჩებიან, სწავლა-შრომას გასამკეცებელი ძალ-ღონით მიაწვებიან და თავიანთ სამწერლო კადრებს მოალონიერებენ.

„სალიტერატურო აჭარისტანიც“ (დიახ, სალიტერატურო უფრო სწორია, ვიდრე ლიტერატურული) ამ დიდ საქმეს ემსახურება.

წრფელი გულით ვუსურვებ გაზეთის თანამშრომლებს, რომ ეს ტვირთი ხალისით და ბეჯითად ეზიდნოთ.

იმედია, არც ქართული ენა დაიჩაგრება თქვენს გაზეთში.

თანამშრომელთა შორის მეც მიგულეთ.

1935 წ.

„ჭორონი“, №1, 1998 წ.

ნუგზაქ ჯაჭაიძე

გულგული

(ნაწყვეტი)

...ჟურნალ „ჭოროხის“ იუბილე იყო, 25 წლისთავი. მოზრძანდა მწერალთა კავშირში ხელმძღვანელობა. საიუბილეო ცერემონიალის შემდეგ, პირველ სართულზე, სუფრას შემოვუსხდით. თამაძობს ალი სამსონია, ჟურნალის რედაქტორი. მთელი საოლქო კომიტეტის ბიუროც იქაა. დაილია პარტიის, მთავრობის, ბელადების, მშვიდობის სადღეგრძელოები. უყურა ზურაბმა ამ საცოდაობას და ნახე, ახლა, რას ვიზამო, მიჩურჩულა. მორიგი ნომენკლატურული სადღეგრძელოს შემდეგ ეუბნება მის წინ მჯდომ პირველ მდივანს: ბატონო ვახტანგ, ხომ მოზრძანდით და დაგვაფასეთ, დიდი მადლობა, ახლა ნაზრძანდით და შეგვარგეთ ქეიფი, ბოლო-ბოლო ჩვენი დღეაო.

არსადაც არ მივდივარო, ბრძანა მდივანმა, თქვენზე ნაკლები ქეიფი ვიციო და საერთო ხარხარში ღვინო დაისხა. ალისაც ფრთები გამოესხა და კაცურად მოვილხინეთ შვიდმა ბიუროს წევრმა და ჩვენ, „ჭოროხის“ ავტორებმა...

ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციას

ძვირფასო მეგობრებო!

სულითა და გულით გილოცავთ აჭარის სამწერლო ორგანიზაციის უპირველესი ლიტერატურული ორგანოს – ჟურნალ „ჭოროხის“ დაბადების ორმოც წლისთავს.

„ჭოროხი“ დაბადების დღიდანვე გადაიქცა აჭარაში – საქართველოს ამ უმშვენიერეს და უძველესი ლიტერატურული ტრადიციების მქონე კუთხეში მცხოვრებ ქართველ მწერალთა შემოქმედებითი წრთობისა და დაოსტატების ლაბორატორიად.

ჟურნალის ფურცლებზე ფეხი აიდგეს თვალსაჩინო ქართველმა მწერლებმა, რომლებიც დღეს ქართული მწერლობის მოწინავე რაზმში მოიხსენიებიან. რაოდენ ნიშანდობლივია, რომ სულ ახლახან საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა შოთა ზოიძეს, შესანიშნავ პოეტსა და მოქალაქეს, შემოქმედს, რომელიც, როგორც პოეტი „ჭოროხის“ წიაღში დავაჟკაცდა.

განვლილი 40 წელი „ჭოროხისთვის“ იყო შემოქმედებითი ძიების, წინსვლის, დაძაბული სარედაქციო მუშაობის ხანა. დარწმუნებული ვარ, რომ ჟურნალის რედაქცია არ გადაუხვევს ერთხელ არჩეულ მაგისტრალურ ხაზს – იყოს საქართველოს, ჩვენი სათაყვანებელი და საოცარი სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, იღვწოდეს აჭარაში ლიტერატურულ-შემოქმედებითი ატმოსფეროს შესაქმნელად, აჭარაში მოღვაწე მწერლების შემოქმედების წარმოსაჩენად.

ღრმად ვარ დარწმუნებული რომ „ჭოროხი“ ღირსეულად გაართმევს თავს ამ ურთულეს ამოცანას.

ღმერთი იყოს თქვენი და ჩვენი მფარველი.

ქართველ მწერალთა სახელით


თამაზ ნივნივაძე

ოთარ ჭილაძე

* * *

ფიქრს შეუძლია, ყველაფერს მისწვდეს,
მაგრამ ვერაფერს ვერ შეცვლის იგი...
და ახლა მთვარეს მგელივით მისდევს,
როგორც მთებს აქეთ, ისე – მთებს იქით.
მე ჩემი წილი ყვითელი მთვარე
ჩამოვაფარე ფანჯრებს ფარდებად...
და ისევ რაღაც იწყება გარეთ,
ოთახშიც ისევ რაღაც მთავრდება.


„ჭოროხი“, №1, 1998 წ.



ბევრად სჯობს, ვერ ხედავდი, მაგრამ ბრძნობდი, ვიღრა ხედავდი და ვერ ბრძნობდი

...წიგნისადმი ინტერესის შესუსტება დროისმიერი სიმპტომია, სულერთია, ავისა თუ კარგის მაუწყებელი, მაგრამ ამ სიმპტომის მოშველიებით საერთოდ მწერლობის უგულებელყოფა თუ უარყოფა, რასაკვირველია, მზაკვრული ჩანაფიქრია და ვინც მხოლოდ და მხოლოდ გაჭირვების ჟამს მოიკითხავს ხოლმე მწერლებს, სად არიანო, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ განზრახვის აღსრულებას უწყობს ხელს. მწერლები ყოველთვის იქ არიან, სადაც უნდა იყვნენ. ბოდიშს კი ვიხდი ერთისა და იმავეს გამეორებისათვის, მაგრამ მწერლის დანიშნულება წერაა! საბედნიეროდ, ლიტერატურული პროცესიც, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი პროცესი, მარადიულია და თუ შეგნებულად არ შევაფერხებთ, კაცობრიობის ფიზიკურ არსებობასთან ერთად შეწყდება მხოლოდ. მწერლობაში თაობები ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, როგორც საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება მოეჩვენოს, არამედ ერთმანეთს აგრძელებენ და ამდიდრებენ თავიანთი განსაკუთრებულობით...

„ჭოროხი“, №1, 2006 წ.



ზაკიელ ჭანჭუკია

* * *

შუბლში ტყვია არ მიირტყა, სანამლავიც არ დალია:
თუმც წააგო ომი – თვითონ მოგებული სარდალია!
ძმები სულ იქ ჩაიხოცნენ... მოგებული სარდალი კი
შინ დაბრუნდა ბრილიანტით, ბროლით, ლალით, სერდოლიკით...
აღდაკრული ალმასები, ლამის კაკლის ოდენები...
დაუმატეთ ახლა ამას უმაღლესი ორდენები!
ეგ ვიცოდე, ნეტავ, ღმერთი რატომ აჩენს ასეთ კაცებს!
ამათ ისევ ის არ ჯობდა? – გოთვერანი სააკაძე!

„ჭოროხი“, №2, 1998 წ.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
ჟურნალ „ჭოროხის“ შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე ჟურნალმა „ჭოროხმა“ დიდი როლი შეასრულა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღემდე გამოცემულია ჟურნალის 240 ნომერი 1440 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანის საერთო მოცულობით. ჟურნალის ფურცლებზე ქვეყნდება გამოჩენილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები, მეცნიერების, ხელოვნების მუშაკთა, საზოგადო მოღვაწეთა წერილები, რეცენზიები, გამოკვლევები არა მარტო ლიტერატურულ, არამედ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სხვა თემებზე.

პერიოდულობის შეზღუდულობის გამო ხშირად არ ხერხდება ჟურნალისათვის მიწოდებული მასალების გამოქვეყნება.

ამასთანავე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, ჟურნალ „ჭოროხს“ შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „ლიტერატურული აჭარა“.

ამ ბოლო დროს განსაკუთრებული აღმავლობა იგრძნობა კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში – დაიდგა თეატრალური სპექტაკლები, შეიქმნა საოპერო ტრადიცია, ეწყობა სხვადასხვა გამოფენა, იქმნება მნიშვნელოვანი რეცენზიები, კრიტიკული და პუბლიცისტური ხასიათის წერილები, რაც თავის ასახვას პოულობს პერიოდიკაში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანებამ კიდევ უფრო გაზარდა ჟურნალ „ჭოროხის“ მნიშვნელობა, დღის წესრიგში დააყენა მისი მაღალმხატვრულ და პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემის აუცილებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:


ჟურნალ „ჭოროხს“ შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „ლიტერატურული აჭარა“.

.....

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე –
ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური



ქ. ბათუმი
1998 წლის 26 მარტი



დავით აქველიძე

და უკვე ამჩნევ

...და უკვე ამჩნევ – როგორ სუსტდება მიზიდულობა მშობელი მიწის, მხოლოდღა ნუთი მოიტანს შვებას, თითქოს ხორციდან გამოგაქვს ხინვი. დრო მყისიერად გადნება ხელში, ახლოა ის, რაც გეგონა შორი, მოდის მშვიერი და ხარბი მხეცი, აგერა მისი მძვინვარე ტორი.

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1998 წ.

ჯანსუღ ღვინჯილია

* * *

მე ქალაქ თბილისს ვეძებ!

უცნაური რამ ხდება. მცხეთიდან რომ მოვემგზავრები – აქეთ, თბილისისაკენ, ხიდის ქვეშ გამოვალ თუ არა, მართლა შემომეგებება დიდი, თვალსაჩინო დაფა, რომელზეც მსხვილი ასოებით აწერია თბილისი. აჰა, მოვედით, აჰა, ჩემი ნანატრი, დედასავით ძვირფასი თბილისი.

მერე ვერ ვერკვევი. ვუახლოვდები ქალაქს, ველოდები, საცაა თბილისში შევალ. თვალები და გული – ერთავ საალერსოდ ემზადება. გულით მიწა, მივეფერო ჩემს დედაქალაქს, სულით მიწა შევითვისო.

ვიბნევი – არსად ჩანს თბილისი. სახლები და ქუჩები თითქოს იგივეა. ხედი არ შეცვლილა!..


მაინც შეცვლილია ყველაფერი. თბილისი თვალსა და ხელს შუა გამსხლტარა.

თბილისის ნაცვლად ქალაქ მარლბოროში ამოვყავი თავი.

მარლბორო – გზის მარცხნივ, მარლბორო – გზის მარჯვნივ, მარლბორო – ბორცვზე, მარლბორო – სახლის ფასადზე. სამი ცხენოსანი, უცხოელი სამი ცხენოსანი მომხიბლავ, დინამიურ პოზაში – ქალაქ მარლბოროს სიმბოლოც და მკვიდრიც ერთდროულად...

„გაუცხოების სინდრომი“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1998 წ.



ანა კაკელაშვილი


მოდის ვარსკვლავი...

(ბიბლიიდან)

გრგვინავს ბუკის ხმა, ირგვლივ ქაოსი, საჯოჯოხეთო ქარები ქრიან...
ვუმზერთ სისხლიან მზეთა ამოსვლას...
დაცხრება რისხვა ადრე თუ გვიან...

მინავ, უსასოდ დამცირებულო, გამარჯვებისას შენ ისევ შესვამ:
მოდის ვარსკვლავი გაბრწყინებული, რომ დაგიბრუნოს დიდება ესე!

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1998 წ.



ნუგზარ შაგაიძე

* * *

გამომცემლობის ვინრო, გრძელ ოთახში სამი სანერი მაგიდა დგას. კედელზე ილიას დიდი სურათი კიდია. ერთ მაგიდასთან უკვე სამოცს გადაცილებული, მაგრამ კარგად შენახული კაცი ზის და ტუშში ჩასველებული ფუნჯით ქალაქზე ასო „ჯ“-ებს წერს. თექვსმეტი უკვე დაუნერია, ახლა მეჩვიდმეტეზე ჯახირობს – ფუნჯს წყლიან ქილაში ალალღებებს, ნამუშევარს ალმაცერად დასცქერის.

შემოდის ჭალარანვერიანი, ძვალმსხვილი მამაკაცი. დამხვდურს ხელს ართმევს და საკოცნელად ეტანება, მაგრამ ის სახეს არიდებს:

- არ მაკოცო, გაციებული ვარ!
- რამ გაგაცია?...
- რავა რამ გამაცია, დენი მე არ მაქვს და ნავთი!...

„თავს გაუფრთხილდით, ბიჭებო“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 1998 წ.

ნუგზარ ჯაჟაიძე



პიაზი

ის, რაც გუშინ იყო ძვირი,
დღეს გამხდარა იაფი.
ჩუმად დავალ, ჩუმად ვტირი,
მღერის ედიტ პიაფი.

ვაიმე, ჩემო დედოფალო,
ფრთაფარფატა თოლია,
ჩემს უბეში იძინებდი,
ბუდე სხვაგან გქონია.

მონატრების მძევლებია
ჩვენი სანაპირონი,
შენი მკერდის მტევნებიდან
ვინ დანურა მირონი...

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1998 წ.



კუკუჩი კვასციანი

მთა მოქათქათა

მთა დათოვლილი და მოქათქათე,
რას ელოდება ან რას აპირებს,
მდუმარებაში ჩაფლულ მწვერვალებს,
ვერა, ვერასდროს გავინაპირებ.
გულს ერთგულება მისდამი ოდით
დაუფლებია, როგორც წესია,
ეს სიყვარული სამარადისო
უნაზესი და უწმინდესია.

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 1998 წ.

მეხერ აბაშიძე


* * *

დღეს ის აღარ ვართ, რაც წარსულში ვიყავით, ერთმანეთს ვჭამდით, ვაწიოვდით და ერთიმეორისაგან ძალმომრეობით გამონაგლეჯი ქონება ალაღად მიგვაჩნდა... ამგვარი მაგალითებით სავსეა მთელი ჩვენი წარსული. როგორც პელაგია გურიელი ეუბნებოდა თავის ხალხს: ვინც ქობულეთელი-სა და აჭარელის თავს მომიტანს, დიდად დაჯილდოებული იქნება ჩემგანო. ასე აქეზებდნენ აჭარის მთავარი თავდგირიძე და ქობულეთის ბეგები თავდგირიძენიც თავისიანებს: ვინც გურულისა და მეგრელის თავს მოგვიტანს, უხვად დავასაჩუქრებთო და სხვა.

დღეს გარემოება შეიცვალა. შეუგნებლობის მძლავრი კედელი, რომელიც ჩვენს შორის იყო აგებული, ეროვნული შემეცნების დიადი ისრით იქნა დაცხრილული.

„მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი ერთობა“

„ლიტერატურული აჭარა“, №8, 1998 წ.



გიორგი ორბელიანი

* * *

ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარია? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულო მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო, განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, – ანაზღეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულითა.

„რა გვიხარია?“

„ლიტერატურული აჭარა“, №8, 1998 წ.

შაგიუ სიმშიაშვილი

* * *

კაი იქნება, ბატონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვნენ შემოერთებული, მაგრამ თუ იგი არ მოხდა, საცაა უნდა იქნეს, ვინატროთ, ბედნიერად იყვნენ. განათლება სჭირდება, ბატონებო, იმათ. ამდენი ახალგაზრდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ... და ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ თუ ისე აბდღურად დატოვებთ.

„ჩვენ გვინდა განათლება“

„ლიტერატურული აჭარა“, №8, 1998 წ.



ონისა სუკმანიძე

* * *

...თვალსაჩინოა აბუსერისძე ტბელის როლი იმდროინდელ მეცნიერულ ცხოვრებაში, თუ ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, ახლანდელ აზერბაიჯანში, ტრიგონომეტრიის ზოგიერთი ფორმულა მიიღეს, სომხეთში ევკლიდეს გეომეტრია გადათარგმნეს, ჩვენში პირველად ქალაქ თბილისისა და გორის გეოგრაფიული კოორდინატები დაადგინეს, ამ დროს, ხიხანის ხეობაში (მაშინდელი ხირხათი) აბუსერისძე ტბელი მაღალი დონის არითმეტიკულ გამოთვლებს აწარმოებდა. მან 1233 წელს დაწერა ნაშრომი ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატის სახით, რომელსაც საკალენდრო ცნობარის სახე აქვს. აღნიშნული ტრაქტატი ერთ-ერთი ძირითადია სხვა ორ ტრაქტატთან ერთად, პირველი 907 წელს დაუწერია იერუსალიმში მონაზონ იოანეს, მეორე კი – 1755 წელს ვახუშტი ბატონიშვილს...

„აბუსერისძე ტბელის ასტრონომიული ნააზრევი“
„ლიტერატურული აჭარა“, №9, 1998 წ.



ზისვან ცაკია

დავას სიმღერა

ეს სიმღერა დადაისტის
ვისაც გულში ჰქონდა დადა
ცვეთდა ლლიდა თავის ძრავას
ვისაც გულში ჰქონდა დადა
ლიფტს დაყავდა მეფე მარდად
მეფე თავის სამეფოში
ვინც მოიჭრა მარჯვენა და

პაპს ძღვნად გაუგზავნა რომში
აი რისთვის რატომ რადა
ლიფტს არ ჰქონდა გულში დადა
აღძრულებს მადით ჰა შოკოლადი
გამოირეცხეთ ტვინი სანყალი
დადა დადა და
სვით ცივი წყალი.


თარგმნა ბადრი თევზაძემ
„ლიტერატურული აჭარა“, №1, 1999 წ.

ირინა კაკუჩენკო

ნახვადი

დრო ირწეოდა ღრუბელის მსგავსად,
წუთები ჰგავდნენ გაფრენილ ქორებს
მოსხვედი, როგორც დეკემბრის თოვლი,
მერე ნახვედი და მიმატოვე...
ჩუმად ვუმზერდი დღეების კვდომას,
უმზეო წამის მესმოდა კვნესა
და როცა სევდა მომერეოდა,
შენწვენას ვთხოვდი კაცსაც და ღმერთსაც...

„ლიტერატურული აჭარა“, №6, 2000 წ.





ჩვევა ინანიშვილი

* * *

ხარაზები გაჩუმდნენ. სახელოსნოში ორი ლამაზი გოგო შემოვიდა. სტეფანესთან მივიდნენ. თეთრები ეცვათ, კანჭებზე მზე არ შეხებოდათ. ჯერ ერთმა აილო ერთი ტანკეტი, ჩაიცვა, ფეხი ყუთზე შემოდგა და ისე ათვალეერებდა. ფეხი იყო თეთრი, ხორცსავსე, ქორფა. მეორე ფეხი კიდევ უფრო მიმზიდველად ჩანდა მუხლს ზემოთამდე, თანაც შიგნითა მხრიდან. იმ გოგომ ხომ დიდხანს ათვალეირა ის ტანკეტი, ახლა მეორემ ჩაიცვა, ახლა იმან შემოდგა ფეხი ყუთზე ეს მეორე უფრო მკვრივად შეკრული გოგო იყო, ფეხზე ვარდისფერიც დაჰკრავდა, თითქოს არც იმას დაუჯდა ჭკუაში ფეხსაცმელი, გაიხადა, დადო, ისე უტრიალებდა, მეორემაც – ოდნავ ჩაიხარა და ისე შეხედა, მოჭუტული თვალებით...

„ქრისტეს პერანგი“

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 1999 წ.

ბექია გათენაძე

სოკო და ოლღა

ეკას კობტა სოკოს
ეკითხება ოლღა:
ქოლგა ხარ თუ სოკო,
სოკო ხარ თუ ქოლგა?!
შეგეტყობა ხმაზე,
თუ არა ხარ ქურდი,
რატომ გხურავს თავზე
ნითელქუდას ქუდი?

„ლიტერატურული აჭარა“, №10, 1999 წ.

ღალი თაღოკაძე

თოჯინები იცინიან

ცელქი სიოს კისკისია,
თუ რაკრაკი ნაკადულის
იქნებ, ფოთლის სიმღერაა,
ანდა ჩიტის ფრთახატულის,
იქნებ, იქნებ, ცის და მიწის
მონკრიალე მზის სხივია.
ყური უგდეთ, ეს თინიკოს
თოჯინები იცინიან...

„ლიტერატურული აჭარა“, №10, 1999 წ.



მუხან მაჭავაძეანი

ხან ლურჯათი! – ხან მერნითა!

რუსეთიც და ამერიკაც
დროა, –
ჩახვდეს რამე რიგად:
საქართველო
კუნძულიკა
კი არაა რომელიღაც!
საქართველო
ქვეყანაა, –

იმერითა, ამერითა! –
მზისკენ
ისრებ
მინცივ
მფრენი,
ხან ლურჯათი! –
ხან მერნითა!

„ლიტერატურული აჭარა“, №11, 1999 წ.

ღეღა კუკულაძე



იყურე

იყურე, რადგან დუმილია ყველაფრის მთქმელი,
 თვით მეტყველებაც უძღურია მის მეფურ ძალთან
 და ღმერთმაც უხვად ამ ყოვლისმთქმელ,
 მეტყველ დუმილში გადმოიფერთხა მონყალების ღვთიური კალთა.
 იყურე! დუმილს... გადაეცი სათქმელი შენი,
 და ის გამანდობს შენი სულის იდუმალებას,
 იყურე! ტრფობას უფრო მეტად დუმილი შეენის,
 გრძნობა მომითხროს სევდიანმა შენმა თვალებმა...

„ლიტერატურული აჭარა“, №12, 1999 წ.



ღია სვუკუა

ყველაფერი შეჩვევაზეა დამოკიდებული

სევდა წამართვეს და
 ხავერდის კორსეტში ჩატენეს –
 მზა შექსპირს მთავაზობენ,
 მოიძებნება კი მისი ადგილი
 ჩემს დავინრობულ ბუნებაში?

გაძვირდა პური, სინათლის გადასახადი,
 უცხოებს ისევ მიაქვთ ოქრო,
 ოლონდ, ჩემი დახმარების გარეშე,
 ზამთარი ტალახით აწებებს
 მინაზე გამხმარ ხეებს...


„ლიტერატურული აჭარა“, №1, 2000 წ.

ვახგანვ ჯაჰახაძე

ღეღას

გამიადვილე დარდები, მომიგერიე სევდები,
 როგორც კი დამავინყდები, მაშინვე გამახსენდები.
 სადაც შენ დამავინყდები, მეორედ იქ არ გავივლი,
 შენი ხმა წამომეწევა, გურული კილოკავივით.
 სადაც შენ დამავინყდები, იქ ველარავინ წამიყვანს,
 როცა შენ გამახსენდები, მინაზე უფრო ცა მიყვარს.
 მოვდივარ, მოვედევნები ნაზარეთელს და გოლგოთელს
 და ისე მომიხარია, თითქოს, წამალი მომქონდეს.
 ჩვენ ვერც მაგია გაგვთიშავს, ვერც მაგიური რიცხვები:
 სიკვდილს არ დავინყებხარ, მე როგორ დამავინყდები?!

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 2000 წ.




იზა ოსეაიშვილი

* * *

მე შენი სახლის აივანს ვხედავ,
 ვხედავ, როგორ რწყავ სათუთ ყვავილებს
 და შენი სუნთქვის გადმონაქროლი
 თითქოს მხურვალე მკერდზე მაგრილებს.
 ვერ გავეძეცი ბავშვურ სიანცეს,
 პატარა სარკით სხივებს გიგზავნი.
 იქნებ, იგრძნო, რომ სიყვარულია
 ჩემი ტანჯული გულის მიზანი...

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 2000 წ.



ბენო კაენდია

სიზმარ-ცხადის ლექსი

არ მომინამლო სიცოცხლე, არ მომიკვეთო უცებ,
 მე გაზაფხულის ჩიტივით ვეძებ საკუთარ ბუდეს.
 არ განმიკითხო ცოდვილი, არ დამიბრმავო თვალი,
 ისედაც ბრმა ვარ, ბოგანო, ჩონჩხი, გამხდარი ძვალი.
 იქ დამრჩა ერთი საფლავი, ერთი ლამაზი ბორცვი,
 მივდივარ, მინას ვასწორებ... სულმოუთქმელად ვკოცნი.
 არ მომისწრაფო სანუთრო, არ გამიფანტო მრევლი,
 არ აგერიოს წვიმაში ობლის ხიზანი ცრემლი.
 უფლისა ჩვენის სახელით, – მოდი, სიზმარში მნახე,
 ნითელა ბატონებივით რომ გამინათო სახე.
 მეზუკედ ვივლი, მეაბჯრედ... გამოგაღვიძო, იქნებ,
 წმინდანის სანთლებს აგინთებ შვიდი არშინის სიგრძეს.
 არ შემატოვო ქარიშხალს, არ ამიცურო ნავი,
 მართლა არ მომაკვლევიანო ამ გაზაფხულზე თავი.

„ლიტერატურული აჭარა“, №3, 2000 წ.

შოკინა მახაჭაძე

* * *

თამაზ ჭილაძე სწორედ იმ სამოციანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელთაგანია, ვინც XX საუკუნის II ნახევარში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ქართულ ლიტერატურაში. იგი იმ თაობას ეკუთვნის, ვინც ორგანულად შევიდა თავისი დროის მითოლოგიურ სისტემაში; ვინც თავად გარდაქმნა იგი, იქცა ინტელექტუალურ ელიტად და ბოჰემად, ეპოქის მითოლოგიურ გმირად...



„ბასრი და მკვეთრი სიტყვის კალმოსანი“



ნაკბიზა ბეჩიძე

* * *

...იმ ზაფხულს ისეთი საშინელი სიცხეები დაიჭირა, ისე ჩამოცხა და ჩამოიხუთა, მეტი რომ არ შეიძლება.

აუტანელი სიცხისაგან პირდაპირ სუნთქვა ჭირდა; მიწას ალმური ასდიოდა და ადამიანები ოფლად იღვრებოდნენ.

ვისაც კი საშუალება და დრო გააჩნდა, ყველამ იპოვა სიცხისაგან თავშესაფარი – მთის კურორტებს მიაშურა დასასვენებლად.

სიმართლე რომ გითხრათ, სიცხეს ნაკლებად ვიტანდი, თანაც ჯანმრთელობაც არ მიწყობდა ხელს (ახალი ნაავადმყოფარი ვიყავი).

ჩვენ, მე და დედაჩემი, ყოველ ზაფხულს ბორჯომში მივდიოდით დასასვენებლად, მაგრამ წელს დედას სამსახურის გამო წამოსვლა არ შეეძლო და ძალიან წუხდა ამის გამო: – ამ სიცხეში ბავშვი დამეხრუკებაო, სულ ამას წუნუნებდა და გაიძახოდა...


„სინანული“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 2000 წ.

პოლ პეკლენი

* * *

კაბარეთა ხმაური, გარყვნილების მორევი,
გაძარცვული ჭადრები ქართა ნაამბორევი,
ოთხთვალათა ჭრიჭინა ზორბა რკინის ბორბლები,
ზღაზვნით მოგორავენი, შლამით დანადორბლები.
მწკრივი დაღლილ მუშათა, ბნელთა და უსიერთა
მხრჩოლავ ჩიბუხებითურთ ცხვირწინ პოლიციელთა,
ოღროღოღრო ქუჩები, სავსე ნამწვავ-ნალვერდლით,
ნესტი სახურავთაგან კედლებს ჩამონაღვენთი,
წვიმის ჩამონაჟონი სავსე გუბე მრავალი,
აი, ჩემი შარავზა – ტაძრისაკენ მავალი.



აკვუჩი ჩეშბო

განცდა

როცა ზაფხულს საღამო გადაღებავს ლურჯებით,
როს ბალახი თავთავთა გასათელად მიმიშვებს,
შევუყვები გრილ ბილიკს, ტერფით შევეურჩები
და ნიავექარს მივუშვერ ჩემი შუბლის სიშიშველეს.
არას ვეტყვი და ფიქრიც მიმატოვებს მოშურნე,
მხოლოდ უკვდავ სიყვარულს ვერსად ვერ დავემალე.
გავიჭრები შორი-შორ, ვით სიმღერა ბოშური,
ბედნიერი – ვითარცა სატრფოს მკერდზე მთვლემარე.

თარგმნა *ბაჩუკი ჩაბრაძემ*

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 2000 წ.



ზვიად გამსახურდია

* * *

...ტოლსტოიმ ოპტინის უდაბნოში გაქცევით საბოლოოდ გაიმარჯვა თავის ბრძოლაში. მან სძლია ასთავიან ჰიდრას – საზოგადოებას, ოჯახს, სკეპტიციზმს, მეშხანურ „კეთილგონიერებას“ და ტიტანური მგზნებლობით აღაზევა სულიერი სიყვარული პირად ცხოვრებისეულ კეთილდღეობაზე. ამით მან უფრო შეიყვარა მოყვასნი თვისი და ის საზოგადოება, რომელიც წინათ სძაგდა, რამეთუ დაუმტკიცა მათ მათი გზის მცდარობა და დამღუპველობა. ტოლსტოიმ მონამებრივად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. იგი თავის იდეას შეეწირა და ამით აღასრულა ღვანლი, მსგავსი ბუდას ღვანლისა.

1977-1978, მოსკოვი, სუკის (ლევორტოს) საპყრობილე

„მეამბოხე სული“

თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ

„ლიტერატურული აჭარა“, №8, 2000 წ.

ბესიკ ხაკანაული

რალაცა კვდება და იხრნება ამ ზეიმშიაც

გაზაფხულის სურნელებით ავსებულ ბაღში, განთიადისას, დილა-ბინდის გამორებაზე, როცა სიმწვანე ჯერ სიმწვანედ არც კი ქცეულა და ჰაერსაც არ შემღვრევია თვალის სინმინდე, როდესაც ხარობ, გიხარია, თუნდაც დარდობდე და გადაუხევე უცხო ბაღში, როგორც ტაძარში, რათა დაესწრო ზეიმს, შენთვის ძალზე იშვიათს... რალაცა კვდება და იხრნება ამ ზეიმშიაც...

„ლიტერატურული აჭარა“, №8, 2000 წ.



გოლეჩი ჩოხეი

* * *

ეს ამბავი იმაზე უფრო სევდიანია, ვიდრე მინდოდა, გამოსულიყო. საქმე ის გახლავთ, რომ არავინ არ მოელოდა ამ ამბის ასე დასრულებას. იმ სოფელში, სადაც ეს მოხდა, ყველა მონყენილი დადის. ზედმეტად სევდიანებს, მზერა, ნამდაუნუმ ზეცისაკენ გაურბით; იქნებ, ინებოს მაღალმა ღმერთმა და ხუჭუჭულა დააბრუნოს იქიდან. ამ ამბავში ყველა საკუთარ დანამაულს გრძნობს, მათ ხომ უსაზღვროდ უყვარდათ ხუჭუჭულა, რომელსაც თავისი სიპატარავის გამო სიყვარულით მოლეკულა შეარქვეს, თორემ ნამდვილი სახელი ბერდია ერქვა...

„ხუჭუჭულა“

„ლიტერატურული აჭარა“, №8, 2000 წ.



გივი ბაკია

* * *

მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის! – დუმილის ტევრში
ნაღმივით გასკდა გაფრთხილება. წამსვე მიჩუმდა.
ძალზე ქართული მზე ეკიდა თხემზე ფიჩორთან
და თავს იხრჩობდა სხივის თოკით ღრუბელი მრეში.
აქ სხვა მიმოხვრა ჰქონდა სიოს – ზღვის ამოსუნთქვას:
აღვების ტანის სინარნარე ცისტვის ექნება...
ტალღა მიენდო უსამანო სივრცის ჭენებას
და ძლიერ, ძლიერ – შენთან ყოფნა! – ძლიერ მომსურდა.

„ლიტერატურული აჭარა“, №11, 2000 წ.

ია სულაბერიძე

სიყვარულის ახსნა

არც იფიქრო, რომ სიყვარულს გიხსნი,
ან მსურს, მომცე ერთგულების ფიცი,
ვიდრე ძარღვში – საკუთარი სისხლი,
შენთვის უფრო საჭირო ვარ, ვიცი!
გიცნობ მარტივ მამრავლებად დაშლილს,
ვიცი, მეტრფი უცნობსა და თამამს
და აღმერთებ ამ მშვენიერ კავშირს,
მშვენიერს და უსაშველოდ მთავარს!...

„ლიტერატურული აჭარა“, №11, 2000 წ.



გუკამ ბენაშვილი

* * *

...რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, მიუხედავად გალაკტიონისადმი
მიძღვნილ გამოკვლევათა სიმრავლისა, ბოლომდე მაინც არ არის გაც-
ნობიერებული, თუნდაც იმ ისტორიულ-ლიტერატურული პროცესის ში-
ნაგანი სული და ბუნება, რომელმაც შვა პოეტის ფენომენი, ან პირიქით,
რომელიც შვა პოეტის ფენომენმა...

„არტიტული ყვავილების პარადიგმები“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 2001 წ.



ოზია იოსელიანი

* * *

შარშანდელი ამბავია.

რესტორან „ოდიშიდან“ გამოვდიოდით (რა მინდოდა, რატომ ფეხები არ დამატყდა, მაგრამ მიწვეული ვიყავით). ვილაცამ კი ჩაილაპარაკა, მათხოვრები გვდარაჯობენო. თბილისში, რაც ქვეყანა აირდაირია, არ ვყოფილვარ და ვერაფერი გავიგე, რაკი ეს გაფრთხილება ჩასაფრებად მომესმა. თუმცა, მანამდეც ერთი ღონიერი, ბრგე, ენაბრგვილი შეურაცხადი კარებში ვერაფრით შეაკავეს, დარბაზში დაჭრილი დათვივით შემოიჭრა, ბობოქრობდა, ბრდღვინავდა. სუფრაზე მოიწვიეს, არა ჰქენა...

„ჩაჩნის კვესი“

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 2001 წ.

მაჩინა ცხევაძე

* * *

მომწონს, რომ ავად არა ხართ ჩემით,
მომწონს, რომ თქვენით არა ვარ ავად,
რომ არ გვისხლტება ფეხიდან მინა
და ამ მინაზე სიმშვიდით დავალთ.
მომწონს, რომ ვიყო თავაშვებული,
არ ვითამაშო ყალბი სიტყვებით
და არ გავწითლდე მღელვარებისგან,
ერთუერთს მსუბუქად როცა ვეხებით...




თარგმნა *ჟუჟუნა ხაჯიშვილმა*

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 2001 წ.

ანა ღუნღა

* * *

თეთრი ქათქათა ღრუბლების ფანტელებიდან ის სიყვარული გამოვიხმე, მთვარის მკრთალ შუქს რომ უნდა ჩამოჰყოლოდა შორეული კვაზარებიდან.



გრიგალის მოვარდნას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალობას. ასე ფიქრობდა მაშინ, როცა ვიზუალურად აღიქვა შორეული საუკუნეებიდან მოხმობილი სილამაზე ქართველი ქალისა. თითქოს ზღაპრულ სამყაროში გაეხვია. ნამიერ გაელვებად და არარეალურ არსებად მიიჩნია იგი. მითიურ ფრინველსაც შეადარა ზეცაში მონავარდეს. ერთმანეთს ენაცვლებოდა რეალური და მოგონილი... უწერაში, სანატორიუმის ეზოში, იხილა იგი, თამარისდროინდელ ცაცხვის ძირში მდგარი: ქორფა, გაცისკროვნებული, უფრთო ანგელოზს ჰგავდა მშვენიერი. მხრებზე შავი თმები ეყარა და მწვანე თვალები მომაჯადოებლად უბრწყინავდა...

„თორმეტზე შეჩერებული ისარი“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 2001 წ.

იბეჭდება 1990 წლიდან



გვიკა ჴანჯიკიძე

* * *

...გახრწნილი გვამის სუნი სასადილო ოთახსაც მოედო. სულშეგუბებული ფანჯარას ეცა და გამოალო. ქუჩაში რომ გადაიხედა, შეკრთა. შენობის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ყველანი მალლა იცქირებოდნენ. ორი ასეული წყვილი თვალი, ერთ მძლავრ გამოხედვად შეიკრა და თორნიკე გელაშვილის თვალებს დაეჯახა...

„რეკვიემი“

„ლიტერატურული აჭარა“, №5, 2001 წ.



აკიმე მახია ხიძე

აჴა

დგას ამალღებულ კათედრალთან და დუმილს არ შლის,
განფენილია სისადავე სარკმლის მინებთან,
შემოფეთებულ ბედისწერას იგი მინებდა,
უჭირავს ვაშლი და თავადაც პოზაა ვაშლის.

უბრალეულოს ბრალეული ერგო ურიგო,
იმ მოზარდისთვის ჟამთა შორის რომ იქცა მიჯნად.
მან სიყვარულით უკვდავებას გადააბიჯა,
რათა მინაზე ახალი დრო დაწყებულიყო.

ძველ სამყაროში დარჩებოდა იგი სიამით,
ერთსულოვნება იყო მკვიდრი სადაც ცხოველთა
და შეხედავდა ყოველივეს ახლებურ თვალთ.

მაგრამ როდესაც ჰპოვა კაცი, ვნებების ძალით
ნაჴყვა მას ისე, როგორც სიკვდილს, მძღველს ყოველთა,
თუმც არ იცოდა, თუ ვინ იყო მაშინ უფალი.

გერმანულიდან თარგმნა ნატო ინგოროყვამ

„ლიტერატურული აჭარა“, №7, 2001 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი
THE MAGAZINE GANTIADI OF GEORGIA'S WRITER'S UNION

განთავსი

რედაქცია

თბილისი, მახაბდოს ქ. N13. ტელ. 93-49-06
ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. N6. ტელ. +26-96. 5-27-68

2001 წ.

ლიცხას ნიკოლოზი. ჯანდაბალია ის
ყოველთვის სიკვდილს მიუყვება ხელოვნებას,
შეიქმნა სანდო.

ვლადიმერ აქვილიძე უფროსი,
კვიციანი, ამდროს აქვილი-ჩვილი სკოლაში.
დაცინა ვინა, ნუ შევიწყვიტავ გამოცემას.
ჩვილი ვინა ჩვილი მწერალი, ხედავს გამოცემას
„განთავსი“ სიამოვნებით...

ჩვილი სანდო, აქვილი ამდროს ჩვილი
დაცინა მწერალი, ვინა ვინა. აწინააღმდეგ
ყველა ვინა ხედავს...

ამდროს ჩვილი ვინა მწერალი აწინააღმდეგ
დაცინა ვინა...

სიამოვნებით,

ლიცხასი

ლიცხასი

24 თებერვალი 2001 წ.

ლიცხასი



უჩა ოჩაოვიძე

* * *

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად მესხეთის დაბრუნების შემდეგ დღის წესრიგში უშუალოდ დადგა საქართველოსთან აჭარის მიერთების საკითხი. ქართველი ხალხის მონინავე შვილების ხელმძღვანელობით აჭარის პროგრესულ მოაზროვნეებთან ერთად ისახებოდა აჭარის დედამამშობლოს წიაღში დაბრუნების გეგმა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე...

„ეროვნული იდეა და სამუსლიმანო საქართველო“

„ლიტერატურული აჭარა“, №7, 2001

საჟო კობაძე

* * *

ცხელი თითებით უხმო ბგერებით,
მწველ სამოსელში, –
გადაგიფინე...
გადაგიყოლე...
შემოგაცვითე ურჩი სამოსი და
დაგიმკვიდრე...

„ლიტერატურული აჭარა“, №12, 2001 წ.



თამაზ ნიშნივაძე

* * *

„მომისმინე, თორემ
დაგარტყამ!“ –

როცა მაღალი თა-
ნამდებობის პირი კა-
ნონს პატივს არ სცემს,

ვიდრე ქვეყანასაც დააქცევდეს, ეტყობა, უნდა
დაარტყა!

ურტყამდა, მაგალითად, პეტრე პირველი
ურტყამდა:

სახელმწიფოს მეორე კაცს – თავის უახლოეს
ქვეშევრდომს, ფერდმარშალ გრაფ ალექსანდრე
მენშიკოვს – „ჩრდილოეთის ომის“ მსხვილი შენა-

ერთების სარდალსა და გენერალსიმუსს!

ურტყამდა სახელმწიფოს მესამე პირს – ვი-
ცეკანცელარს, გამოჩენილ დიპლომატსა და ფი-
ნანსისტს, ბარონ პეტრე შაფიროვს!

ურტყამდა გრაფ აპრაქსინს!

ურტყამდა გენერალ-ფელდციხიზმისტერს,
ბრიუსს!

საადმირალოს პრეზიდენტს – კიკინს!

ვიცეგუბერნატორს – კორსაკოვს!

ურტყამდა დღისით, მზისით!

ურტყამდა ფარულად, საჯაროდ!

ურტყამდა ხელით, წკეპლით, „დუბინკით“!...

„მომისმინე, თორემ დაგარტყამ!“

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 2002 წ.



შუშანა ჯუჯაკაიძე

* * *

...ქართველთა კულტურისა და განათლების კვალი სტამბოლში ისტორიის სათავეებშია საძიებელი. წერილობითი წყაროები ჯერჯერობით მხოლოდ მეცხრე საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს ცნობები დაცულია ძველქართულ, ლათინურ, ბერძნულ, ფრანგულ, არაბულ, ებრაულ წყაროებში.

სტამბოლში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, სასულიერო მოღვაწენი, წმინდანები. მათ შორის აღსანიშნავია ილარიონ ქართველი და გიორგი მთაწმინდელი. ისინი აქვე არიან დასაფლავებულნი. სტამბოლში ცხოვრობდა კარგა ხანს დიდი ქართველი ლექსიკოგრაფი და მწერალი სულხან-საბა ორბელიანი...

„ქართული კულტურის კვალი სტამბოლში“

„ლიტერატურული აჭარა“, №2, 2002 წ.

პაპა ხოჩნაული

* * *

იყო და არა იყო რა... თუმცა ამგვარი რამ არასოდეს მომხდარა და, ალბათ, არც მოხდება – იმიტომ კი არა, რომ შეუძლებელთანაა დაკავშირებული... უფრო მეტიც: შეიძლება, ადვილად მოხდეს. ახლა კი გონების თვალთვლით წარმოვიდგინოთ ადვილად მოსახდენი ამბავი: იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბრძენი. ამ ბრძენმა მსოფლიოში სახელგანთქმულ ათას შემოქმედს – მწერლებს, ფილოსოფოსებს, კრიტიკოსებს – ერთი შეკითხვა გაუგზავნა: „რა არის პოეზია?“ და ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მეთათასე პასუხიც მიიღო (ყველაზე შორეული ქვეყნიდან), იგი მარადიული და ამოუხსნელი კითხვის შედეგად დაბადებულ ათას აზრს ჩაუღრმავდა და ის იხილა, რასაც გული უგრძნობდა: ათასი აზრი ერთმანეთთან საოცრად ლამაზი და იდუმალი ძაფით იყო დაკავშირებული. თითქოს ერთმანეთს შეჯიბრებიათ, დიდი ღვთისგან ნაბოძები ნიჭის ხმა მოისმოდა ათასივე აზრიდან, მაგრამ კითხვას – „რა არის პოეზია?“ – სრულყოფილად ვერავინ უპასუხა. როგორც ოქროს თევზი, ყველას რაღაც გაუსხლტა გონების ხელიდან. ბრძენმა იგრძნო, რომ ეს მოუხელთებელი „რაღაც“ სხვა არაფერია, თუ არა ის „ლამაზი და იდუმალი ძაფი“, ათას აზრს ერთმანეთთან რომ აკავშირებდა.

ბრძენი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სწორედ ეს მოუხელთებელი და მარადიული „რაღაც“ არის პოეზია, უფალივით ნაცნობი და შეუცნობელი – მართლაც, ოქროს თევზი, რომელიც ნებისმიერ ბადეს გაუსხლტება სინათლის სხივივით.

„რა არის პოეზია?“ – ამ კითხვას, სამყაროსთან ერთად დაბადებულს, სულ სხვაგვარი მშვენიერებით ეხმარება საიათნოვას ერთ-ერთი ლექსის სტრიქონი: „ისე ვეტყვი, იგრძნოს და ვერ გაიგოს“.

„იგრძნოს და ვერ გაიგოს“ – ეს არის პოეზია.


მაგრამ არც ესაა ზუსტი და ნანატრი პასუხი.

მარადიული სიცოცხლით დაჯილდოებული კითხვის – რა არის პოეზია.

– „ზუსტი და ნანატრი პასუხი“ თვითონ პოეზიაა, ანუ ესა თუ ის პოეტური ქმნილება.

„მე სიყვარულის ტაძარში ვდგავარ ანუ ლექსი თავის საქმეს აკეთებს“

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 2002 წ.



თენგიზ გოგოშაძე

* * *

...ახლა სხვა გრძნობის კარი გაიღო
და სიხარული გადაინმინდა,
წარმოვიდგინე, შენ რომ არ იყო,
წარმოვიდგინე და შემეშინდა.

მადლობელი ვარ, ძვირფასო, შენი,
შენგან შორს წასვლა რომ მიძნელდება,
გაგილამაზო მინდა, ცხოვრება
ვით ამ იეზმა და ენძელეზმა!

„ლიტერატურული აჭარა“, №4, 2002 წ.



ვიქტორია ზოკაჩავა

* * *

...ვზივარ და ვფიქრობ მომავალ პაემანზე.

გუშინ გავიცანი, მეტროში, დამამახსოვრდა სახელი – გელანა, ადრე ასეთი სახელი არსად გამეგონა. და დამამახსოვრდა ქუდი – ასეთი ქუდიც ადრე არსად მენახა. თუ გელანა დღეს უქუდოდ მოვა, ალბათ, ვერც ვიცნობ.

მე ძალიან მიყვარს ქალების საზოგადოებაში ყოფნა. მათთან თავს ნიჭიერად და მნიშვნელოვან პიროვნებად ვგრძნობ, რაც სინამდვილეშიც ასეა. ქალებსაც უყვართ, უადვილდებათ ჩემთან ყოფნა იმიტომ, რომ კარგი ხასიათი მაქვს და არავისაგან არაფერს არ ვითხოვ...

„სადაც არაფერია“

თარგმნა მურმან ცეცხლაძემ

„ლიტერატურული აჭარა“, №9, 2002 წ.

ზაურ კალანდია

უგზოუკვლოდ დაკარგული

(დიმიტრი ჯაიანს)

თარბი ხეცურისას თუ იცნობო, – მეკითხება ძველი სოხუმელი ნაცნობი პარტიზანი.

ჩემი მეგობარია-მეთქი, ვპასუხობ.


ამ რამდენიმე დღის წინ ტელევიზორში მოვისმინე, მამამისი დაიკარგაო, სანადირო დანით მიწას ჩხვერს, ქვემოდან ამომყურებს.

– აბა, კაცო! – ვწუხვარ მეც, ზურგჩანთას ვიხსნი და ქვაზე ვჯდები.

– ბოლო დროს ცუდად იყო... დილით სახლიდან გასულიყო და უგზოუკვლოდ გაქრა... მანამდე ჰქონდა მახსოვრობა დაკარგული-მეთქი, მეტი გულმოდგინებით ვაზუსტებ.

მეც ასე მოვისმინეო, კვერს მიკრავს, ისევ ისე ჯიუტად იჩიჩქნება მინაში.

ვგრძნობ, რალაცის თქმა უნდა და ვჩუმდები...



„ლიტერატურული აჭარა“, №10, 2002 წ.



ოსიკო გვაჩიშვილი

* * *

სასიხარულო და მისასალმებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ითავა დღეს თურქეთში მცხოვრებმა, წარმოშობით ქართველმა ბილალ მიქელაძე-დინდარმა, რომელიც საკმაოდ კარგად ფლობს დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენას.

როგორც თვითონ აღნიშნავს, თარგმნისას მასთან ერთად მონაწილეობდა აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მცოდნე დოცენტი ზეინელაბიდინ მაქასი. თარგმნისას ნაყოფიერი სამსახური გაუწია სერგი წულაძის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა“ და აზერბაიჯანულ ენაზე ახმედ ჯევადის თარგმანმა.

„ლიტერატურული აჭარა“, №11-12, 2002 წ.

ნეჯათ ისა

იის ყასიდა სულთან მაჰმუდის სადიღებლად

ზარიფი ვარდი სატრფოს ჰგავს, ია – აშიყი მთვრალია,
და მათი ერთად არშეყრა მუხთალი სოფლის ბრალია;
ვითა ფარვანას ბედიტსა ფრთები ეწვების ალზედა,
ეგრემც იასა ხელად ქმნილს შემოეძარცვა ტანზედა...

თურქულიდან თარგმნა ია ჩხაიძემ

„ლიტერატურული აჭარა“, №1, 2003 წ.

ღაღო მკედაშვილი

როგაიეზი


* * *

ენა იმდენი ვიქავეთ და გადავიტყავეთ,
ქვეყანა დარჩათ ქურდ-ყაჩაღებს, ქადაგ-მკითხავეებს,
კაცის მკვლელები ყელსა სჭრიან თავისუფლებას,
ხოლო გონიერთ – უგუნურნი განიკითხავენ.

* * *

ქვეყნის მმართველნო, თქვენი ჭკუა რომელ ქარს გაჰყვა?
პარლამენტარნო, არ მოგწყინდათ განა წყლის ნაყვა? –
ბრმამაც კი იცის, თავის ყურით რაც გაიგონა,
ყრუმაც კი იცის, თავის თვალით, რაც დაინახა.

„ლიტერატურული აჭარა“, №10, 2003 წ.



თანახმა ხართ თუ არა, რომ ჟურნალ "ლიტერატურულ აჭარას"
დაუბრუნდეს სახელწოდება - "ჭოროხი"?

კი	არა
1. სანდრო ბერიძე - ჟოჟო, შ. ა. ა. ა. ა.	
2. ბაჩო თევზაძე - ჟოჟო შ. ა. ა. ა.	
3. დავით ბუღაძე - ჟოჟო. შ. ა. ა. ა.	
4. ჯიქა ბერიძე - ჟოჟო. შ. ა. ა. ა.	
5. ვიქტორ ბერიძე -	
6. ქუთუნიანი ხატიაშვილი - ჟოჟო. შ. ა. ა. ა.	
7. ანდროს აბაშიანი - ჟოჟო, შ. ა. ა. ა.	
8. ვუტუნიანი შიშიძე - ჟოჟო, შ. ა. ა. ა.	
9. ვინკოვანი სერგო - ჟოჟო, შ. ა. ა. ა.	
10. ვინკოვანი ანა - ჟოჟო, შ. ა. ა. ა.	
11. ვინკოვანი ვინკო - ჟოჟო, შ. ა. ა. ა.	
12. ვინკოვანი ვინკო - ჟოჟო, შ. ა. ა. ა.	
13. ვინკოვანი ვინკო	
14. ვინკოვანი ვინკო	
15. ვინკოვანი ვინკო	
16. ვინკოვანი ვინკო	
17. ვინკოვანი ვინკო	
18. ვინკოვანი ვინკო	
19. ვინკოვანი ვინკო	
20. ვინკოვანი ვინკო	
21. ვინკოვანი ვინკო	
22. ვინკოვანი ვინკო	
23. ვინკოვანი ვინკო	
24. ვინკოვანი ვინკო	
25. ვინკოვანი ვინკო	
26. ვინკოვანი ვინკო	
27. ვინკოვანი ვინკო	
28. ვინკოვანი ვინკო	

Հայրանքս!

Մի կերպով «Քսենիան» տեղանունը ինձ
Հայրանքսն ընկալելու և անհամար քան
Հայրանքսն ինձ ընկալելու և անհամար քան
Լուսինի և Գրիգորի անուններով
Քսենիանի զանազան անուններով
Քսենիանի անունով և անհամար քան
Լուսինի և Գրիգորի անուններով!

Քսենիան

1998

Քսենիան Լուսին!

Լուսինի և Գրիգորի «Քսենիան» զանազան «Քսենիան» և Լուսին
Լուսինի և Գրիգորի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Լուսինի և Գրիգորի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Լուսինի և Գրիգորի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Լուսինի և Գրիգորի անուններով Քսենիանի և Լուսինի

Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի

Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի

Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի
Քսենիանի և Լուսինի անուններով Քսենիանի և Լուսինի

Քսենիան
Լուսին
10.12.2004



ნუგზარ ნულუკიძე

* * *

ქართული საისტორიო წყაროს, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში ბერძენ-მაკედონელთა მხარდაჭერით გადმოსახლდნენ არიან-ქართველები, რომელთაგანაც წარმოიშვა ქართული მოსახლეობა და სათავე დაედო ქართულ სახელმწიფოებრიობას. ბოლო დრომდე გარკვეული არ არის, თუ საიდან მოვიდნენ და ვინ იყვნენ არიან-ქართველები. არიან-ქართველები საქართველოში მოვიდნენ 2300 წლის წინათ, ალექსანდრე მაკედონელის ინდოეთში ლაშქრობის მომდევნო პერიოდში. ისინი ბერძენ-მაკედონელთა, ასევე ბერძენ-ბაქტრიელთა მფარველობით გადმოსახლდნენ ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე – არიანას მხარიდან.

„ამირანის თქმულება ინდურ მითოლოგიაში“

„ჭოროხი“, №9-10, 2004 წ.


მუკან სომეხიკი

* * *

ზესთამჩენობას საბა ასე განმარტავს: „მალლოობით თავის გამოჩენა ამპარტავნულად“. მალლოობა, ანუ სიდიდე, უკეთესობა, აღმატებულება, სხვათა მჯობნეობა შესაძლოა, იყოს ილუზიური, მოჩვენებითი, არარეალური ან ჭეშმარიტიც და რეალურიც. ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, პიროვნების მანიაკური ჟინი, სურვილი, ნდომა გამოჩნდეს სხვებზე აღმატებულად!...

„ზესთამჩენური ცნობიერების სინდრომი“

„ჭოროხი“, №9-10, 2004 წ.



ოთარ ჩოგაძე

ნარმართთა ქორნილი

ღამეა, წვნიანს ხარშავენ
ქარი ქრის გიჟი, აშარი...
ჩამოდი, ჩამოაშავე
ფორებიანი თავშალი.
ღრეობენ – რისი იაზმა...
მოკლედ, ჩარდახში ვინც არი.
ერთ უნამუსოს დიაცმა
გადაამტვრია ფინალი.

„ჭოროხი“, №11-12, 2004 წ.



ნაწონი ნიგოროყვა

* * *

ეს ტრიოლეტი კოპლებიანს, ჩემსას ჰგავს კაბას,
რომლის საკინძეს მხოლოდ შენი შეეხო ხელი.
რვავე სტრიქონი ჩვენი ტრფობის ინახავს ამბავს,
ეს ტრიოლეტი კოპლებიანს, ჩემსას ჰგავს კაბას.
სახელი სანდო გულისპირზე ამომილამბავს,
როგორც იმედი პირველი და უკანასკნელი...
ეს ტრიოლეტი კოპლებიანს, ჩემსას ჰგავს კაბას,
რომლის საკინძეს მხოლოდ შენი შეეხო ხელი.



* * *

ანვიმდა ბათუმს, მიგალობდა წვიმათა დასი,
სევდიან ნოტებს ვუსმენდი და მეც ამეტირა.
მოლოდინია მარტოსულის მაინც მოყვასი,
ანვიმდა ბათუმს, მიგალობდა წვიმათა დასი.
გადავიკითხე „ბედი პავლე ინგოროყვასი“,
დიდსულოვნება ადამიანს უნდა მეტი რა.
ანვიმდა ბათუმს, მიგალობდა წვიმათა დასი,
სევდიან ნოტებს ვუსმენდი და მეც ამეტირა.

„ჭორონი“, №9-10, 2004 წ.



მაყვალა გონაუპილი

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე ნალკოტში
ბაგით მლიმარით? თვალეზით მშვიდით?
თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,
ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი.
თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვენამე,
როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი,
ჩემი სარკმლიდან შემოსულ ლანდებს
ჰქონდათ პროფილი დიდი ჰიროდის...

„ჭორონი“, №11-12, 2004 წ


ელგაი მასგაჩი

სამაროვნები

სად, სადღა არის უნიათო ელმერი ახლა?
 სად, სადღა არის გამრჯე ჰერმანი?
 მასხარა ბერტი, ლოთი ტომი, მეზრძოლი ჩარლი?
 ჰო, სათითაოდ ყველა მათგანი
 სამარადისოდ განისვენებს სამაროვნებში!

თარგმნა ფრიდონ ქარდავამ

„ჭორონი“, №3-4, 2005 წ.



ხასან ჰელიმიში

შადიას სიკვდილი

ოი, თენდება, ვისთვის თენდება,
 მე სიცხით ვინვი, ცეცხლი მედება.
 ეს დილა ჩემთვის იქნება ურგი,
 ვინვი, მომართვით წყლით სავსე თუნგი.
 მოასწარ, გვიან იქნება მერე,
 მე გიკარნახებ, შენ კი – ჩანერე.
 ჰემდი, ჩანერე, ჩანერე, ჰემდი.
 რომ დამელია ყველა იმედი...

ლაზურიდან თარგმნა ნატო ინგოროყვამ

„ჭორონი“, №3-4, 2005 წ.


მინდია ცეხლაძე

* * *

მე მზრდიდა ჩემი უტყვი ოცნება,
 მინდოდა რაღაც, მაგრამ არ მიიქვამს,
 მიყვარდა ფიქრი და გაოცება,
 ვით საოცრებას, ველოდი სიტყვას!
 და ბოლოს ლექსად ამოიხვართქლა,
 რაც გულში ფესვად იტოტებოდა,
 სიტყვა, რომელსაც ტანჯავდა ართქმა,
 მხოლოდ ლექსისთვის მემეტებოდა.

„ჭორონი“, №5, 2005 წ.





ენზო ღოთქიჯანიძე

ვაზი და ლექსი

ქართველი კაცის ცხოვრებას
შვენის ვაზი და ლექსი!
წინაპარი ცხონდება
მათი მადლით და ეშხით!
გიორგი და აგუნა
ლმერთმა გერბად გვარგუნა!
ქართულ სულში სალბუნად
ვაზი ლექსით ჩარგულა!...


„ჭოროხი“, №12, 2005 წ.

რობერტ ნალიაძე


პოეზიდან „ქართული მითი“

ერთ დროს მსოფლიო ელიოტს ცნობდა
ამბობდნენ მოკვდა ეპოქაც მისით
40 წელი გასულია მის არყოფნიდან
დღეს გადავყარე მისი ლექსები
ეპოქის კვდომაც მაშინ ვიგრძენი

აღდგომისას თუ მობრუნდა
ნეტავ რას იტყვის
აღდგომისას თუ ლექსებს დაწერს
ანგელოზები ლექსებს თუ წერენ
აღბათ ამიტომ ჩაჰკირკიტებდა
ის დანტეს ნაწერს...



„ჭოროხი“, №12, 2005 წ.



ოთარ ჩხეიძე

* * *

კრიტიკა ერთ-ერთი დარგია ლიტერატურისა. ისევ ისევე. პროზა-პოეზია-დრამატურგია-კრიტიკა ერთადა და ერთობლივად წარმოგვიდგენს ლიტერატურასა. მხატვრულ ლიტერატურასა, სიტყვაკაზმულს მწერლობასა. ამ ერთობლიობაში ყოველი ამათგანი ხასიათდება თავისებურებებითა, ოღონდ კრიტიკას ცოტა უპირატესობაც მიჰნიჭებია. ცოტაო – იტქმის. მაგრამ ბევრი რამ არის დამოკიდებული მასზედა, ლიტერატურული მოვლენების შემჩნევა და განზოგადება, ნაწარმოებთა ანალიზი და შეფასება; მწერლის აღმატება თუ დაცემა ბევრადაა იმაზე დამოკიდებული. აღმატებაო – რო ვამბობ, დაუმსახურებელ აღმატებას ვგულისხმობ დაცემაშიცა – ამ შემთხვევაში – დაუმსახურებელი დაცემა იგულისხმება. თორემ ჭეშმარიტ მოვლენას ლიტერატურაში ვერ დასცემს ვერავინა და ვერაფერი...

„გზაგასაყარზე“

„ჭოროხი“, №1, 2006 წ.

ნიამუ ბეჩიძე

სამშობლოზე

დღენიადაგ სამშობლოზე
ფიქრი თუ არ გბოჭავს,
მტერი კარზე მოგადგება,
სატრფოს გაგიკოჭავს...
აი, რისთვის გაგიჟდა და
რისთვის შვილი მოკლა,
საცოდავი ბერიკაცი –
ხევისბერი გოჩა.

„ჭოროხი“, №4, 2006 წ.



ბელა ჩეკუჩივილი

ოქროს თევზის ხსოვნას

სწორედ მაშინ,
როცა ჩემში მეთექვსმეტედ აკაპასდა
მებაღურის ბებერი ცოლი,
წეროებმა გადაიფრინეს.
იდგა ივლისი
და ჩემს ოცივე ნებიერ ფრჩხილს
მარმარილოს ქაფი სწყუროდა.
შენ ამბობდი:
„მინანქარმა იცვალა ფერი,

აბრეშუმის ყოჩივარდებს
სტკივათ ფესვები,
გადაყარე სამოსი წყალში,
გახდები ავად,
მოგენატრება გატეხილი,
პატარა ვარცლი,
შენს ეზოში მარტოობა
ნიაღვრად იდენს“.
„ჭოროხი“, №1, 2007 წ.



ოკან ჯაფეძი

* * *

– ევროპა ჩვენთვის დღეიდან მხოლოდ ერთი რამ იქნება, რას ვამბობ, ერთი... მიზანი! უფრო სწორად, მაგალითი – საით ბეი ვაგონ-რესტორანთან ერთად ირწეოდა, სწრაფად ლაპარაკობდა – დროა ყოყორობა მოვიშალოთ. სულ ამას ვამბობ, მას შემდეგ, რაც ჩვენი ხმლების ჟღარუნი თოფებისა და მანქანების ხმაურმა გადაფარა, წლები გავიდა... ახლა უკვე ქვეყანაც ის აღარ არის, აღარც მსოფლიოა ძველი მსოფლიო! მეოცე საუკუნის თითქმის ნახევარი გადის... ათას ცხრაას ორმოცდაათამდე რაღა დარჩა? დავლიოთ, დავლიოთ, სიამაყე განზე გადავდოთ და რესპუბლიკა და ევროპა მოვინელოთ... კი მაგრამ, თქვენ სულ არ სვამთ!
ომერს რაღაცის თქმა უნდოდა: „ათას ცხრაას ოცდათექვსმეტის თებერვალი... სტამბოლში ვბრუნდები“ – გაიფიქრა მან...

„ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟები“
თარგმანი ნანა და ნოდარ ჯანაშიებისა
„ჭოროხი“, №1, 2007 წ.



პაჭკიკ ზიუსკინდი

* * *

...მოიცა, რა კითხვა იყო? ჰო, გამახსენდა: რომელმა წიგნმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ყველაზე მეტი გავლენა რომელმა იქონია ჩემს განვითარებაზე, თავისი კვალი დატოვა, შემძრა და საერთოდაც, ჭეშმარიტ გზაზე დამაყენა, ანდა სულაც გამომაშტერა. თუმცა, სიმართლე ითქვას, მთელ ამ აურზაურს უფრო გიჟურ-ტრავმატული ან შოკური განცდების სუნი ასდის, მათ კი დაზარალებული მხოლოდ თავის კომმარულ სიზმრებში თუ გამოიხმობს ხოლმე, მაგრამ არამც და არამც სიფხიზლისას; ეგეთ რაღაცეებზე წერა და ამ ფიქრების ხმამაღლა განცხადება ხომ საერთოდ წარმოუდგენელია; ამაზე თუ არ ვცდები, ერთმა ავსტრიელმა ფსიქოლოგმა მიუთითა, ვისი სახელიც ახლა თავში არ მომდის – თავის საპროგრამო სტატიაში, არადა, ამ სტატიის სათაურსაც ვერ ვიხსენებ ზუსტად. ვიცი, რომ იგი შესულია კრებულში საერთო სახელწოდებით მე და შენ თუ იგი და ჩვენ ან მე თვითონ თუ რაღაც ეგეთი (ზუსტად არ ვიცი, ვინ გამოსცა ეს წიგნი ხელახლა, როვოლტმა, ფიშერმა, დეტეფაუმ თუ ზურკამბმა, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა, ყდა თეთრი და მწვანე ჰქონდა, თუ მოყვითალო-ცისფერი, მე მგონი, უფრო რუხ-ლურჯ-მომწვანო იყო)...

„ლიტერატურული ამნეზია“

თარგმნა მალხაზ ხარბელიამ

„ჭოროზი“, №1, 2007 წ.

ზვიად კაჭიანი

ცხოვრება ქვეშში

გასაგებია ყველაფერი.

მეც სწორედ მსგავსი სიბრძნეებით ვისუღელებდი ჩემს გულს, მაგრამ გაინელა –

ეს ჟამი ქვების შეგროვების – სწორად ვამბობ? – ჰოდა, ეს ჟამი

უსაშველოდ, სამარცხვინოდ გაინელა:

შეგროვილია ყველა ლოდი და ყველა კენჭი,

უზარმაზარი გალავანი ამოშენდა


ჩემ გარშემო,

და იმსიმაღლე –

გინდაც მოვიდეს ჟამი სროლის,

აღბათ, ყველაზე მსუბუქ კენჭსაც ვერ გადავაცდენ,

ვერ გადავადგებ გალავნის მიღმა.



„ჭოროზი“, №1, 2007 წ.



როსტომ ჩხეიძე

ორი ასეი

(კვამლი, სამერცხული, ყვითელი ჩალა)

ოდისევსს, ათასგვარ ფათერაკგამოვლილს, სხვა აღარაფერი სწა-
დია:

მხოლოდ კვამლი, ითაკის მიწიდან ადენილი კვამლი დაინახოს და
მერე თუნდ მოკვდეს.

მთარგმნელები – ზურაბ კიკნაძე და თამაზ ჩხენკელი – ამ განცდასა და ამ სტრიქონს დაიმონ-
მებენ იმის ნათელსაყოფად, რომ: ოდისევსი არის პირველი ლიტერატურული გმირი, რომელსაც
სამშობლოს ზნეობრივი ღირებულების მძაფრი შეგრძნება აქვს ჩანერგილი.

ჰომეროსის ეს სტრიქონი ასოციაციურად არაერთ მხატვრულ ხილვას ჩაენვნოდა და ალექსან-
დრე გრიბოედოვისთვისაც კვამლის მეტაფორა „ოდისეადან“ უნდა იყოს ნასესხები: მამულის კვა-
მლიც კი ტკბილია და სასიამოვნო ჩვენთვისო...

„ჭოროხი“, №1, 2007 წ.

მიხეილ მახაჩაძე

* * *

„გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკო-
ვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს, მამამისმა ყი-
ნულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად“ (გაბრიელ გარსია მარკესი, „მა-
რტოობის ასი წელიწადი“).

მარკესის ამ შესანიშნავი რომანის დასაწყისის წაკითხვის შემდეგ, წიგნი
გვერდზე გადავდე და დიდხანს ხელი აღარ მომიკიდია მისთვის – იმდენად
დიდი იყო მისი ზემოქმედების ძალა ჩემზე. მოსვენება დამეკარგა, თითქოსდა, მეც გადამხდა ამის
მსგავსი რამ... ნუთუ სიმართლეს შეესაბამება სულის უკვდავება და სულთა გადასახლება? ნუთუ
სული ჩემი ოდესღაც მართლა სხვის სხეულში იყო? ნუთუ ჩემს სულს ადრე ამის მსგავსი ამბები
აქვს გადატანილი, დღეს რომ მხვდება ცხოვრების გზაზე?

თვეების განმავლობაში ეს მწველი კითხვები მანუხებდა, ვიდრე მრავალმხრივი ჩაღრმავება-ნი-
აღსვლების შემდეგ სავარაუდო პასუხი საკუთრივ ჩემში არ აღმოვაჩინე. ჩემი (და ალბათ, არა მხო-
ლოდ ჩემი!) ტანჯვის მიზეზი ყოფილა ის, რაზეც წაკითხულითა და გადმოცემით ვიცოდი, ან კიდევ
სხვა, იქნებ, სულაც გაუცნობიერებელი გზებით. ეს ტანჯვა არცთუ ისე შორეულ წარსულში საქა-
რთველოს ერთი ლამაზი მხარის, ასევე ლამაზ ადგილას – სერიყანაში, ჩემი ჯილაგის, ჩემი სისხლი-
სა და ხორცის თავის მოკვეთის მოლოდინის განცდით ყოფილა გამოწვეული.

იგი სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილია – აჭარის ზვიადი ფეოდალი, ერთ დროს ახალციხის საფაშოს გა-
მგებელი, თურქეთის დიდი ვეზირის რანგში ამალღებული სამთუღიანი ფაშა, ვინაც საბოლოოდ ყო-
ველგვარ დიდებაზე უარი თქვა და ზვარაკად შეენირა სამშობლოს...

„ჩემი აურელიანო ბუენდია“

„ჭოროხი“, №2, 2007 წ.





ბესო ხვედიძე

* * *

რაფის ტიპის მიკროავტობუსის მძღოლის გვერდით, წინა ორადგილიან სკამზე თხუთმეტიოდე წლის გოგო იჯდა. ტყავის მოკლე ქვედაკაბაში გამოტყეცილს ხელში წითელი „მამალო“ ეჭირა, ვარდისფერ ენას ვნებიანად უსვამდა ჯოხზე წამოგებულ ბიბილოანი ფრინველის წებოვან სხეულს და უსიცოცხლო მზერით გაჰყურებდა გზას...

„წითელი პარასკევი“

„ჭოროხი“, №2, 2007 წ.

ჩაშო გუთიაშვილი

23.06.95

ბოზ, ახლა რამე უნდა მირჩიო,
ბოზ, ახლა მთებში წითლად ღამდება
და დაბლა ყრია ნაძვის გირჩები
და შეგიძლია შველა ამდენად.
ბოზ, რამე უნდა მითხრა ახალი,
ბოზ, მოიხედე, შენთან მოვედი,
ჭკვიანი თავი უნდა დახარო,
ისე ზოგადად, როგორც ყოველთვის...

„ჭოროხი“, №2, 2007 წ.



ციკა ბაგბაქაძე

* * *

რამდენი რამე უნდა ვიპოვოთ
საკუთარ თავში...
უნყის უფალმა...
რასაც დავეძებთ დაბადებიდან,
სულში, ნეტავ, რას გადაუფარავს...
როდის დავკარგეთ ის,
რაც გვანვალეზს,
კითხვებმა სული რატომ არია?..
გთხოვ, დამეხმარო,
ან გზა მასწავლო, –
როგორ ვიპოვნო, ჭია-მარია?

„ჭოროხი“, №3, 2007 წ.

იზო ზოზხაძე

* * *

„საქართველოს მოუკვდა ზურაბ გორგილაძე“ – სიკვდილის შემდეგ გაფლერებული ეს ფრაზა პოეტს სიცოცხლეშივე უნდა ეგრძნო, მაშინ ასე უსაშველოდ გულდანყვეტილი არ წავიდოდა ამ ქვეყნიდან, რომ თავის დროზე „თბილისს ლექსი ვერ წავეუკითხე“-ო...

„დანგრეული კლარჯეთის პრინცი“

„ჭოროხი“, №3, 2007 წ.



გუკამ ლომნაშვილი

* * *

– მწერალი თუ შეეჩვია მთავრობას, რაც უნდა უჭირდეს, მართალი არ არის. იგი მოუსყიდველი და მიუტევებელი უნდა გახლდეს. მწერალი არც ერთ პარტიაში არ უნდა იყოს, თუ იქნება, ყველა პარტიის წევრი იყოს. არ ვარ მართალი? მწერალს სამშობლო უნდა ჰქონდეს, ესაა მთავარი. მწერალს პარლამენტში რა უნდა. თუ იქ იქნება, ყველას გულის ფიქრი უნდა გაიგოს...

„მწერლობა არ ისწავლება, მწერალი უნდა დაიბადოს“

„ჭოროხი“, №4, 2007 წ.

დედა საბნიაშვილი

კონტრაბანდა

ჯოჯოხეთში არ მიშვებენ:
ყოველ ჯერზე – ოკეანე შემაქვს კოლბით,
როიალის კლავიშები – ჯიბით შემაქვს;
არ მიშვებენ: პოეტური ეშმაკობით –
რას ვაჯობებ ეშმაკობას;
და სამკბილა იასამნის ციცქნა მარცვლებს –
ფრჩხილებიდან მაცლიან და არ მაცდიან –
კოცონისკენ – თალებს გავცდდე;
კოცნა შემაქვს. არ მიშვებენ – სამოთხეშიც:
თითო ტკივილს თან ვიტოვებ ყოველ ჯერზე;
და როდესაც პოულობენ, –
შერცხვენილი – პოეტობას ვიმიზეზებ.

„ჭოროხი“, №5, 2008 წ.



Էջժն նւրսժն ՁՅՄՅՐՈՒԿԻ ՄԿԻՆՈՒՐՆԸ!

Ճոյշսհն սՔսհս. Ճոյշճհն սՔսհսԿն ըսճսրջճսլն Մհնջլն
յժհոսլրո ՁՅՄՅՐՈՒԿԻ ՄԿԻՆՈՒՐ, հոժլրժսլս ջսհոճսր, Չեցհնլրլր
Գոճսլրհս հնրնջնչիոս յսլրնճն լոհճսր հսրլնջոլն, սոսլ
Քհնջնհսճսժոլրո, յսրհնչնոլրո ըղրս-նոլրս.

ՆՅՄԻՅՐ ոճ ջսրոհնչնոլրո յժհոսլրո լոլրսճոլ ՄՅՈՂՅՈ ջժհո
հնրն, Մյոսլո ըլղճսճրլրո ժոյս-ճն.


ՆՅՄԻՅՐ հնրն յսժոյճնհրոյո ՄԿԻՆՈՒՐ «Քոհոճն» ըս սժ
ՄԿԻՆՈՒՐ յսժոյճնհրս հնրն.

Յնճնսհնսսլոյոճոյո ոսլոլրոլ ժոյսլոյոս ՁՅՄՅՐՈՒԿԻ
«Քոհոճն»! ըսր նոյոյոլրոլ ըս Յսլոյոյոյո յճոյո-
հոճսլ ջսլսլոյոլ.

Էջժն ՄԿԻՆՈՒՐ «Քոհոճն», Էջժն լսճսլսլ
յհոս յճսլոլն ՄՅՈՂ յՐՈՒՍՅՈՒՆ ՈՐՄԸ:

հոյոյոլ Քոհոճն, Յսլոյոյոյո յժհոսլր ժոյճն, հնրն
ՁՅՄՅՐ ՁՅՄՅՐ ժոյճն ժոյճնչոյոլո նոլրսճոյո ջսճնչոյո
ըս ժոյճնչոյո, ժճնչոյո յհոյճնչոյո Յրսլ ջոլոյո ժոյճնչոյո.

22.02.08
ժոյճնչոյո





ირაკლი სამსონაძე

* * *

...მკრთალად განათებულ სცენაზე რამდენიმე ყუთი და გორგოლაჭიან სადგამზე შემოდგომული ფარდაგადაფარებული ფართო ტახტი მოჩანს. ტახტზე პირმიქცევით წვანან ვანო და ნანა. დაგუბული ხმა აღწევს შორიდან. ვანო და ნანა ზუსტად ერთდროულად იქცევენ გვერდს, პირალმა დაწვებიან, მაგრამ ძალიან მალე პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდებიან. ხმა მიწყდება...

„ყოფილების სარეცელი“

„ჭოროხი“, №5, 2008 წ.



თაა თოფუკია

* * *

ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო. ჩემი საქმეც ასეა, ვირივით. მე ვვირობ და ამათ კიდევ პიტნა არ ელევათ, ლამისაა ძნები დადგან. აჰა, ამას წინათაც, ამოვიდა ერთი ჩემი მეზობელი და ჭა უნდა გავთხაროთო. რის ჭა-მეთქი. აი, კორპუსის წინო. ჭა რად გვინდა-მეთქი, – თან ახალგაღვიძებული ვარ, ვდგავარ, თვალებს ვისრეს – წყალი ზედა სართულებზე არ ამოდის და აბა, რა ვქნათო...

„პიტნის პალო“

„ჭოროხი“, №1, 2009 წ.



ნათია ნაცვლიშვილი

ცოლუბის საკითხავი

როცა ჩემს თვალეებში
შენი მოშინაურებული სამხრეთის ჩიტები ფრთხილდებენ,
ხოლო მზე –
შენი ხელების მოძრაობის მიხედვით ამოდის და ჩადის,
როცა განთიადამდე რამდენიმე წუთით ადრე
ვარსკვლავები
ჩემი და შენი სიზმრების სიმშვიდეს
ბალებში ხეებს და ბალახებს ურიგებენ,
ხოლო ჩვენი სიზმარი სამყაროს ყველაზე უასაკო სიზმარია...

„ჭოროხი“, №2, 2009 წ.



აკა მოჩილაძე

* * *

სიმართლე რომ ვთქვა, არც კი ვიცი, თარგმნილია თუ არა ჩესტერტონის წიგნები ქართულად. ისიც არ ვიცი, მოთხრობები თუა თარგმნილი. მოთხრობების ორი საქვეყნოდ განთქმული ციკლია, მამა ბრაუნის შესახებ და ჰორნ ფიშერის თავგადასავლებზე...

„რალაცეები ჩესტერტონის შესახებ“

„ჭოროხი“, №2, 2009 წ.

ბაკიამ წიკლაუკი

ღარისა და ავღრისა

რაც არის, არის,
მოდის, ერთად შევსანსლოთ ქარი!
რაც არის, არის,
დავაყოლოთ ზედ წვიმის წყალიც.

რაც არის, არის,
თუ მოვაყრით ქარაშოტს მარილს,
იქნება ბევრად გემრიელი
და ბევრად წყნარი...

„ჭოროხი“, №2, 2009 წ.



გიორგი კეკელიძე

ქველი სახლის სიკვდილი

მცირე ნოქტიურნი საუზმისთვის

თანამოსასმენი:
რაც გსურთ

თავზე ხავსი, თხელი, წლობით განაცვენი,
ცამ ცივი ოფლივით რომ დაგასხა,
იმ წვიმამ აგინენა ხავსი...

ალბათ, იგრძენი და შეგეშინდა:
ჭალები კბილებივით ანაკნაკდნენ,
წვიმა მოცახცახე ბოძებიდან
მინისკენ შარდივით გაგეპარა

და მერე ნელ-ნელა ჭრილობებზე
შეგეხსნა ჭუჭყიანი ფიცრები და
სითბოსგან სისხლივით დაიცალე,
ტანში გასაყინი წამალივით,
ავვისტოს მკვდრებს რომ ინახავენ –
ნომბრის ცივი ქარი ჩადგა.
...ცოტა ხანს კარზე ჯიუტ მაჯასავით,
მეზობლის მიკიდული ნალი გცემდა,
მერე კი მოხამხამე ფანჯრებიც ჩამოვარდნენ
ანუ
ღია დაგრჩა თვალი.

„ჭოროხი“, №2, 2009 წ.



ვაჰკეთინ ჩილოლუ

* * *

ჯერ კიდევ პატარა ასაკში უამრავ ხალხთან ერთად პირველად ირემზე ვინადირე. დილაადრიან ნასულები სალამომდე კვალს მივყვებოდით ტყის მოშიშვლებული თხემის ნასხლავებს შორის. მწვანე ფოთლებში მოვკრავდით ხოლმე თვალს პრიალა ყავისფერ ბენვს, რომელიც მზის შუქზე ქვიშნარს ნააგავდა და ისევ ვაგრძელებდით გზას კლდიდან კლდეზე, ხეობიდან ხეობამდე, ბორცვიდან ჭალებამდე...

„დიდი ნადირობა ირემზე“

თურქულიდან თარგმნეს ლილე თანდილავამ და ინგა შამილიშვილმა

„ჭოროხი“, №2, 2009 წ.



როინ აბუსელიძე

წინოს

მაგ თმების ტევრში სუნთქვა გაიხა,
კოცნას სურნელი მოაქვს გემოთა,
შენ ახლა ჩემი ყველა ქალი ხარ,
ვინც მყოლია და მეყოლებოდა.

ქარი თებერვლის მოტივს დაიხვევს,
გუბდება ფილტვში ჯარი სიტყვათა,
შენ ახლა ჩემი ყველა ქალი ხარ,
ვისაც ვუყვარდი და ვინც მიყვარდა.
სივრცე გაშლილი არის არშინად,
ზამთარს ფანჯრებთან უსანსალია,
შენ ახლა ჩემთვის ყველა ქალში ხარ
და შენში ახლა ყველა ქალია.

სუნთქვის აფრები მიაქვს იალქნებს,
გრძნობამ მაჯები უნდა შელებოს,
ჩემმა ლექსებმა როგორ მიგაგნეს,
ყოველ სტრიქონში მიუგნებლო.
ამინდმა ციდან მთვარე გარიყა
დედამინა კი მუცელს იტკიებს,
შენ ახლა ჩემი ყველა ქალი ხარ,
ვინც მიტირა და... ვინც დამიტირებს...

„ჭოროხი“, №2, 2010 წ.



გიორგი ბაბაიძე

ალიხა... მალიხა... სალიხა...

სლუკუნშიც ვიცნობდი, რატომ ვერ გათვალე,
პირიქით, გათვალე ან იქნებ,
გაუყვა ოცნება ცრურწმენის ნაკვალევს,
„ალიხე, მალიხე, სალიხე...“

დუმღზეც შეგიცნობ, სუნთქვის შეკავებით
ფილტვები უცებ არ გაიხეს,
გამომდე ოცნება მოდურ ხელკავივით,
„ალიხე, მალიხე, სალიხე...“

ნაცნობი ხმაურიც გაუცნასხვაფერდა...
წვიმა კი მძივებად აისხეს
ტურქებმა. და ახლა ოცნებაც დაბერდა,
და ვუკმევ... „ალიხეს... მალიხეს!“

„ჭოროხი“, №2, 2010 წ.



გენკი ღოღიძე

აღსარება

დღემ ჩაიცვა ამინდის ნაცრისფერი ხალათი, ამინდმა კი დრო და დრო ხასიათი დაკარგა, დღეს სიმართლე ჯვარს აცვეს, ერთადერთი ჯალათი, ერთადერთი ჯალათი მე ვიყავი და კარგად მესმის მომეკითხება, ჩემი ურწმუნობა, ძმაზე შურისძიება შვიდჯერ სამოცდაათი... მაგრამ ახლა კაენზე გაცილებით ნოე ვარ, კიდობანი „მზეა და ზღვას მიაპობს ტაატი“ სხვისთვის ერთიც ბევრია, ჩემთვის ასი „ათია, სამს უკლია ხუთი და ოცდაათ ვერცხლს – ცამეტი, ალბათ, ახლა ამინდსაც უფლის ხასიათი აქვს გოლგოთიდან – სახლამდე წამის მენამნამედით“ ბიბლიიდან – შავ ზღვამდე წუთის ოცდამეთევზე ფეხშიშველი მიაპობს ტალღას უფლის აურით, განთიადმა ღრუბელი ცივი ოფლის წვეთებზე მოისვა და პერანგი გადაიცვა ხმაურის...

„ჭორონი“, №2, 2010 წ.

მაკიამ ბაჯელიძე

ღამით

როცა ბინდდება,
ჩვენს სახლებში მოდის სიჩუმე.
ერთდროულად ქრება სინათლე ყველა სახლში.
მხოლოდ, ერთ სარკმელთან ბუუტავს სანთელი.
მეზობლის მკვდარი ბავშვები ცხოვრობენ იმ სახლში,
მთელ ღამეს უგალობენ უფალს,
ასე აძინებენ ყველაზე პატარას და ურწევენ აკვანს.
იმ სახლში ვერავინ შედის მათ გარდა.
ამბობენ: შუალამით თანდათან იწვევენ ზევით და ჰაერზე წვებიანო,
სულ ზევით ყველაზე პატარა ადის, თავისი აკვნიტო.
დანარჩენები სკამებზე ვსხედვართ და ვირწევით –
ცაზე დაკიდული ღრუბლებივით...



„ჭორონი“, №2, 2010 წ.



აკრძილ ბაკიძე

ეს ლექსი შენზეა

ეს ლექსი შენზეა და როგორც ადრესატს,
გიკითხავ, მხარზე როს დაღლილი თავს მადებ,
შენ ძლიერ ლამაზმა, პოეტი მკადრე და
მე სუსტი პოეტი ლექსების თავსხმაში –
უქოლგოდ დარჩენილს არ გინდობ წამითაც,

შენც მოგნონს თითო და ყოველი ბნკარედი,
და ვიდრე გუნება საერთოდ წავიხდა,
ბოლოჯერ მაკოცე და ისე წახვედი.
რომ უკვე არ მქონდა იმედი და-კაპოს,

და მაინც შენზე ფიქრს, ვერაფრით შევეშვი,
ლექსებიც ტვინიდან თუმც ისე გაკაფე,
ვით მონადირე გზას იკვლევს ტევრებში.
ეს ლექსიც შენია და ველარ გიკითხავ...

„ჭოროხი“, №2, 2010 წ.

ნინო ღაბაიასვილი

* * *

...ეს ლექსი, ერთი შეხედვით, ამოვარდნილადაც შეიძლება მოგვეჩვენოს იმ ორგანული მთლიანობიდან, „არტისტული ყვავილები“ ქმნილებათა კონტრაპუნქტული მიმართებებით რომ იქმნება, მით უმეტეს, რომ კრებულში მას წინ უძღვის „არდაბრუნება“ და მოსდევს „აკაკის ლანდი“. ამ კონკრეტულ ლოკალში იგი თავისებურ ინტერმედიადაც კი გამოიყურება.

რატომ შეიტანა პოეტმა კრებულში ეს ლექსი, მაშინ, როდესაც იმავე წლებში შექმნილი, კონტექსტუალურად ახლო მდგომი არაერთი ნაწარმოები გარეთ დატოვა?

რეგისტრულობის მხრივ, „მივარდნილი აივანი“ „არტისტული ყვავილების“ ყველაზე ქვედა საფეხურია და ვერსიფიკაციული თვალსაზრისითაც ლამის ყველაზე ტრივიალური ფორმა აქვს: რვა მარცვლელი (53) კატრენები, მომდინარე ხალხური ლექსისა თუ მისი ლიტერატურული ანალოგიდან, ჯვარედინი დაქტილური რითმებით...

„მივარდნილი აივანი“

„ჭოროხი“, №3, 2010 წ.



ქაჩა ქაჩუხი

ნიჟარაზი

(რობერტ მესხის პოეზია)

...რობის (რობერტ მესხის) ყველა ლექსში ისმის აფხაზეთის მოტივები ან აფხაზეთის სუნთქვა: ხან აფხაზეთის მთებსა და მწვერვალებს გამოიხმობს პოეტი, ხანაც ზღვის მოძახილს, უფრო ზღვის მოძახილს ალბათ, ტალღას გაყოლილი კენჭების შხრიალით...

„ჭოროხი“, №4, 2010 წ.

თაგარ ბუკია

* * *

ანიკო გარდაიცვალა...

დიდი ოჯახის დიასახლისი იყო. ქმარი, დედამთილ-მამამთილი, უცოლო მამა და ოთხი შვილი – ანიკოს მოსაველელი იყო ყველა.

ეეჰ, რამდენი შრომა უნევდა!

დილას მეუღლეს და მამას სამსახურში გააცილებდა, ბავშვებს სკოლაში გაისტუმრებდა, დედამთილ-მამამთილს დააპურებდა, სახლს მიაღებდა, სადილს გააკეთებდა და... თავადაც სამსახურში გარბოდა...



„სამი თითის კომბინაცია“

„ჭოროხი“, №4, 2010 წ.

რობერტ მესხი

ჭა

სევდა მოიკიდებს ქაფს,
ძალი უცნაურად ყეფს,
ვტოვებ ბიჭვინთას და
ფშაფს,
ვტოვებ ბედიას და რეფს...
სახლი ნახატივით ჩანს,
ქარი უბერავს და წვიმს, –
ფოთლით გაივსება ჭა,
სარქველს ნუ გადახდით გვიმს...

„ჭოროხი“, №4, 2010 წ.



მაია კილაძე

შაჰრაზადა

მეტი რა მინდა –
მზე, ჰორიზონტზე გაკიდული,
ჰგავდეს ტივტივას.
მე თავი მედოს შენს კალთაში
და გიყვებოდე ათას რამეს.
სიო – ჩვენს ჰამაკს,
შენ კი ჩემს თმას ეფერებოდე.

„ჭოროხი“, №4, 2010 წ.



მზია სარჯიანი

სასელა

(აჭარული მოტივიდან)

ჩვენი სოფლის თავიკაცის, რეჯებალას, ბადიშს დუნია იცნობდა. ნამეტანი ჩინგანი იყო ეს თორმეტი წლის ბაღანა. მისი გუუკეთებელი რამე აღარ დარჩენილიყო, მარა ბაბუამისის შიშით ვინ გუუბედავდა

ზედმეტის თქმას.

ერთხელაც ნამეტანი შეტოვა და ზედმეტი მუუვდა. ყველაფერი იქიდან დეინყო, რომ სოფლის ხოჯას ვერ იტანდა. ყველაზე მეტს მის თხასავით წვერზე და მოტლეპილ თავზე ოხუნჯობდა...

„ჭოროხი“, №4, 2010 წ.



ნინო ქოქოსაძე

კუნძული

მზის ალქიმია –
 ჰორიზონტიდან სანაპირომდე
 ჩამომდნარი ოქროს ბილიკი,
 სამი მხრიდან ოკეანეა...
 აღმოვაჩინე –

მწვანე სიმშვიდით ავსებული
 შენი გული.
 ჰე! ჰე! ჰეეეე!...
 აქ ჯერ მგონი არავინ სახლობს.
 პალმის ქოხს ჩავდგამ,

ლიანების ლოგინს გავიშლი.
 გაჰყვეს ზურგის ქარს
 ჩამვლელი გემი –
 ერთადერთი აბორიგენი,
 მე ვიყო – შენი!

„ჭოროხი“, №1, 2011 წ.

ანანია ბროველი

* * *

ძალღი – ძახილით დაღლილი არსება.
 პოეტი – ძახილს მიყურადებული, დაღლილობის შემცნობ-გამჩხრეკი,
 შემფასებელი.


დაღლილობა – თავდაპირველი აღრენილ-ალესილი განწყობის დროში
 შეღბილება-დაბლაგვება.

პოეტი – ცნობისწადილის მქონე, ცნობისმოყვარე, ძახილით დაღლილი
 არსებისკენ ნაბიჯის წამდგომი.

შეხვედრა – დაღლილისა და ცნობისმოყვარისა? არა! – თვალებისა!
 ...გაგების, ერთურთში ასახვის მწყურვალე თვალებისა!

დაახლოება-დამეგობრება – და არა მოშინაურება!

ძალღი და პოეტი – დედამინის განსხვავებულ ბინადართა პირველი ერთობა...



„ძალღი და პოეტი“

„ჭოროხი“, №1, 2011

იბეჭდება 2004 წლიდან



თამაზ ვუჭაკაძე

* * *

...2011 წლის ივლისში საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელო-
 ბის დავალებით სანდრო ბერიძესა და ამ სტრიქონების ავტორს წილად
 გვხვდა ბედნიერება გავმგზავრებულიყავით ამ შესანიშნავ ქვეყანაში
 – სოფიის ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილების არქივში
 ბათუმის შესახებ არსებული XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუ-
 მენტების ქსეროასლების შემოტანის მიზნით...

„ბულგარული შთაბეჭდილებები“

„ჭოროხი“, №5, 2011

ირმა სანიკიძე

შენი პოეტი ცოლი

შენი პოეტი ცოლის აშლილ ლოგინზე წევხარ,
მინა ცხელია, თითქოს მზე ჩამოკიდეს ხეზე,
ეგ შეჭმუხნული შუბლი, თვალში რამდენჯერ მეცა,
იმდენი ღრუბლის ონკანს შენთვის მოვუშვებ,
მენდე.

შენი პოეტი ცოლი, გიყვარს შენს თავზე მეტად,
ერთი მტკაველი სითბოს ალება როცა იცის

მაგ ნაკვეთებიდან კოცნად,

აბა, მეტი რა გინდა?!


რა ცოტა ჰყოფნის,

ფიქრობ,

კაცს ბედნიერებისთვის.

იქნებ, ეწყინოს კიდეც, კარებთან მოსულ რიჟრაჟს,
მზერაგახსნილი ვნებით უკან რომ გააბრუნებ,
შენი პოეტი ცოლის ყველა ნაოჭსაც ხედავ,
თანაც არაფრად აგდებ, აკრობატ დროის ბრუნვებს...
დღეს დაქანებულ ცრემლებს, ყელი „ჟოლობად“ რომ აქვს,
ისე სავსეა ახლა, გულიდან წვეთას იწყებს,
აბა, მეტი რა გინდა?! ლექსი სულს რომ ესობა,
შენი პოეტი ცოლის... ხეზე გამოსულ წინვებს,
როგორ ჩამოჰგავს ყველა, ემოციების ტონით,
როგორც ყოველთვის ახლაც, გინდა, ჩვენს თავზე ვწერო,
წვიმა ჩამოხმა აქ და ქარმა შეფუთა წონით,
გადაიხრება ცაზე ყველა მზის სხივის ღერო.
ჩამოლამდება ისევ, უშენობაზე გავლით...

„ჭოროხი“, №2, 2011 წ.



იღბუჯა თავზაქიძე

* * *

1884 წლის შუა სექტემბრის გრილი დღე იდგა. სიყვითლე ვერ მორეოდა ფოთოლს, ალაგ ჩამუქებულიყო, ალაგ სიხასხასე შეერჩინა. ქარწვიმიანი ეთქმოდა იმ შემოდგომას, ხშირად ამოვარდა ქარბორბალა, ჩამოაშვავა ნაყოფი.

თვრამეტი სექტემბერი უქარო გათენდა. იფიქრებდი, დადგა შემოდგომაო, თუმცა მოსაჭირნახულებელი ბევრი აღარაფერი დარჩენილა.

შიმშილით დავიხოცებით, მოდიოდა და მოდიოდა ინფორმაცია „დროებაში“...

„ქუდები ცაში“

„ჭოროხი“, №6, 2011 წ.



ნანა ნონიაშვილი

ბელურები

კვლავ მოფრენილან
გაბერილი, ჩემი ქისები...
ჯერ ტოტზე მწკრივად
დანყობილი, მერე დაცვივდნენ...

თითქოს იყვნენ მართლაც ქვისები...
გულში იმხელა სითბო შემოაქვთ,
რამხელა სითბოც – ქრისტეს მოძღვრებას...
კაცი თავიდან დაინყებდა
ახალ ცხოვრებას!...

რა იქნებოდა, რომ არ გვყავდეს
ეს ბელურები?...
ეს საყვარლები...
ეს თბილები...
ეს ერთგულები?...

„ჭოროხი“, №6, 2011 წ.



ნინიო მშვიდლობაძე

უფალო, გთხოვ

იქ ვმთავრდები სწორედ, სადაც ვინყები,
წრეზე ბრუნავს თითქოს მთელი სამყარო,
უფალო, გთხოვ, არაფერი ისეთი,
მოთმინება, მოთმინება მასწავლო.

ვის რად უნდა დამწყვედული ფიქრები,
მინდა, ყველა ბარიერი წავშალო,
მაცხოვარო, არაფერი ისეთი,
გთხოვ, ჩემი მტრის სიყვარული მასწავლო.

აზრს კარგავენ, ვხვდები, ახლა სიტყვები,
ბერნ მინაზე გვიმრებიც კი არ ხარობს,
ღმერთო ჩემო, არაფერი ისეთი,
გევედრები, თავმდაბლობა მასწავლო.

„ჭოროხი“, №2, 2012 წ.



ნათია კაკიძე

ტანგო ორისტვის

აჩი ბერიძეს

იდექი ბაქანზე.
იცოდი, რომ მივდიოდი იქ,
სადაც ოდესღაც მოდიოდი შენც.
მე კი, ვიცოდი, რომ რჩებოდი იქ,
სადაც ყველაზე მეტად მეგულები და

ყველაზე მეტად მინდა – მეც ვიყო.
ორივემ ვისწავლეთ ღიმილით შენიღბვა.
ვფიქრობ, გამოგვდის!
ვფიქრობ, თვალეზმა იტვირთეს

სიმძიმე, შეგვინახონ საიდუმლო –
მე შენსას ვხვდები, შენ – ჩემსას.
შეგიძლია, არც გაიღიმო, ისედაც ვიცი...
ისედაც ვხედავ, სად ხარ შენ და სად მომათავსე!...


„ჭოროხი“, №2, 2012 წ.

მეია ლლონგი

ქალი ღრუბლის ვუალით

ჩურჩულით მითხრა ზეცამ უარი
ადრე აღნათქვამ – შენაპირებზე.
მზის იდუმალი აქსესუარი
კლდეს ნაპრალებთან შევაპირლენე.
მერე გულშავ მთას გავეკეკლუცი,
შემოვიხვიე ღრუბლის ვუალი...
მაგრამ რას ვიზამ, ალბათ, ცხელ გულზე –
ჩურჩულით მითხრა ზეცამ უარი.

„ჭოროხი“, №2, 2012 წ.



მალხაზ ხაკბელია

* * *

...ნატოს ბოლოდროინდელ ლექსებზე ჩემს მეგობრებსაც ვკითხე. გიორგი ლობჯანიძის აზრით, ნატო ინგოროყვას საკმაო ხანი დასჭირდა იმისათვის, რომ საკუთარი თავისათვის მიეგნო და ზუსტად, ზუსტი სიტყვებით დაენერა ის ყველაფერი, რაც ამ წიგნში შევიდა. მისი აზრით, ბოლო პერიოდის ნატო ინგოროყვა ზუსტი სიტყვების პოეტია. თემურ ჩხეტიანმა „ხმელებს“ პირობითად ფიქრის სტენოგრამაც კი უწოდა, სადაც, შესაძლოა, წინადადებები და ზოგჯერ სიტყვებიც კი დაუსრულებელია, „მაგრამ ის აზრობრივად და ემოციურად სავსებით გასაგებია. ტექსტი ლაკონიურია და დანაწევრებული, ფრაზები – მოკლე და ტევადი. არავითარი ზედმეტი ხმაური... ეს პოეტი ენდობა მკითხველს და მისი მკითხველისთვის მის ლექსებს, მიუხედავად ლაკონიურობისა, არაფერი აკლია“...

„ნატო ინგოროყვას „ხმელები“ და „ნედლები“

„ჭოროხი“, №2, 2012 წ.



ღელა ცუცქიჩიძე

წერილი

ერთი უბრალო მკერავი ვარ,
სადაც მივდივარ, ფერად-ფერად ნაკუნებს ვეძებ.
რას არ ვანყდები:

მინდვრის ჭინჭებს,
ბილიკების ქვიშისფერ ჯვალს,
სპილენძისფერი ყანების ტაფტას...

არც მდინარის სელს ვინუნებ,
არც ჭაობების ბამბაზიას,
არც ხეების მწვანე სატინას...

„ჭოროხი“, №3, 2012 წ.

იკაა მაკალაიშვილი

* * *

აგვისტო იწურებოდა. უზბეკეთისთვისაც კი უჩვეულოდ ცხელი ზაფხული იდგა. ერთ თვეზე მეტია, თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტი +40 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოსულა. სამარყანდის გარეუბანში, ხრიოკ ფერდობებს შორის, სამხედრო ნაწილი დაბანაკებულიყო. კვირაობით ჯარისკაცებს ქალაქში გასვლის უფლება ჰქონდათ, მაგრამ სიცხე ისე ტორტმანებდა ქალაქის თავზე, რომ სამარყანდის უძველეს ქუჩებში სეირნობის მსურველი თითქმის არავინ აღმოჩნდა. მხოლოდ ერთი ჯარისკაცი ემზადებოდა დილიდანვე. საგულდაგულოდ გააპრიალა ჩექმები, მოწესრიგდა, „ტრანზიტი“ ოდეკოლონიც იპკურა... სამედიცინო ნაწილის ყველაზე ლამაზი მედდა, დაშა უსმანოვა, როგორც იქნა, პაემანზე დაითანხმა ოთარმა...

„სხვისი გმირი“

„ჭოროხი“, №3, 2012 წ.



ქეთევან ნაკობაძე

* * *

...აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მეტად საინტერესო მონაცემები, რომლებიც ასახავენ აფხაზთა აჭარაში დამკვიდრების ისტორიას, მრავლადაა დოკუმენტური წყაროები აფხაზთა რაოდენობის, გვარობრივი შემადგენლობის, მუჭაჯირობის, განსახლების საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ თემაზე დაინერა არა ერთი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი, ფუნდამენტური გამოკვლევები. ზოგიერთ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები საჭიროებს დაზუსტებას, ნაწილი კი აშკარად ტენდენციურ ხასიათს ატარებს...

„აფხაზები აჭარაში“

„ჭოროხი“, №3, 2012 წ.

ზაჩივლ სხვაჩაძე

ვალსი


ისევ ტრიალებს ძველი ფირფიტა,
და გრამაფონიც უკრავს ბებერი,
კედელს უხდება ნაცნობი ტილო,
თვით ცრემლებამდე სულისშემძვრელი.


ბედნიერ ღიმილს ასხივებს ბაგე,
დატყვევებული ჯადოსნურ ტრანსით,
გადაგვავინყა წელთა სიმრავლე
და გვატრიალებს ნებაზე ვალსი.

ახალგაზრდობაც ჩანავლდა უცებ,
მარადიული სუიტის ალში,
მოდის, დავნებდეთ მუსიკის ტალღებს,
თავდავინწყებას მივეცეთ ვალსით...

რუსულიდან თარგმნა ცისანა ანთაძემ

„ჭოროხი“, №6, 2012 წ.





იოსიზ ბაკრდსკი

* * *

ციხე – არსებითად, უკმარისობაა სივრცისა, ანაზღაურებული დროის სიჭარბით; ტუსადისათვის საგრძნობია ერთიცა და მეორეც. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ურთიერთმიმართება, სამყაროში ადამიანის მდგომარეობას რომ ასახავს, პატიმრობას აქცევს ქრისტიანული მეტაფიზიკის ყოვლისმომცველ მეტაფორად, და, ამასთან, პრაქტიკულად, ლიტერატურის ბეზიქადაც. ლიტერატურას რაც შეეხება, ეს გარკვეულად გასაგებია, რამდენადაც ლიტერატურა, უპირველესად, მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებათა ნებისმიერ კილოკავზე თარგმანებას წარმოადგენს...

„მწერალი ციხეში“
თარგმნა ქ. კუბატაძემ
„ჭოროხი“, №1, 2013 წ.

უისგონ ჰიუ ოდენი

მგლოვიარა ზაცა

გაყინეთ დრო, ტელეფონებიც გამორთეთ ჩქარა,
ძვალი მიუგდეთ მყეფარე ძალს გაჩუმდეს, კმარა!
პიანინოზეც ნულარ უკრავთ, დაფდაფის ხმაზე,
გამოიტანეთ შავი კუბო მოტირალთ გზაზე.
ნება მიეცით თვითმფრინავებს იგლოვონ გვამი,
და მიაწერონ მალლა ზეცას: „ის არის მკვდარი“.
შავი ბაფთები მოახვიეთ თეთრ მტრედებს ყელზე,
შავ ხელთათმანებს მსურს, ვხედავდე მე ყველას ხელზე...




უილიამ ბლეიქი

ჩემი მშვენიერი ვარდი

შემომთავაზეს როს ყვავილი ისე ლამაზი,
შეშურდებოდა, გაზაფხულის მაისის დილას,
უკან გავბრუნდი, არ მივიღე, ვერ ვულალატი
ჩემს მშვენიერ ვარდს ვუალერსე მე ისევ ტკბილად.
ეჭვიანობას დაეთრგუნა ყვავილი ჩემი,
ველარ ვიგრძენი სურნელება, საამო მისი.
ზურგი მაქცია მშვენიერმა, ალერსის ნაცვლად,
და ვარდმა მხოლოდ მის ეკლების გამხადა ღირსი!

თარგმნა ხათუნა ბოლქვაძემ
„ჭოროხი“, №1, 2013 წ.



ლაშა ხომეჩიკი

* * *

რატომ არის საშიში რუსული კატეგორიებით აზროვნება? რატომ იწვევს ის ქართული ეროვნული ცნობიერების რღვევას? აკაკი ბაქრაძის პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ თვით რუსული კულტურა ევროპული კულტურის განმეორების ცდაა რუსულ ნიადაგზე, იგი მეორეულია, სხვისი სულიერი ძალით არის შთაგონებული, ამდენად მისაბაძი როდია; რუსის გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობის ქადაგება ინტერნაციონალური აღზრდა კი არა, არამედ რუსული შოვინიზმის ქადაგებაა...

„რატომ არის საშიში?“


„ჭოროხი“, №1, 2013 წ.

ნათია კოსჯიაშვილი

* * *

– მოგივიდა? – მკითხა ჯონიმ მოჩვენებითი სიმშვიდით და პურის მოზრდილ ნაჭერს კარაქის თხელი ფენა გადაუსვა. რაც თავი მის ცოლად მახსოვს, მე ამ კითხვას მისვამს, პურს – კარაქს. მერე კარაქიან პურს თაფლსაც ამატებს და ყველის ორ ნაჭერთან ერთად მადიანად მიირთმევს.

– არა. – ვუპასუხე და ბოლო წვეთამდე ამოხაპული ყავის ფერადი ფინჯნიდან „მოვსვი“. საერთოდ, არ მიყვარს ვინმეს მოტყუება, მაგრამ ზოგჯერ მიწევს. დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს, არ მინდა დილიდან განწყობა გავუფუჭო...



„28-ე, ანუ მე ჯონის ვლალატო“

„ჭოროხი“, №2, 2013 წ.



ნიკა ჩეჩეზიშვილი

მარა

შენი სახელია – მარა,
შენ ნამდვილი ხარ და მაშინ,
როცა ცას ღრუბელი ფარავს,
ანუ, როცა ცივა ცაში,

ჩვენი სახლის კედლებს ათბობ.

შენი სახელია – მარა,
ჩემი ცოლი ხარ და როცა,
სულში მივარდება ქარი
და ჭუჭყით მევსება ხორცი,
არასოდეს მტოვებ მარტო.
შენი სახელია – მარა,
ქალი ხარ, უფრო კი, ბავშვი,

ნეკნი, არ ვიცი და მალა
ხერხემლის, როცა ხარ სახლში –
ქუჩას ეფინება შუქი.
შენი სახელია – მარა,
ვართ სულ უბრალოდ და ჩვენთვის,
არც ვინმეს სიყვარულს ვპარავთ,
გვყავს ჩვენი შვილი და ღმერთი
ერთმანეთს ყოველდღე გვჩუქნის.

„ჭოროხი“, №2, 2013 წ.

ქეთი ხოსივაშვილი

დუმილი

როცა სათქმელი არაფერია
და ტანზე აგდის ვილაცის სუნი,
სხვა ყველაფერი დანარჩენია
და არაფერი ჯობია დუმილს.

სახლში სითბოა, სითბოში – ბავშვი,
ფეხი მოუჩანს საბნის კიდედან,
დგახარ ორპირი ქარივით კარში
და გაღიმებას მხოლოდ მიბედავ.

და დგება ისევ დუმილი – საშვი
რამდენი სიტყვა გამოგვრჩენია...
სახლში სითბოა, სითბოში – ბავშვი
სხვა ყველაფერი – დანარჩენია.

„ჭოროხი“, №5, 2013 წ.



გიორგი ბაჩუაძე


* * *

22.III.80. აეროპორტში, რიგში მდგარი, ვკითხულობ: „ამინდის საქმე როგორაა თბილისში?“ – „უკეთესად, ვიდრე აქ!“ – მპასუხობს წინ მდგომი ქართველი. – „უკეთესი კი არა, ტემპერატურა მაინტერესებს, თორემ ჩემთვის, მაგალითად, თოვლია უკეთესი“. – „თოვლი თუ გირჩევენიათ, რატომღა მიდიხართ?“ – გაოცებით შემომყურებს. – „განა მინდა? საქმე მოითხოვს... მივლინება!“ – „მოდი, მე აღვნიშნავ მაგ ქალაქზე, რომ უკვე იყავი... და დარჩი აქ!“ – ერთხმად ვიცივით...

„მსოფლიოს ნაციონალური სახეები. საქართველო“

რუსულიდან თარგმნა **ლალი კონცელიძე**

„ჭოროხი“, №5, 2013 წ.



ესპა ონიანი

დევი იშხნელავი

ისევ დები იშხნელები, რადიოდან, ისევ და ისევ,
„დევი იშხნელები“ – ამბობს დედა,
შენაჩვევად, მოუსმენლად გვეხება ხმები,
ისევ დები იშხნელები,
დებ იშხნელების გაურკვეველ რაოდენობით,
მოუსმენლობით ერთფეროვან ფონით ავსებს რადიო ოთახს,
გაყვიტლებული აბრეშუმით, გულსაბნეევებით,
შუა გაყოფილ შავი თმა-შუბლით...

„ჭოროხი“, №1, 2014 წ.



ინგა გოგიბეჩიძე

* * *

გაავდრდა, ჭეკა-ქუხილმა კვლავ შიში ჩაუღვარა სულში. შიშს დიდი და ფართო თვალები აქვსო, ფიქრობდა და არ უნდოდა, ამ შიშით ევლო ქვეყანაზე. როცა ელვა ცას გაანათებდა, გულს უშფოთებდა ელჭექის ხმა, სევდა უმძაფრდებოდა, ჰო, სევდა და შიში, შიშის დაძლევა არ იყო იოლი. არც ნისლი უყვარდა, წვიმას რომ მოასწავებდა. დაბურავდა ყველაფერს სევდის ნაღველი და კვამლად მოედებოდა ქალაქს...



„იმედის დირიჟაბლი“

„ჭოროხი“, №1, 2014 წ.



ნათია სვანიძე

* * *

- გთხოვთ, გაიხადოთ და აქ დაბრძანდეთ.
 - უი, რას ამბობთ, მე რომ მრცხვენია?!
 - მხატვრისთვის სხეულს არა აქვს აზრი, ჩაცმულია თუ სულ შიშველია.
 - გთხოვთ, შემომხედოთ, ოდნავ ცბიერად.
 - უი, რას ამბობთ, მე არ მჩვევია.
 - მხატვრისთვის ასეთ თვალების მზერა, არც დამრთგუნველი განაჩენია.
 - გთხოვთ, ნუ იფარებთ მკერდზე ნურაფერს
 - უი, რას ამბობთ, ასე მაშიშვლებთ?!
 - მე მხატვარი ვარ და გეტყვით ამას, ჩემში გრძნობების ცეცხლს არ ვაღვივებ.
 - გთხოვთ რომ ჩაიცვათ, უკვე დაგხატეთ.
 - უი, რას ამბობთ, ტილო თეთრია.
 - დიახ დაგხატეთ, მაგრამ ჩემს გულში და ეს შედევიც მხოლოდ ჩემია.
- P.S. და ეს ნახატი შეშლილი მხატვრის ჯანსაღი გრძნობის განაჩენია.

„ჭოროხი“, №4, 2014 წ.



ნინო ჯაპარიძე

* * *

მას შემდეგ, რაც სოფლის ეკლესიას გუმბათი მოარღვიეს, კლუბად გადააკეთეს და იქ ქართული ფილმი „ქაჯანა“ გაუშვეს, იოაკიმე თითქოს ერთ დღეში დაბერდა და გაჭალარავდა. – ეს, ეს მაღლდამწვრები, სინდისდამწვრებიო – ჩაილაპარაკა და მოჰკიდა ხელი კლუბის კიბეებზე ჩამომჯდარ ღმერთს, შინ წაიყვანა; აბა უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ ხომ ვერ დატოვებდა...


„მოხეტიალე მღვდელი“

„ჭოროხი“, №4, 2014 წ.

აღეხეი თაჩია

* * *

მართლაც უსაზღვროა ჩემი უბედური თანამემამულეების კერპთაყვანისმცემლობისა და მონური ერთგულების ხარისხი პუტინისადმი – ჩვენი უსაფრთხოების „გარანტისადმი“! 2007 წელს მდ. ფსოუზე გამავალი საზღვრიდან მიკროავტობუსით მივემგზავრებოდი. ის-ის იყო, დავიძარით, და ვილაც მამაკაცმა, როგორც ჩანს, საზღვრის გადაკვეთის ბიუროკრატიული პროცედურით გვარიანად განამებულმა, კრიტიკული აზრი გამოთქვა კანონმდებლობით შემოღებულ წესებზე, რომლებიც, მისი თქმით, საგანგებოდ იყო შექმნილი ადამიანების დასატანჯად; მან პუტინის სახელიც ახსენა (ძალაუფლების ვერტიკალის ერთ-ერთი თავისებურება ჩვენში ისაა, რომ პუტინი – პასუხისმგებელია ყველაფერზე, მათ შორის, იმაზეც, რომ ონკანიდან წყალი წვეთავს ღვთისა და რუსი ჩინოვნიკებისაგან მივიწყებულ რომელიღაც „დათვის კუთხეში“, საიდანაც, გოგოლის სიტყვით რომ ვთქვათ, მთელი წელიც რომ იხტუნო, ვერსად გააღწევ), რაც ერთმა აფხაზმა ქალმა ემოციურად გააპროტესტა: „არ არის სიმართლე! პუტინს ჩვენ... ვუნდივართ!“...



„გედის სიმღერა“, ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები“

რუსულიდან თარგმნა ლალი კონცელიძემ

„ჭოროხი“, №4, 2014 წ.



ზაად ბოგოკოვი

* * *

...სწორედ 1964 წელს დაიმსხვრა მითი, რომ საბჭოთა იმპერიის საფეხბურთო ტახტზე მხოლოდ იმპერიის დედაქალაქის – მოსკოვის გუნდები – „დინამო“, „სპარტაკი“, „ცსკა“ უნდა მსხდარიყვნენ...

თბილისის „დინამომ“ იმ წელს შეუძლებელი შეძლო, „დაცალენა“ საფეხბურთო ბასტიონები და სრულიად დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა...

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...“

„ჭოროხი“, №6, 2014 წ.



შოკინა ლოლიძე

* * *

მეგონა, სამშობლო მომკვდომიყო,
მეგონა, გზას ვადექით არსაით...
თურმე სამშობლოს სძინებო, ცოცხალი,
დინებას მინდობოდა წყლის...

მეგონა, ქართველობა მომკვდომიყო,
გაყიდულიყო ცაც,
თურმე ქართველობას სძინებო...
ჭოროხს ჩახვეოდა ღრმად...

„ჭოროხი“, №2, 2015 წ.

მანანა ჩიჭიშვილი

შენ ჩემი ლოცვა გიშველის

რას ნაღვლობს ორი გიშერი,
 ღანვზე რა დარდის მოლი წევს...
 შენ ჩემი ლოცვა გიშველის,
 მე შენი წყევლა მომიწევს.
 სხვას დარჩა ჩემი წალკოტი,
 სხვა სცემს დაფსა და ფანფარებს,
 წარსულს, წლებისგან დაკორტნილს,
 თავს ველარსაით ვაფარებ.
 მზემ მთხოვა სული, ვერ მივე,
 ვერც – ზღვას, შემომდგარს პირამდი,

ხან ცრემლი მწვავდა ჩემივე,
 ხან გულგრილობით მყინავდი.
 გზა აღარ ჩანდა უკან და
 ვფანტე ბროლი და ბადახში,
 მე სიყვარული მღუპავდა,
 შენ სიძულვილით გადარჩი.
 და ჟამს, გრიგალს რომ მომირწევს,
 შევრჩი, ვით აღვა შიშველი...
 მე შენი წყევლა მომიწევს,
 შენ ჩემი ლოცვა გიშველის.

„ჭოროხი“, №3, 2015 წ.



გიგა კვესკვაია

* * *

– ვახო, ვახო, გაიღვიძე. ნახე, რა ამბავია, საქონელს უპატრონოდ ვერ გავუშვებ მინდორში. ადე, შვილო. ადე, ლუკმა გატეხე და გადენე! – დილით ბებია გაამაღვიძა. – ზემოთ, ტყის პირისკენ, ადენე, რამე რო იყოს...

წუხელ მთელი ღამე ისროდნენ ოსების მხრიდან და როდის-როდის ჩამეძინა. ჩავიცვი, ჯოხი ავიღე და საქონელი წინ გავიდენე. პატარა ხურჯინი დამანია ბებია. ნელა მივდიოდი, ზურგი ისევ მტკიოდა...

„ავვისტოს ომი“

„ჭოროხი“, №4, 2015 წ.

ვაჩიკე ჯუჯუაია

* * *

...ამპარტავანი, სანყალობელი, უიდეო, უპიროვნო, ბრმა ფანატიკოსი, ეგო-ისტი, ბოროტი, უსაქმო მლოცველი, ლაჩარი, თვითმკვლეელი, დაცემული, დამარცხებული, დაღუპული, არაქრისტიანი... კრიტიკოსთა უმრავლესობა დღემდე ამ ტერმინებით „ამკობს“ ბეთლემელ მწირს, არადა, ჩემი აზრით, თავად ავტორი – წმინდა ილია მართალი – ბეთლემელ მწირს ღვთის კაცად ხატავს (რომელიც რწმენისათვის მოკვდა!) და შთამბეჭდავად აღწერს XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში ზნეობრივ დაღმასვლას...

„ილიას „განდეგილის“ ტექსტი და ქვეტექსტი“

„ჭოროხი“, №4, 2015 წ.





ღენიზა სუმბაძე

* * *

მკითხველი მინდა წინასწარვე გავაფრთხილო, რომ ჩემი წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა ჩემივე განცხადების განმარტებისა, რომელიც წარმოვთქვი ამ სამიოდე წლის წინ, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ახალგაზრდობის სულიერი განვითარების ცენტრში, როდესაც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე ხვდებოდა ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლობას და პატივი დამლო ჩემი პოზიციის გამეხმამალავებინა...


„ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად“

„ჭოროხი“, №4, 2015 წ.

თაბაზ აბულაძე

* * *

ქართული ენა მეზობელი სახელმწიფოების ენების გავლენას საუკუნეების მანძილზე განიცდიდა, ამიტომ ამ ენებიდან ასეულობით სიტყვაა შემოსული, მაგრამ ამ პროცესს თითქმის არასდროს ჰქონია აგრესიული ხასიათი, მაშინაც კი, როცა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარაში ფეხი მოიკიდეს ოსმალებმა და ყველაფერზე ზეწოლას ახდენდნენ, ენა მაინც გადარჩა. მაშინ შემოჭრილი ოსმალური სიტყვები დღესაც მრავლად გამოიყენება აჭარულ დიალექტში, მაგრამ ლიტერატურულ ნორმებზე მათი გავლენა თითქმის არ არსებობს...



„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“

„ჭოროხი“, №4, 2015 წ.



კაპაჩინა ჩხაკიშვილი

* * *

...„ფრაქტალის“ ცნებაც, რომელიც მეცნიერულ ხმარებაში ამერიკელმა მათემატიკოსმა ბენუა მალდელბროტმა შემოიტანა (1977 წელს გამოვიდა მანდელბროტის წიგნი „ბუნების ფრაქტალური გეომეტრია“), არ არის მკაცრად განსაზღვრული. მანდელბროტი „ფრაქტალს“ უწოდებს რაღაც წარმონაქმნს, რომელიც თავისი თავის სადარია ან თავისი თავის აფინურია რაიმე აზრით და იგი თვლის, რომ მხოლოდ ასეთ ახსნა-განმარტებას შეუძლია, ყოველგვარი დასანანი ხილული ხარვეზის გარეშე მოიცვას იმ ობიექტთა სიმრავლე, რომლებიც ღირსნი არიან, იწოდებოდნენ ფრაქტალებად. ნებისმიერი სხვა, უფრო მკაცრი, განსაზღვრების მცდელობას შეუძლია, განდევნოს რაღაც საკმაოდ ფართო კლასი ობიექტებისა და დაავინროს ფრაქტალთა სამყარო. სიტყვა „ფრაქტალს“ აქვს ლათინური ფუძე – fractus, რაც ქართულად ნიშნავს ნაწილებისგან, ფრაგმენტებისგან შემდგარს...

„ლიტერატურული ფრაქტალების ძიებისათვის“

„ჭოროხი“, №5, 2015 წ.

ჩაგახილი საუბარი

რა გედი ელის „ჭოროხს“?

„აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, პატ. არჩილ ხაბაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პატ. ავთანდილ ბერიძე და გაზეთო „ბათუმელებო“, გიხაროდენ, გიხაროდენ, გიხაროდენ. ეს-ესაა, მაცნობეს აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროდან (მინისტრი გ. თავამაიშვილი), რომ მოკლეს, დიან მოკლეს, მათ, იმათ და ასევე, მოკალით თქვენ, 58 წლის სალიტერატურო, სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი „ჭოროხი“. ყოჩაღ, თქვენ. არა მგონია, ბიძინა ივანიშვილს გაუხარდეს ეს, მაშინ, როცა, ეს კაცი ლამის მილიონს ხარჯავს ბათუმში მწერალთა სახლის რემონტზე“, – დაწერა საკუთარი ფეისბუქის გვერდზე ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქტორმა სანდრო ბერიძემ...

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მიმდინარე წელს ჟურნალი, რომელიც ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა, არ დაბეჭდილა...

...1958 წლამდე რეგიონში აღმანახის მსგავსი არაპერიოდული გამოცემები გამოდიოდა. იყო „ისპირი“, „ტალა“, „აჭარისტანი“... გარკვეული დროის შემდეგ, როცა ნიადაგი მომზადდა, ქართულმა მწერლობამ, მაშინდელმა ინტელიგენციამ ჩათვალა, რომ აჭარაში აუცილებელი იყო პერიოდული ჟურნალი და 1958 წელს პირველი „ლიტერატურული აჭარა“ გამოვიდა, რომელიც ყოველთვიურად იბეჭდებოდა.

– პირველი რედაქტორი ბრწყინვალე ადამიანი, არაჩვეულებრივი პიროვნება შოთა ქურიძე გახლდათ (შემდეგ იგი გაზეთ „აჭარის“ მთავარი რედაქტორიც გახდა – ნ. ც.). 1970 წელს ჟურნალს, ფრიდონ ხალვაშის ინიციატივით, სახელი შეუცვალეს და „ჭოროხი“ დაარქვეს. შეიძლება პოლიტიკოსმა ვერ თქვას, მოერიდოს, მაგრამ მე, მწერალი ვამბობ: ჭოროხი გადაღმა საქართველოდან მოდის, თითოეულმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ის ჭოროხის ხეობა, რომელმაც ვებერთელა ცივილიზაცია შექმნა, – ჩვენი მიწაა... ამიტომაც ჟურნალი დღემდე მოდის „ჭოროხის“ სახელწოდებით. – ასლან აბაშიძის დროს ჟურნალი ყოველთვიურად გამოდიოდა. არც „ნაციონალებს“ შეუწყვეტიათ მისი დაფინანსება, დღეს რა ხდება, ვერ მივხვდი, – გვითხრა სანდრო ბერიძემ. ჟურნალი „ჭოროხი“ ყოველთვის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ბოლო წლებში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აფინანსებს.

– წელს დაფინანსება შეგვიწყდა – კანონთან შეუსაბამოააო, გვეუბნებიან, როდის მოგვარდება და გასწორდება ეს შეუსაბამობა, არ ვიცი. რამდენიმეჯერ მივმართეთ სამინისტროს, გვითხრეს, რომ ვიდრე ა(ა)იპ-ად არ გადაკეთდება აჭარის მწერალთა ორგანიზაცია, მანამდე ჟურნალის დაფინანსება არ შეიძლება. ეს წელს არ მოესწრება და მომავალში რა იქნება, კაცმა არ იცის. წელიწადში 10 ათასი ლარია საჭირო ჟურნალის ბეჭდვისთვის და ყოველთვიურად 2100 ლარი 8 თანამშრომლის ხელფასისთვის, საიდანაც 20 პროცენტი იქვითება და მიზერულ თანხას ვიღებთ ხელზე. დასანანი, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იმ ჟურნალის არსებობის საკითხი, რომელიც 58 წელია გამოდის ამ კუთხეში. „ჭოროხი“ ქართული სულის ნაწილია. ჟურნალმა დიდი მწერლები გაზარდა; უამრავი ახალი წარმოაჩინა, ისეთები, ხვალინდელი ლიტერატურა რომ უნდა ჩაიბარონ. ამ კუთხეში ძალიან კარგი თაობა გვყავს – როინ აბუსელიძე, აჩი ბერიძე, გენრი დოლიძე, გიორგი გაბაძე, სულხან ნულუკიძე და სხვები... მათ სწორედ „ჭოროხში“ აიდგეს ფეხი. მართალია, სახელმწიფოს შეუძლია თქვას, საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და რატომ უნდა დავაფინანსოთ, მაგრამ მაშინ თეატრიც უნდა მოვკლათ, ზოგადად, კულტურა უნდა დავასამართოთ. ბიზნესის თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ჟურნალი წაგებიანია, მაგრამ, ლა-სკალასაც სპონსორი ჰყავდა. შექსპირის დროს, როცა თეატრი კვდებოდა ინგლისში, ერთ-ერთი მილიონერი აფინანსებდა. კულტურას თუ სახელმწიფო არ შეეშველა, ან სპონსორები არ გამოჩნდნენ, მოკვდება. კულტურის გარეშე კი ვერ ვიარსებებთ, – გულისტკივილს არ მალავს „ჭოროხის“ რედაქტორი.

კითხვაზე, მხოლოდ კანონში შეუსაბამობაა „ჭოროხისთვის“ დაფინანსების შეწყვეტის მიზეზი, თუ

სხვა რამ? სანდრო ბერიძემ კითხვითვე გვიპასუხა: – აქამდე რატომ არ იყო ხარვეზი კანონში და რაღა მინცდამაინც წელს აღმოაჩინეს? ხომ ამბობენ ავად სახსენებელი „ნაციონალებიო“, იმათ არ მოკლეს ეს ჟურნალი და დღეს რა სჭირთ?... საინტერესო იცით რა არის? მწერალთა სახლს რეკონსტრუქცია უტარდება და ამისთვის ბიძინა ივანიშვილი 600 ათას ლარს ხარჯავს. ბატონმა ბიძინამ „ჭოროხის“ პრობლემები რომ იცოდეს, არა მგონია, გაუხარდეს. ამას ვინმეს საამებლად არ ვამბობ. მინისტრს 5 ათასი ლარი აქვს თვეში ხელფასი, ჟურნალისთვის კი მათი ორი თვის ხელფასიც საკმარისია წელიწადში. რომ ამბობენ, კანონს ვერ დავარღვევთო, ამ კანონებს ხომ თავად წერენ.

– როცა წლის დასაწყისში „ჭოროხი“ დაფინანსების პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, განათლების მინისტრთან ვილაპარაკეთ, დოკუმენტაციაც მიგვატანინა. ველოდით საკითხის დადებითად გადაწყვეტას, მაგრამ ბოლოს გვითხრეს, რომ შესყიდვების სააგენტოს მივმართეთ თბილისში და უარი მივიღეთო. ჟურნალის ორი ნომერი დასაბეჭდად მზადაა, თუ იხილავს დღის შუქს, კარგი იქნება, თუ არა და... „მნათობი“ მოკვდა და ალბათ, გაიზიარებს მის ბედს „ჭოროხი“. არადა, იგი აკადემიური, ქართული ჟურნალია, ტრადიციასთან შეზავებული სიახლით. „ჭოროხში“ დავბეჭდეთ ფამუქისა და მარკესის ჩვენეული თარგმანები, „ჭოროხის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ოთარ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი. იბეჭდება ბესიკ ხარანაული, სხვები, – გვითხრა სანდრო ბერიძემ.

რაც შეეხება რედაქტორის გამოქვეყნებულ მიმართვაში ნახსენებ გაზეთ „ბათუმელებს“, სანდრო ბერიძე აცხადებს:

– „ბათუმელებმა“ სტატიაში ასეთი აზრი გამოთქვეს – რა საჭიროა ეს ჟურნალი... ჟურნალისტები და მწერლები ერთმანეთს გვერდით თუ არ დაუდევით, ბიზნესმენს სულაც არ აინტერესებს, გამოვა თუ არა ჟურნალი. მისთვის ყველაფერი ფულია, ჟურნალი კი ფული არაა – სულია... საზოგადოების მხრიდან იყო გამოხმაურება, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებსაც ვესაუბრეთ, თუ მომავლისთვის დადებითად გადაწყდება „ჭოროხის“ დაფინანსების საკითხი, კარგი იქნება, მთავარია, ჟურნალი გადავრჩეს. იცით, ვინ დააარსა იგი? გიორგი ლეონიძემ, დემნა შენგელაიამ, იოსებ გრიშაშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ, ლადო გუდიაშვილმა, გერონტი ქიქოძემ, ვერიკო ანჯაფარიძის ხელწერაცაა, გრიგოლ აბაშიძემ და სხვა ბუმბერაზმა ადამიანებმა. საჭირო რომ არ ყოფილიყო, არ დააარსებდნენ. მთავარი ისაა, რომ ამ კუთხეში, ხაზგასმით ვამბობ, ქართული ცნობიერების ამაღლებასა და შემეცნების გაღრმავებაში უდიდესი როლი ითამაშა „ჭოროხმა“. დღეს შეიძლება ეს არ ჩანს, მაგრამ, გადაფურცლონ „ჭოროხის“ ძველი ნომრები და ამაში დარწმუნდებიან. იქნებ, მე არ ვუნდივარ ვინმეს რედაქტორად, არც ესაა პრობლემა, მოვიდეს სხვა, ოღონდ ჟურნალი გამოვიდეს... დიდი ხელფასი რომ მქონდეს, შეიძლება იფიქრონ, ამისთვის იკლავს თავსო, მაგრამ 350 ლარი ყოველთვიური სარგო, რაც ჩემი ოჯახისთვის შეიძლება არსებითად მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ჩემი ყოფნა არ სურთ, არაა პრობლემა, მთავარია, ჟურნალი გამოვიდეს. ალბათ, მივანვდენტ ხმას ბატონ ბიძინას... არავის მეშინია და არაფერს ვერიდები... ჩვენ, ყველანი, გავკოტრდით, ნუ ეშინია ამ სიტყვის ნურავის, რადგან სანახაობამ შეგვჭამა და შემეცნებითი ხაზგადასმულია, რომაელების ნათქვამია – „ბრბოს რა უნდა? – პური და სანახაობაო“, თუ ასე ფიქრობენ ჩვენთან დღეს, სულის კანონებით რომ იცხოვროს, ისეთი საზოგადოება ვერ გაიზრდება, – აცხადებს სანდრო ბერიძე.

„ჭოროხის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს პოეტი **ვახტანგ ლლონტი** გამოეხმაურა:

– „ჭოროხს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენი კუთხისთვის. ათეული წლების განმავლობაში იგი დიდ საქმეს აკეთებდა, გნებავთ, მწერალთა კავშირი... მწერლის სიტყვას აქ განსაკუთრებით უსმენდნენ და პატივს სცემდნენ. ამდენად, მიმაჩნია, რომ დიდი გაუგებრობა და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვამბობ, რომ ყველაფერი დაგვირგვინდება ისე, როგორც უნდა გაკეთდეს. თუ თეატრი ფინანსდება, რიგი სხვა კულტურული ორგანიზაციები, ერთმა ჟურნალმა რა დააშავა? ცოტა მეტი სიფრთხილე იყო საჭირო იმათი მხრიდან, ვინც კანონებს წერს. არის კანონი, მაგრამ არის მორალი, რომელიც არ იცვლება დროში – კანონისგან განსხვავებით, მარადიულია. მწერლები ფაქიზი ხალხია. იყო დრო, მათ

უსმენდნენ და დღესაც გულის გულში უსმენენ, მაგრამ მწერლები ათეული წლებია, შეურაცხყოფილნი არიან. ჩვენ ხომ ოდითგან პოეტების ქვეყანა ვართ. ბევრი რომ ვერაფერი გააკეთოს ჟურნალმა, მაინც უნდა არსებობდეს, რადგან კულტურული მემკვიდრეობის მოსიარულე ძეგლია, ხალხის გულთან მისასვლელი ძეგლი. დარწმუნებული ვარ, ცოტა მეტი სიფხიზლე რომ გამოეჩინათ, აქამდეც მოგვარდებოდა პრობლემა. „ჭოროხი“ მარტო ჩვენი ხომ არაა, ან მწერალი მხოლოდ თავისთვის ხომ არ არის, მთელი ქვეყნისთვისაა. მილიონი პრობლემაა ჩვენს კუთხეში. ვიღაცები ამას თვალს უხუჭავენ, მწერალი არამარტო სიტყვით, შეიძლება ფიზიკურადაც შეენიროს. ნამდვილ ქართველობაზე და კაცობაზე გელაპარაკებით. ჩვენ, მწერლებს, არ გვაქვს ფული, შეჭირვებული ხალხი ვართ, თორემ არავისი შემწუხებლები არა ვართ, ვერც ბიზნესმენებში ვიმათხოვრებთ, არ შეგვიძლია და არცაა სწორი, რომ ჟურნალი დააფინანსონ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ სამწუხაროა, რომ პროცესი დროში გაიწელა. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, ვინმეს მოვეფერო, თუ საჭიროა, მოვეფერები კიდეც და როცა არ ეკუთვნის, პასუხის მოთხოვნაც შემიძლია მწარედ, თქვენ ეს იცით. მოადუნეს ყურადღება ზემოდან... არაა სახუმარო და სათამაშო თემა, ახლა ხომ შენუხდნენ და ცდილობენ პრობლემის მოგვარებას. წარმოუდგენლად მიმაჩნია ამხელა რეგიონს ერთი ლიტერატურული ჟურნალი არ ჰქონდეს. მაშინ გავაუქმოთ თეატრიც და ის ორგანიზაციები, რომლებსაც დიდი შემოსავალი არ მოაქვს, თუმცა სულს სჭირდება. თუ სულია იგნორირებული ქვეყანაში?! სამწუხაროდ, ბოლო ხანს ასეა. კანონი იმათ უნდა გაასწორონ, ვისაც ევალებათ, მწერალი ვერ შექმნის კანონს, – აღნიშნა ვახტანგ ლლონტმა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პოზიცია ჩვენთან საუბრისას მინისტრის მოადგილემ, **ნათია სირაბიძემ**, განმარტა:

– შესყიდვების სააგენტოდან გამოვითხოვეთ ნებართვა, რომ ჟურნალი გამარტივებული შესყიდვის გზით დაგვებუქდა და ტენდერი არ გამოგვეცხადებინა, მაგრამ უარი გვითხრეს. ამიტომ ვეძებთ ალტერნატიულ გზებს. საქართველოს პარლამენტში შევიტანეთ კანონპროექტი – მიეცეს აჭარის მთავრობას გრანტის გაცემის უფლება. ასევე, ვმუშაობთ იმაზე, რომ შეიქმნას ა(ა)იპ „მწერალთა სახლი“, მაგრამ ამას დრო სჭირდება, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და შემდგომ უმალლეს საბჭოს წარვუდგენთ. იმედი, დაგვიმტკიცებენ კიდეც. არის მესამე გზაც, უფლება გვაქვს, დავაფინანსოთ ბექდვა ტენდერის გამოყენებით, მაგრამ ჟურნალის რედკოლეგია ვერ მიიღებს ანაზღაურებას, ამ საკითხებზე ვესაუბრე ბატონ სანდროს. დამპირდა, რომ შეათანხმებდა რედკოლეგიასთან. – ჟურნალის უსასყიდლოდ გამოცემა დროებითი იქნება, ვიდრე ცვლილება განხორციელდება. ვიცი, რომ ორი ნომერი მზადაა, რთულია, ადამიანს უთხრა, უხელფასოდ იმუშაოს, მაგრამ როცა ასეთი მნიშვნელოვანია „ჭოროხის“ გადარჩენა, ვფიქრობ, კარგია თუ დათანხმდებიან, დანარჩენს მივყვებით ეტაპობრივად, – აცხადებს მინისტრის მოადგილე.

როგორც ნათია სირაბიძე ამბობს, ჟურნალი იმ კანონის საფუძველზე დაფინანსდა, რომელიც 2015 წლის ნოემბერში შევიდა ძალაში. ამ კანონის მიხედვით, ყველა სფერო უნდა დაექვემდებაროს ტენდერს.

– მანამდე გამარტივებული შესყიდვის უფლებას აჭარის მთავრობა გვაძლევდა, ნოემბრიდან კი ამ უფლებას შესყიდვების სააგენტო გასცემს, – აცხადებს იგი.

ნინო ცხვარაძე

ბაზაიში „აჭარა“, №55, 2016 წ.

განმარტებისთვის: ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციას დასაბუქდად გამზადებული ჰქონდა ჟურნალის 4 ნომერი. თანამშრომლები თანახმა ვიყავით უხელფასოდ გვემუშავა, ოღონდ ჟურნალის ნომრებს ეხილა დღის სინათლე. სამწუხაროდ, ისე მიიღია 2016 წელი, ვერც ერთი ნომრის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

სანდრო ბერიძე

2018 წ.



ბექა ახალაია

ამ ვალგოხდელი ფოთლავისთვის

თუმცა ამითი არაფერი დამთავრებულა,
და მე ეს ვიცი,
რომ ამჯერადაც არაფერი დამთავრებულა,
მაგრამ სხვაგვარად ხდებოდა ადრე,
ქარი სამხრეთით ჩემი ზეცის ღრუბლებს მიდენის,
და ფიქრით მიმაქვს სტრიქონები, ზუსტად იმდენი,
შესამოსელად რომ ეყოთ ჭადრებს.
რა მსუბუქი ხარ – რა გიშველო – და რა დღემოკლე,
პეპელასავით,
რაც მსუბუქია, ყველაფერი არის დღემოკლე,
და სხვის ჭკუაზეც ადვილად დადის,
ნუ ჩავარდები მდინარეში, თორემ გალღვები,
გამხმარ სხეულზე დაწყვეტილი შენი ძარღვები
მტკივა, ლანჩებქვემ – ხრამუნი მათი...

„ჭოროხი“, №1, 2017 წ.

რომან კისიოვი

ECCE POETA

ესე არს პოეტი...
ესე არს სიტყვა პოეტისა,
ესე არს ხორცი სიტყვისა,
ესე არს ხორცი, განტეხილი,
მრავალთავის განტეხილი

ლექსებად და წიგნებად,
მიიღეთ და ჭამეთ,
ეზიარეთ ჭეშმარიტ სამყაროს,
(რამეთუ, არა ინტერნეტითა
ერთითა ცხონდების კაცი...)

ბულგარულიდან თარგმნა გენრი დოლიძემ

„ჭოროხი“, №1, 2017 წ.



ლიანა ზოიძე

* * *

შოთა ზოიძე ქართული სიტყვის თანამედროვე გამოჩენილ ოსტატთა რიგებში ჩანს. მიუხედავად ამისა, პოეტისა და ესეისტის შემოქმედება, რომელიც დღესდღეობით ხუთ ტომს შეადგენს, მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. უახლოეს წარსულში მისი შემოქმედების არაერთი მნიშვნელოვანი შეფასება ვიხილეთ...

„შოთა ზოიძის „ქართული მუხამბაზები“

„ჭოროხი“, №1, 2017 წ.



გუგამ ყოკანაშვილი

* * *

...ალექსეი თარია თანამედროვე აფხაზთა შორის გამორჩეული პიროვნება გახლავთ. რასაკვირველია, ეს არ მომხდარა მისი თანამდებობის, ბიზნესის და სიმდიდრის (ფინანსური) გამოისობით. მისეული გამორჩეულობა, იშვიათობა სულიერ სიმდიდრეში მდგომარეობს. იგი თავისი პიროვნული განსაკუთრებული ბუნებით გაემიჯნა თანამედროვე აფხაზთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ბრმად რომ მიყვებიან ამბიციურ და ავანტიურისტულ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც, უპირველესად, დღევანდელი რუსული იმპერიალისტური მისწრაფებების გამტარებლები არიან...

„ალექსეი თარია – აფხაზი ჩაადაევი“

„ჭოროხი“, №1, 2017 წ.

შაღვა ბაკუჩაძე

ნაჩილი ნინოს

სხვას ვის ვუმღერო? აქ შენ გარდა არავის ვიცნობ, სხვას ვის ველოდო, მე შენ შემდეგ არავის ველი. ვინა ვარ? შენ ვარ. ჩემი გულის ოთახი ვინრო სავსეა შენით, სიყვარულო, სავსეა შენით. ამ სიმღერასაც შენ მამღერებ და უკვე აღარ მენაღვლება, რომ დავთმე შენთვის მთელი სამყარო, რამ დამანაღვლოს, როცა მკერდში გულივით მყავხარ, ამ სიხარულზე უფრო მეტად რამ გამახაროს...

„ჭოროხი“, №2, 2017 წ.



ჩიგო ობეჩაძე

* * *

ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ზურაბ გორგილაძის შემოქმედებას მისდევს და მისი პოეზიით ცოცხლობს. არაერთხელ მქონია სურვილი ჩემი გულის ნადები მის პოეზიასთან, მის პიროვნებასთან დაკავშირებით ქალაქზე გადმომეტანა... არ ვიცი, რის გამო ვერ ვახერხებდი ამას. უფალმა მარგუნა არაერთი მისი შემოქმედებითი საღამოს ორგანიზება, საუბრები და შეხვედრები, რომელიც შემდგომ ჩემი ცხოვრების შეუფასებელი სიმდიდრე გახდა. ძალიან ადვილი იყო მასთან მუშაობა, იმიტომ, რომ უბრალო იყო და ამასთან ძალიან დიდი, თავისებური პენით, თავისთავადობას ჩიბუხიც უსვამდა ხაზს...

„სათქმელი, რომელიც რამდენი წელია ვერ დავალაგე...“

„ჭოროხი“, №3, 2017 წ.





ზუკაბ ხაბაძე

* * *

...რუბენსი აღფთოვანებული იყო კარავაჯოს შემოქმედებით, მაგრამ საბოლოო სიტყვას თავისთვის იტოვებდა. მას განსაკუთრებით არ მოსწონდა იტალიური ტექნიკა და იგი მიაჩნდა გაჭიანურებულ და მძიმე ხასიათის მქონე მხატვრობად. ამას უკვე მაშინ ამბობდა, როცა იგი იყო მომნიჭებული ოსტატი; როცა ის ჩამოყალიბდა დიდ მხატვრად და გახდა ყველასათვის ცნობილი, უფრო საყურადღებოდ და საინტერესოდ ანიბალე კარაჩრის შემოქმედებასა და ტექნიკას მიიჩნევდა (1560-1609), რომელიც მუშაობდა რომში პალაცო ფარნეზეს გამშვენებებაში...

„უსათაუროდ და უმისამართოდ“

„ჭოროხი“, №3, 2017 წ.

თამარ ნიკუჩაძე

ციბრიტი

(რეალური ზღაპარი)

ექიმი ტვინიანი ფიქრით დამძიმებული თავით და შეწუხებული მზერით გამოვიდა თავისი მისაღები კაბინეტიდან. მის გამწარებულ სახეს გაკვირვებული თვალები აფორმებდა. გარდა ამისა, თავის აფუნგულ ქოჩორში საჩვენებელ თითს მოუსვენრად ასეირნებდა. დერეფანში პაციენტის დედა – ქალბატონი ნევრიკი და ბურლუნა ბებია იცდნერვიულობდნენ. ექიმის არასასურველი სახის დანახვისთანავე სკამიდან წამოიჭრნენ და მასთან მენჯისამოგდებით მივარდნენ...



„ჭოროხი“, №4, 2017 წ.



გიოსაჯია

ოლონდ აქ არა

მე გეკითხები: ეგ შენი ყელი

სადაფი არის, თუა ბაკარა?

შენ კი მპასუხობ გულგახეთქილი:

– ოლონდ აქ არა!... ოლონდ აქ არა!...

მე გეუბნები: შენი თვალები
მწველია ისე, ვით მზე თაკარა.

შეშინებული შენ იმეორებ:

– ოლონდ აქ არა!... ოლონდ აქ არა!...

მე ვნატრობ: მინდა, ვიყო ის სიო,

მაგ თმათა რხევამ რომ გააქარა.

შენ ნერვიულად ისევ ჩურჩულებ:

– ოლონდ აქ არა!... ოლონდ აქ არა!...

და ასე გადის მთელი ცხოვრება.

მე შენზე გულში წყენა მაქ არრა.

შენ მეკითხები: შევხვდებით კიდევ?

– იმქვეყნად, ალბათ... ოლონდ აქ... – არა!

„ჭოროხი“, №4, 2017 წ.



ღალი კონცალიძე

* * *

2017 წელს მკითხველმა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის – ოთარ გოგოლიშვილის ორი უაღრესად საინტერესო მონოგრაფია: „უცხოელი ავტორები მე-19 საუკუნის ბათუმის შესახებ (1804-1898 წწ.)“ და „საქართველოსა და ევროპის ურთიერთობა ანტიკური პერიოდიდან მე-18 საუკუნის ჩათვლით“...

„ოთარ გოგოლიშვილის ორი მონოგრაფია“


„ჭოროხი“, №5, 2017 წ.

სულხან ნუღუკიძე

* * *

ღია, შეხედე! ეს კადრი ნახე!
გზებზე ზამთარი ამწყდარი ფლოსტით,
დადის და როგორც ობოლის სახეს,
სურდოდ იანვრის წვიმები მოსდის.
და შენს სახესაც (ერთგვარად) უჯერს,
ტკივილად შერჩა ეს კადრი, ღია,
თბილისში როგორ ზარავდა ქუჩებს,
ხმელი ფოთლების ესკადრილია.

„ჭოროხი“, №5, 2017 წ.



ხელვა ჩოკახე, ივანი ბახუა

* * *

ხუთშაბათი, 10.9.2009

„ეს მთაწმინდის პანთეონია. მწერალთა, პოეტთა და ხელოვანთა სასაფლაოა“, – გვითხრა ხათუნამ ორი წლის წინ, როდესაც მასთან და საშასთან ერთად ტური მოვანწყვეთ. მაშინ ამ მთაზე ამოვედით, და ხათუნამ, თავისი მიდრეკილებისა და რწმენისამებრ, ყურადღება ეკლესიაზე გაამახვილა. მე კი ეზოში მდებარე მწერალთა, პოეტთა და ხელოვანთა სასაფლაომ ამაღელვა. ვიგრძენი, რომ ვალდებული ვიყავი, აქ დავბრუნებულიყავი...

„მთაწმინდის პანთეონი“

ებრაულიდან თარგმნა მამუკა ბუცხრიკიძემ

„ჭოროხი“, №5, 2017 წ.

პაპა ოთარაშვილი

* * *

ისე წყნარად... უბრალოდ, მომენატრა შენი ხმა...
შენს ხატებას ვუგალობ – ღანვზე ცრემლი შემისხმა...
განჯას ჩინოვნიკური საქმე აღარ მომცილდა...
თითქოს მანდ ვარ... გიყურებ, რომ ბრუნდები ლოცვიდან...
ჩემთვის აღარ გცალია სამეგრელოს მთავრის ცოლს...
ქმარი? მაინც ქმარია – მსურს, დუელში გავიცნო...
მაპატიე, კატინა, ჩემი მკვახე ბარათი...
იქნებ, გული გატკინე – ტრფობა არის მარადი...

„ჭოროხი“, №6, 2017 წ.



მაგლა კოჭიკაძე

* * *

გოგონა მინას ჭამს, მას შია! ტანთ აცვია ბიძაშვილისშვილის – გოგონას ნახმარი ზედა, მეზობლის ნაქონი ქვედაბოლო და თევზივით პირდაღებული, რამდენიმე ადგილას სხვადასხვა ფერის ძაფით, ხელით ამოკემსილი სანდლები. არადა, გარეთ ცივა, ჯერ კიდევ ადრიანი გაზაფხულია. მისი დასუსხული და შეციებული ხელები ლაპარაკობენ ცივ ზამთარზე, ყვებიან იმას, რომ გოგონას, – გირჩათვალებიანს, ზამთარშიც ისევე სციოდა, როგორც ახლა...

„მინაჭამია“

„ჭოროხი“, №6, 2017 წ.

მიხეილ ლაკიბაი

აუა

(ნიგნიდან „ვინ მოკლა ფურ-ირემი“)

...მე ასე ვიტყვოდი: ახლოს მყოფი მეგობარი ნამდვილი აუაა, შორს მყოფი მეგობარი კი – სულის მამშვიდებელი! ამიტომ გაერთიანებისთვის ჩვენ უნდა შევარჩიოთ აუა არა მთებს იქით, არამედ ახლო მეზობლები – ქართველები.

დღეს თუ ჩვენ დავცხმარებით მათ ძმურად, ხვალ ისინი დავცხმარებინ. ასე იყო ოდიტგან!

– და ხალხი ჩასწვდა ბრძენი კოაუას ნაამბობს და მიიღო გადანყვეტილება, გაერთიანებულებივინ მოძმე და თან ახლოს მყოფ ქართველებთან, რომლებთან გვერდიგვერდ მეგობრულად საუკუნეებია, ცხოვრობენ და ტრადიციები და სისხლი აკავშირებთ; გაერთიანებულებივინ, რომ ერთად ეშენებინათ ახალი ცხოვრება, – დაასრულა თხრობა უახაიდა სმირმა.

რუსულიდან თარგმნა გუნა სამნიძემ

„ჭოროხი“, №6, 2017 წ.



შეხვედრები



შენიღია ჯეჯი აჭანის შენიღია არგანმაცყიდან, ზეგნობა, 1995 წ.



ვახტანგ დღოსიანი, ყრადონ ხილვანი, დავით თვღონიძე



აჭანის შენიღია ხილვანის თანამშრომლები.
 მკეცი: თამარ წაღვლიძე, გინო ზეგნობელი, დავით ვინჯელიძე, ივანე ხინციკი
 დავით: დავით თვღონიძე, ივანე დოღვაძე, მანიაკი დამბია, ნინო აბუჯელიძე,
 ზორბეგ თვღონიძე, ჟეზო ზეგნობანი, ნინო ზეგნობანი, ხინციკი ბერიძე



დავით თვღონიძე, მადონა თვღონიძე, დავით ვინჯელიძე, ივანე ხინციკი, ხინციკი ბერიძე, დავით ვინჯელიძე



მთია მთია, მთია ვინჯელიძე, დავით თვღონიძე, მთია ნიჭიკი,
 ჟეზო ნიჭიკი, ჟეზო ჭიჭიკი, ზორბეგ ვინჯელიძე



დავით თვღონიძე, სერო ვინჯელიძე, მთია ვინჯელიძე,
 ვინჯელიძე ლიონიდიანი, სერო ვინჯელიძე,
 ნინო ზეგნობანი



ՎԱԾՅԱՆ ՆԱՅՏՆՈՒՄԻ

ԼՍԻՆԵ ԱԲԱՅԱՆ

ԱՐՏԵՆ ԱԽՄԵԴՈՎ

ԼԵՎՈՆ ԵՆՆԵՅԱՆՈՒՅՅԻՆ

ԼԵՎՈՆ ԲԱԲԱՅԱՆ

ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ



ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ

ԼՍԻՆԵ ԱԲԱՅԱՆ

ԱՐՏԵՆ ԱԽՄԵԴՈՎ

ԼԵՎՈՆ ԵՆՆԵՅԱՆՈՒՅՅԻՆ

ԼԵՎՈՆ ԲԱԲԱՅԱՆ

ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ



ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ

ԼՍԻՆԵ ԱԲԱՅԱՆ

ԱՐՏԵՆ ԱԽՄԵԴՈՎ

ԼԵՎՈՆ ԵՆՆԵՅԱՆՈՒՅՅԻՆ

ԼԵՎՈՆ ԲԱԲԱՅԱՆ

ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ



ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ

ԼՍԻՆԵ ԱԲԱՅԱՆ

ԱՐՏԵՆ ԱԽՄԵԴՈՎ

ԼԵՎՈՆ ԵՆՆԵՅԱՆՈՒՅՅԻՆ

ԼԵՎՈՆ ԲԱԲԱՅԱՆ

ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ



ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ

ԼՍԻՆԵ ԱԲԱՅԱՆ

ԱՐՏԵՆ ԱԽՄԵԴՈՎ

ԼԵՎՈՆ ԵՆՆԵՅԱՆՈՒՅՅԻՆ

ԼԵՎՈՆ ԲԱԲԱՅԱՆ

ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ



ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ

ԼՍԻՆԵ ԱԲԱՅԱՆ

ԱՐՏԵՆ ԱԽՄԵԴՈՎ

ԼԵՎՈՆ ԵՆՆԵՅԱՆՈՒՅՅԻՆ

ԼԵՎՈՆ ԲԱԲԱՅԱՆ

ՎԱԾՅԱՆ ՎԱԾՅԱՆ



დავით ტყეშელაშვილი



კაკაბერ ჯაპარიძე



ზავენის ლაშვილი



კახა თავაკვილიძე




ლევან ბაგინიძე



გიორგი რიკვიში



დავით ტყეშელაშვილი



კაკაბერ ჯაპარიძე



ზავენის ლაშვილი



კახა თავაკვილიძე




ლევან ბაგინიძე



გიორგი რიკვიში



დავით ტყეშელაშვილი



კაკაბერ ჯაპარიძე



ზავენის ლაშვილი



კახა თავაკვილიძე



ლევან ბაგინიძე



გიორგი რიკვიში



დავით ტყეშელაშვილი



კაკაბერ ჯაპარიძე



ზავენის ლაშვილი



კახა თავაკვილიძე



ლევან ბაგინიძე



გიორგი რიკვიში



დავით ტყეშელაშვილი



კაკაბერ ჯაპარიძე



ზავენის ლაშვილი



კახა თავაკვილიძე



ლევან ბაგინიძე



გიორგი რიკვიში



დავით ტყეშელაშვილი



კაკაბერ ჯაპარიძე



ზავენის ლაშვილი



კახა თავაკვილიძე



ლევან ბაგინიძე



გიორგი რიკვიში